წელიწადი მეცხრე
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 64, ტელეფონი № 8 81

ხელისმოწერის ფასი
მუშ.-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის - 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 1% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 5 იანვარი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 3 (2349)

დღიური

— ავერესკუ რუმინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.
— მემაღაროეთა გაფიცვა საფრანგეთში ფართოვდება.
— ლოუდენის წერილი ამხ. ლიტვინოვისადმი.
— პრუსიის ნაციონალისტები მოითხოვენ წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლას.
— სპარსეთ-საბჭოთა კავშირის კონვენცია საზღვარზე გადასვლის შესახებ.
— 18 იანვარს იწყება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მესამე ტირაჟი.

საადგილ-მამულო პოლიტიკის შესახებ

საკავშირო ცაკის სესიამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დამთავრდა, მიიღო ძირითადი დებულებები მიწათმოწყობისა და მიწადსარგებლობის შესახებ. ეს კანონი გამომდინარეობს ჩვენი პარტიის პროგრამიდან და მე-15 პარტყრილობის დირექტივიდან „მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლების ყოველგვარად განმტკიცების" შესახებ. პროლეტარიატის დიქტატურის არსებობამ 11 წლის განმავლობაში აშკარად დაგვანახვა, რომ მიწის ნაციონალიზაცია არის სოციალისტური მშენებლობის წარმატების მთავარი საფუძველი სოფლის მეურნეობაში და რომ იგი იძლევა გლეხურ მეურნეობათა ძირითადი მასის საწარმოო ძალთა მაქსიმალური განვითარების სრულ შესაძლებლობას. ახალი კანონი, რომელიც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია მუშათა სახელმწიფოს კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკით, საუკეთესო იარაღი იქნება იმ ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომელთა მიზანს შეადგენს ღარიბ გლეხთა ფართო მასების კეთილდღეობის გადიდება, სოფლის მეურნეობის ტექნიკური დონის ამაღლება, მშრომელი გლეხობის ფართო ფენების კოოპერატიულად შეკავშირება და კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების ძალის განვითარება.

ამ ამოცანების განხორციელება დაკავშირებულია სოფლის განვითარებაში კაპიტალისტური ტენდენციების დაძლევასთან, კულაკების დაძლევასთან.

მიწადმოწყობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციისა და გაუმჯობესების წინასწარ პირობას. სამწუხაროდ, ოქტომბრის რევოლუციის მეთერთმეტე წელს მიწათმოწყობის საქმე ჯერ კიდევ სათანადოთ არ არის განხორციელებული—ნახევარზე მეტი მიწა დღესაც მოუწყობელია. ეს მიწათმოუწყობლობა მეტად ცუდ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებაზე და გლეხური მეურნეობების კოლექტივიზაციაზე. როცა მიწა ხანჯრებად არის დაყოფილი, როცა მიწის ნაჭრები შორი-შორს არის გაფანტული, მაშინ ძნელია მრავალმინდვრიანი თესლცვლის შემოღება და მიწის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესება, ძნელია კოლექტიური მეურნეობების შექმნა.

ამასთან ერთად, მიწადმოწყობა უშუალოდ დაკავშირებულია ახალი მიწების გამოყენებასთან. ბევრ რაიონში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელი მიწები; ზოგიერთ [illegible] მიწები დიდ რაოდენობას აღწევს. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ მოსავლიანობის გადიდებას, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ სათესი სივრცის გაფართოების საკითხი.

მიწადსარგებლობის ჩამორჩენილი ფორმები ხშირად წარმოადგენენ საფუძველს მონური ურთიერთობის აღმოცენებისათვის. ისინი საშუალებას აძლევენ კულაკს გამოიყენოს თავისი უპირატესობა ღარიბ გლეხების წინააღმდეგ. ამით აიხსნება, რომ სოფლის კულაკები ხშირად წინააღმდეგობას უწევენ მიწადმოწყობის საქმეს. ამიტომ მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის შესახებ ახალი კანონის მიღება საფუძველს გვაძლევს, პრაქტიკულად განვახორციელოთ ღონისძიებათა მთელი სისტემა მიწადმოწყობის სამუშაოთა დაჩქარებისა და მიწადსარგებლობის გაუმჯობესების დარგში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩვენ მიერ მიწადმოწყობის დარგში აღებული ხაზი ხშირად მახინჯდება. საჭიროა სასტიკად დაცულ იქნას მიწადმოწყობის უსასყიდლობა ყველა ღარიბი და მცირე შეძლების საშუალო მეურნეობისათვის, აგრეთვე ყველა კოლექტიური მეურნეობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწადმოწყობის სამუშაოთა დაგვიანება კოლექტიურ მეურნეობებში ხშირად მათი დაშლის ერთ-ერთი მიზეზი იყო. ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. ამ მხრივ ჩვენმა პარტიულმა ორგანოებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ იმას, რომ გადაუხრელად სრულდებოდეს დირექტივა კოლექტიურ მეურნეობებში მიწადმოწყობის უსასყიდლოდ და პირველ რიგში გატარების შესახებ. მიწადმოწყობის სამუშაოთა დაჩქარებით გატარება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შექმნის ნიადაგს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განვითარებისათვის და საგრძნობლად გაადვილებს მათი კოლექტივიზაციის საქმეს.

დამახასიათებელია ის, რომ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში გაძლიერდა ეგრეთ წოდებულ ფართო ზოლებზე და უბნობით დამუშავებაზე გადასვლა. მიწადსარგებლობის ეს ფორმები საშუალებას აძლევენ გლეხობას გამოიყენოს გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ახალი აგრიკულტურული ტექნიკა.

ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები მიწადმოწყობის სამუშაოთა დასაჩქარებლად.

კანონი აწესებს მიწით სარგებლობის ფორმების ამორჩევის თავისუფლებას. მაგრამ ეს არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, გულისხმობს განსაზღვრულ პოლიტიკას მიწით სარგებლობის ფორმების შემოღებაში. საჭიროა სხვადასხვა რაიონის პირობებთან შეფარდებით დაწესებულ იქნას მიწით სარგებლობის საუკეთესო ფორმები ჩვენი პოლიტიკის საფუძვლების მიხედვით.

ჩვენში ამჟამად ადგილი აქვს მთელი სოფლის მეურნეობის საერთო, თუმცა აშკარად არასაკმაო, აღორძინებას. ჩვენს პირობებში შეცდომა იქნება ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განვითარება დავუპირისპიროთ კოლექტიურ მეურნეობებს.

ჩვენ ვაუმჯობესებთ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასის მდგომარეობას, ვაუმჯობესებთ სოფლის მეურნეობის ტექნიკას, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ გაუმჯობესების მთავარი გზა—გლეხობის ფართო მასების კოოპერატიულად შეკავშირება და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. მემარჯვენე უკლონისტები ვერ ხედავენ სწორედ იმ კავშირს, რომელიც არსებობს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის აღორძინებასა და კოლექტივიზაციის განვითარებას შორის.

მიწადმოწყობისა და მიწით სარგებლობის გატარებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის საბჭოების მუშაობას. კანონმა პრაქტიკულად დააყენა საკითხი ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის იმ დირექტივის რეალიზაციის შესახებ, რომელიც შეეხება ორხელისუფლებიანობის (სოფლის საბჭო და საადგილ-მამულო საზოგადოება) მოსპობას სოფლად. ახალი კანონი აძლიერებს სოფლის საბჭოების ხელმძღვანელ როლს საადგილ-მამულო საზოგადოებების მიმართ. სოფლის საბჭო აქტიურად უნდა ებრძოდეს მიწის ნაციონალიზაციის დარღვევის შემთხვევებს, ბოროტმოქმედებებს იჯარის საქმეში. ამასთან ერთად სოფლის საბჭომ ნამდვილი და საქმიანი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საადგილ-მამულო საზოგადოების მუშაობას მიწადმოწყობისა და მიწით სარგებლობის დარგში.

კანონი მიწადმოწყობის და მიწით სარგებლობის საერთო საფუძვლების შესახებ ფართოდ და დაწვრილებით იქნა განხილული ადგილებზე. განხილულ იქნა იგი საადგილ-მამულო საზოგადოებების წევრთა საერთო კრებებზე, თემის საბჭოთა აქტივის კრებებზე, სპეციალურ საადგილ-მამულო-ტექნიკურ თათბირებზე სოფლებში, თემებში და რაიონებში. მოსკოვის გუბერნიაში, მაგალითად, კანონის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 1.800 სხვადასხვა კრებამ, მათ შორის 1,275 სასოფლო კრებამ და ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კრებებმა. სხვა რაიონებშიაც მოხდა საადგილ-მამულო საზოგადოებების და სოფლის საბჭოების კრებები, რომლებზედაც განხილულ იქნა აღნიშნული კანონი. ამასთან ამ კანონმა ჯამი გაუკეთა მიწადმოწყობის და მიწით სარგებლობის დარგში არსებულ პრაქტიკას. მის გატარებას ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სოფლის მეურნეობის და, საერთოდ, სოფლის განვითარებისათვის.

ამიტომ საჭიროა კანონის გატარების საქმეში [illegible] აქტიური მონაწილეობა მიიღონ პირველ რიგში სოფლის პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. მხოლოდ ასეთი აქტივობის დროს ავიცილებთ თავიდან შეცდომებს და დამახინჯებას და შევძლებთ იმ ძირითადი ამოცანების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებას სოფლად.

საბჭოების საარჩევნო კამპანია გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე იმისათვის, რომ ეს კანონი ცაკის ნოემბრის პლენუმისა და საკავშირო ცაკის უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებებთან ერთად, გავაცნოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს კანონი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მოჯამაგირეებისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დასარაზმავად პარტიისა და საბჭოების ირგვლივ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გაძლიერებისათვის. იმ დავალებებში, რომლებსაც საბჭოების დეპუტატებს მისცემენ, საჭიროა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნას გადამჭრელი ზომების მიღება იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას კანონი მიწით სარგებლობისა და მიწადმოწყობის შესახებ, კანონი სოციალისტური მიწადმოქმედების შესახებ.

„პრავდა", 4 იანვარი.

გერმანიის პრესა მოითხოვს სარეპარაციო გადასახადების შემცირებას

რუმინეთის მუშათა და გლეხთა ბლოკის კამპანია საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოდ

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესია მოწვეულია 15 აპრილისათვის

სარეპარაციო საკითხის გარშემო

გერმანია პესიმისტურად უყურებს მომავალ მოლაპარაკებას

ბერლინი 3 იანვარი. გერმანიის პოლიტიკური წრეების ყურადღების საგანს შეადგენს რეპარაციების გენერალური აგენტის გილბერტის მიერ გამოქვეყნებული წლიური ანგარიში, რომელშიაც მოცემულია გერმანიის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის მაღალი შეფასება. გილბერტი აღნიშნავს, რომ გერმანიამ გასულ წელს ლოიალურად შეასრულა ყველა თავისი ვალდებულება რეპარაციების საქმეში და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ წარსულის მაგალითის მიხედვით, წარმოუდგენელია ისეთი მდგომარეობა, რომ გერმანიამ ვერ შესძლოს ნორმალურად შეიტანოს ყოველწლიურად დაწესებული 2,500 000.000 მარკა. ეს განცხადება გულისხმობს იმას, რომ ექსპერტთა მომავალ კონფერენციას არ დასჭირდება გერმანიის მიერ შესატანი ფულის რაოდენობის შემცირება.

ამ ოპტიმისტური შეფასების წინააღმდეგ გერმანიის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც ეტყობა, გილბერტი ივიწყებს იმ გარემოებას რომ გერმანია ვალდებულებათა შესრულებას ახერხებს მხოლოდ უცხოეთისადმი დიდი დავალიანების გზით და არა გერმანიის სახალხო მეურნეობის ზედმეტი შემოსავლიანობის წყალობით. პრესა შიშს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ექსპერტთა კონფერენციამ თავის მუშაობას გილბერტის ანგარიში არ დაუდვას საფუძვლად. ამასთან დაკავშირებით, თანდათან მატულობს სკეპტიკური დამოკიდებულება მომავალი კონფერენციის შედეგებისადმი. (ადნ).

კამპანია საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოდ

ვენა, 3 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანო „ინაინტე" იწყებს კამპანიას საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოდ.

„რუმინეთი,—სწერს გაზეთი,—წარსულ წელს წარმოადგენდა ცენტრს, საიდანაც ვრცელდებოდა ცილისწამება და ჭორები საბჭოთა კავშირის შესახებ. რუმინეთის ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პრესას ერთი სიტყვაც არ დაუძრავს იმ მრავალრიცხოვანი დელეგაციების მოხსენებების შესახებ, რომელთაც ინახულეს საბჭოთა კავშირი".

გაზეთი აღნიშნავს, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის შესახებ გავრცელებულ ჭორების გაბათილება, რისთვისაც საბჭოთა კავშირში უნდა გაიგზავნოს დელეგაცია მუშების, გლეხებისა და პატიოსანი ინტელიგენტების შემადგენლობით. გაზეთის აზრით, დელეგაციაში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატი მუშები და ნაციონალურ-გლეხური პარტიის წევრები—ღარიბი გლეხები.

„დელეგაცია,—სწერს გაზეთი,—ადგილობრივ გაეცნობა მდგომარეობას და უკან დაბრუნების შემდეგ მოხსენებებს გააკეთებს საჯარო კრებებზე.

მუშურ-გლეხური ბლოკის ლოზუნგია: „გვინდა გავიგოთ სიმართლე იმ ქვეყნის შესახებ, სადაც სოციალიზმი შენდება". (ადნ).

ლოუდენის წერილი ამხ. ლიტვინოვისადმი

მოსკოვი, 4 იანვარი. ამხ. ლიტვინოვმა განიარაღების კონფერენციის მომზადებელ კომისიის თავმჯდომარისაგან მიიღო შემდეგი წერილი:

„ჟენევა, 27 დეკემბერი. ბატონო სახალხო კომისარო, მე მქონდა პატივი მიმეღო თქვენი წერილი 6 დეკემბრის თარიღით. ერთა ლიგის მეცხრე კრებამ თავის რეზოლიუციაში დამავალა მე კონტაქტი დამემყარებინა დაინტერესებულ მთავრობებთან, რათა შესაძლებლობა მქონოდა მომეწვია განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია, ყოველ შემთხვევაში, 1929 წლის დასაწყისში. საკითხის საფუძვლიანად განხილვის შემდეგ მე მივედი შემდეგ დასკვნამდე: იმისათვის, რომ კომისიამ ნაყოფიერად განაგრძოს მუშაობა რომელსაც ის თავისი უკანასკნელი სესიის შემდეგ აწარმოებს უკვე დასახული გზით, შემდეგი სესია უნდა შესდგეს მიმდინარე წლის აპრილში. ამიტომ მე დღეს უკვე ვაცნობებ ყველა დელეგაციას, რომ კომისია მოწვეულ იქნება 1929 წლის 15 აპრილს.

მიიღეთ ბატონო სახალხო კომისარო ჩემი ღრმა პატივისცემა, ლოუდენი, განიარაღების კონფერენციის მომზადებელ კომისიის თავმჯდომარე" (ადნ).

საფრანგეთის პრესა ამხ. ლიტვინოვის ნოტის შესახებ

პარიზი, 3 იანვარი. რეაქციონური „ჟურნალ დე დება" საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთისათვის გაგზავნილ წინადადებას უწოდებს „მოწამლულ კამფეტს".

გოვენის წერილი მრავალ უხეშ შენიშვნებს შეიცავს საბჭოთა კავშირის მიმართ. მისი აზრით, საბჭოთა წინადადებების მიზანია ასიამოვნოს სესხის მომწოდებელ ამერიკელებს.

პარიზი, 3 იანვარი. სოციალისტური „პოპულერ"-ი ესალმება ლიტვინოვის წინადადებას, მაგრამ უწინარეს ყოვლისა იყენებს მას საფრანგეთის კომპარტიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ პოლონეთი მიიღებს საბჭოთა წინადადებას, რომელიც ლოღიკურად გამომდინარეობს კელოგის პაქტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლონეთის მთავრობა, „პოპულერ"-ის სიტყვით, „გაამართლებს იმ შიშს, რომელსაც იწვევენ პოლონეთის შოვინისტური წრეების ზრახვები" (ადნ).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის კონვენცია საზღვარზე გადასვლის შესახებ

თეირანი 3 იანვარი. მეჯლისის საგარეო საქმეთა კომისიამ განიხილა ის შესწორებები რომლებიც შეტანილ იქნენ სპარსეთ-საბჭოთა კავშირის კონვენციაში მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებთათვის საზღვარზე გადასვლის გაადვილების შესახებ. კონვენციას 31 მაისს ხელი მოაწერეს სპარსეთის მხრით—საგარეო საქმეთა მინისტრმა პაკრევანმა, მეორე დეპარტამენტის დირექტორმა ფენდერესკიმ და ხელშეკრულებათა ბიუროს გამგემ მოხსენ-ხანმა, ხოლო საბჭოთა კავშირის მხრით—სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დავთიანმა, მრჩეველმა ლოგანოვსკიმ და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ოქმების განყოფილების გამგემ კვიტაშვილმა.

კომისიამ სცნო, რომ შეტანილი შესწორებები არ არის მნიშვნელოვანი და დაადგინა—წარუდგინოს კონვენცია დასამტკიცებლად მეჯლისს.

ამ კონვენციის თანახმად, მოსაზღვრე ზოლის მცხოვრებლებს უფლება ეძლევათ გადავიდნენ მეორე სახელმწიფოს საზღვარზე 25 კილომეტრის მანძილზე, სხვადასხვა სამუშაოების საწარმოებლად—სავაჭროდ, მიწის დასამუშავებლად და სხვ. იმ პირობით რომ საზღვარზე გადასულ პირს ჰქონდეს სპეციალური ნებართვა რუსულ და სპარსულ ენებზე. ასეთ ნებართვებს გასცემენ განსაზღვრული დაწესებულებები ორივე სახელმწიფოს საზღვრების განსაზღვრულ პუნქტებში, ერთი თვის ან ერთი წლის ვადით, იმის მიხედვით, თუ რა მიზანი აქვს საზღვარზე გადასვლას. საზღვარზე გადასვლის დროს, რაც ჩვეულებრივად დღისით უნდა მოხდეს, ეს ნებართვები წარედგინება სათანადო მოსაზღვრე პუნქტებს. ზოგიერთ შემთხვევაში საზღვარზე გადასვლა შეიძლება ღამითაც.

საზღვარზე გადასვლის წესის დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიულად. იმ პირებს, რომელნიც გადადიან საზღვარს, უფლება აქვთ წაიღონ თან საჭირო ჭურჭელი, ტანისამოსი და წაიყვანონ საჭირო მუშა საქონელი. ხელშემკვრელ მხარეებს უფლება აქვთ გამოსცენ სპეციალური წესები ეპიდემიების დროს.

მომთაბარე ტომებისათვის შემოღებულია საზღვარზე გადასვლის სპეციალური წესები.

ამ კონვენციას დიდი მნიშვნელობა ექნება ორივე ქვეყნის მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებთათვის და მომავალში მოისპობა სასაზღვრო ინციდენტების შესაძლებლობა. კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს მეჯლისისა და საკავშირო ცაკის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ. (ადნ).

გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე ფრთის კონფერენცია

ბერლინი, 3 იანვარი. „როტე ფანე" აქვეყნებს ცნობას გერმანიის კომუნისტური პარტიის მემარჯვენე ფრაქციის კონფერენციის შესახებ, რომელიც მოხდა 29 დეკემბერს ბერლინში. ინიციატორთა აზრით, ეს უნდა ყოფილიყო მოსამზადებელი კონფერენცია გერმანიის მემარჯვენეთა საერთო კონფერენციისათვის, რომლის მოწვევა განზრახულია 30 იანვრისთვის. კონფერენციაზე თავი იჩინა მნიშვნელოვანმა უთანხმოებამ საორგანიზაციო საკითხებში. ერთი ნაწილი მოითხოვდა ახალი პარტიის დაარსებას. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ტალჰაიმერმა და ბრანდლერმა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა მოეწყოს ეგრედ წოდებული „ერთობის უჯრედი", რომელშიაც შევლენ პარტიიდან გამორიცხულნი და მათი მომხრენი პარტიაში. უჯრედის მთავარ ამოცანას შეადგენს ის, რომ პარტიული ყრილობების წინ შეიკრიბოს და ცალკე პარტიულ ორგანიზაციებში გამოიმუშაოს სათანადო ტაქტიკა. (ადნ).

მემაღაროეთა გაფიცვა საფრანგეთში ფართოვდება

პარიზი, 3 იანვარი. გარის დეპარტამენტში გაიფიცა 10.000 მემაღაროე, რომელნიც მოითხოვენ ყველა კატეგორიისათვის სამუშაო ხელფასის მომატებას დღეში 5 ფრანკით. როგორც ვიცით, ასეთივე მოთხოვნა წამოაყენეს ლუარის რაიონში, სადაც მეორე კვირაა გაფიცულია 20.000 მემაღაროე. როგორც გარის დეპარტამენტში, ისე ლუარის რაიონში მოძრაობა სავსებით უნიტარული კავშირის ხელშია. გარის დეპარტამენტის საგაფიცვო კომიტეტმა წინადადება შეიტანა შეწყვიტონ მუშაობა იმათაც, ვინც მაღაროებში წესრიგს იცავენ. ეს ზომა უკვე განხორციელებულია. (ადნ).

მღელვარება სამხრეთ-აფრიკის მუშებს შორის

ლონდონი, 3 იანვარი. მუშების მღელვარება, რომელიც ამას წინად დაიწყო ნამაკვას ალმასის მადნებში (სამხრეთ-აფრიკის კავშირში) სერიოზულ ხასიათს ღებულობს. უმუშევარმა ალმასის მაძიებლებმა, მას შემდეგ, როცა მთავრობამ უარი უთხრა მათ, მიწის ნაჭრის მიცემაზე, ხელთ ჩაიგდეს მთავრობის მადნების ნაწილი, უმუშევრების ერთი ნაწილი აგროვებს ალმას, ხოლო მეორე ნაწილი თოფებით და ტყვიამფრქვევლებით შეიარაღებული მზად არის თავდაცვისათვის.

მთავრობამ გამოაქვეყნა დამამშვიდებელი განცხადება, მაგრამ მუშებმა გაიგეს, რომ იმ რაიონში, სადაც მუშების მღელვარებაა, მთავრობამ გაგზავნა პოლიციის დიდი რაზმი და სამხედრო აეროპლანები.

ნამაკვას მადნები მეტად მდიდარ ადგილად ითვლება მთელ დედამიწაზე. უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში იქ მოპოვებულ იქნა 17 მილიონი გირვანქა სტერლინგის ალმასი. (ადნ).

ინგლის-საფრანგეთის კოლონიალური თანამშრომლობა?

რომი, 3 იანვარი. „ტრიბუნა"-ს ლონდონელი კორესპონდენტი მორიგ კორესპონდენციაში ეხება ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის საკითხს კოლონიებში. კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისის ინიციატივით გადაწყდა, რომ პარიზში კოლონიების შესასწავლად დაარსდეს ინგლის-საფრანგეთის კომიტეტი. გაერთიანებული კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ კოლონიების შემსწავლელი ინგლისის კომიტეტის და საფრანგეთის კოლონიალური კომიტეტის წარმომადგენლები. ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობა კორესპონდენტს ერთგვარ საფრთხედ მიაჩნია. კორესპონდენტის აზრით, ის ქვეყნები, რომლების კოლონიებიც ნედლეულის მიწოდების საქმეში მონოპოლისტები არიან შექმნიან მთლიან კოლონიალურ ფრონტს, ხოლო მთლიანი ფრონტი, თავის მხრივ, გამოიწვევს ინგლის-საფრანგეთის საერთო გამოსვლას სხვა საკითხებშიაც. (ადნ).

ავერესკუ რუმინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ვენა, 3 იანვარი. ავერესკუმ თავის ორგანო „ინდრეპტარეა"-ში მოათავსა წერილი რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. ავერესკუ იმეორებს რუმინეთის პრესის ჩვეულებრივ არგუმენტებს და აცხადებს, რომ ამ ორ ქვეყნის შორის დღემდე ნორმალური ურთიერთობის უქონლობაში ბრალი მხოლოდ საბჭოთა კავშირს ედება.

„ამ საკითხის გადაჭრა",—სწერს ავერესკუ,—„შეეფერება რუმინეთის უმნიშვნელოვანეს ინტერესებს. ლიტვინოვის უკანასკნელი ნოტა კელოგის პაქტის შესახებ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება განახლდა, შესაძლებელი იქნება რუმინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მიღწევა კელოგის პაქტის შინაარსის მიხედვით. (ადნ).

„რაბოტნიკ"-ი მეიშტოვიჩს იცავს

ვარშავა, 3 იანვარი. ოფიციოზურმა „გლოს პრავდი"-მ ისარგებლა რა იუსტიციის მინისტრის მეიშტოვიჩის გადადგომით, ბრალი დადო მას იმ მასიურ დაპატიმრებებსა და პროცესებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ დასავლეთ ბელორუსიაში და რომელიც ვითომ, პილსუდსკის სურვილის წინააღმდეგ, მეიშტოვიჩმა მოაწყო.

ახლა მეიშტოვიჩს იცავს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკ"-ი.

„ყოველ ბრალდებას თავისი საზღვარი აქვს,—აცხადებს გაზეთი,—ჩვენ არ ვიცოდით, თუ ბელორუსიის გრომადის პროცესი მოეწყო პილსუდსკის სურვილის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ მთავრობამ, რომელმაც სეიმს მოსთხოვა ბელორუს დეპუტატთა გაცემა, სავსებით იკისრა პასუხისმგებლობა პროცესისათვის".

დასასრულ, „რაბოტნიკ"-ი მოითხოვს ბელორუსთა გრომადის პროცესის გადასინჯვას.

გაზეთ „გლოს პრავდი"-ს განცხადებასთან დაკავშირებით, ბელორუსული გაზეთები აღნიშნავენ, რომ მარტში ბელორუსიაში ირჩევა მრავალი პოლიტიკური საქმე, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ბელორუსული გრომადის ვილნოს პროცესთან. პასუხისგებაშია მიცემული 187 კაცი. (ადნ)

მოითხოვენ წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლას

ბერლინი, 3 იანვარი. პრუსიის ლანდტაგის ნაციონალისტთა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა, რომელშიაც პრუსიის მთავრობისაგან მოითხოვს წითელფრონტელთა კავშირის დაშლას. შეკითხვის დასაბუთებაში აღნიშნულია ის შეტაკება, რომელიც მოხდა ნაციონალისტებსა და წითელ ფრონტელებს შორის 9 ნოემბერს. (ადნ).

რეაქციონური შეთქმულების აღმოჩენის გარშემო

სტამბოლი, 3 იანვარი. მალე დასრულდება გამოძიება სმირნაში და სხვა ქალაქებში აღმოჩენილი რეაქციონური შეთქმულების საქმეზე.

გაზეთების ცნობით, პასუხისგებაში მიცემულ პირებს ბრალდებათ პრეზიდენტზე თავდასხმის მომზადება. კანონის ის მუხლები, რომლებიც წაუყენეს ბრალდებულთ, ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას და მუდმივ დაპატიმრებას. (ადნ).

საქ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილება

სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრები

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ, მოისმინა და განიხილა რა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება სახალხო მეურნეობის 1928-29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ, დაადგინა:

1. საკონტროლო ციფრები მათი საერთო მოცულობით, ტემპით და თვისებრივი დანიშნულებით დამტკიცებულ იქნან.

2) წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და სამეურნეო ორგანიზაციას — ოპერატიული და სამეურნეო გეგმების შედგენის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი დირექტივებით:

I. სოფლის მეურნეობა

1) აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის გადიდება 1928 სამეურნეო წლისათვის უდრის 5,7 პროცენტს (ომის წინადროინდელი ფასებით), ხოლო ამ პროდუქციის სასაქონლო ნაწილის გადიდება —8,4 პროცენტს.

2) დადასტურებულ იქნას, რომ პურის პროდუქტების დეფიციტი (1926 წლის 1 ოქტომბრის მაჩვენებლებით) უდრის 213 ათას ტონას (13 მილიონ ფუთს).

3) დადასტურებულ იქნას, რომ საჭიროა გადიდება შემოდგომის ნათესის —8 პროცენტით (1928 წელთან შედარებით), ხოლო გაზაფხულის ნათესის—10 პროცენტით; წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — მიიღოს ყოველგვარი ზომები ამის განსახორციელებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ცუდი მოსავლის შედეგების აღმოფხვრას დასავლეთ საქართველოში და მოსავლიანობის გადიდებას 1-2 პროცენტით (ცალკე რაიონების მიხედვით), ისე, რომ საერთო მოსავალი 1929 წელს, 1926 წელთან შედარებით გადიდდეს 19 პროცენტით; ამისათვის, აგროდახმარების გაძლიერებასთან ერთად, მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის არსებული რაოდენობა; მაქსიმალურად განხორციელებულ უნდა იქნას აგრეთვე მანქანების მიწოდების დასახული გეგმა.

მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების დირექტივასთან დაკავშირებით, სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალოს შეადგინოს მინერალური სასუქის წარმოებისა და ამ სასუქის სოფლის მეურნეობისათვის მიწოდების გეგმა; ეს გეგმა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 1929 წლის 1 თებერვლისა.

4) დადასტურებულ იქნას საქონლის გამრავლება 1928 წელს (მსხვილფეხა საქონელზე გადაყვანით) 1 პროცენტით (ამასთან ცხენების გამრავლება უდრის 2,6 პროცენტს, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის—1,3 პროცენტს, ძროხების რაოდენობა სტაბილურ მდგომარეობაშია, მუშა-საქონლის გამრავლება—1,7 პროცენტს, ცხვრის შემცირება—3,4 პროცენტს და ღორის გამრავლება—2,2 პროცენტს).

სპეციალური ყურადღება მიექცეს იმ შედეგების აღმოფხვრას, რომელიც მოჰყვა ცხვრისა და ძროხის დახოცვას და მიღებულ იქნას ზომები მესაქონლეობის ამ დარგის შემდგომი, უფრო სწრაფი განვითარებისათვის.

5) საჭიროდ იქნას ცნობილი კონტრაქტაციის გავრცელება თამბაქოს, ბამბის, კანაფის, აბრეშუმის მთელ სასაქონლო პროდუქციაზე, (თამბაქოს ნათესის სივრცე—16.700 ჰექტარი, ბამბის—9.000 და კანაფის—500 ჰექტარი), ხოლო მარცვლეულის—47.000 ჰექტარზე (შემოდგომის ნათესის 7.000 ჰექტარი და გაზაფხულის ნათესის—40.000 ჰექტარი), აგრეთვე მატყლის იმ რაოდენობაზე, რაც გათვალისწინებულია დამზადების გეგმით (1910 ტონა).

6) წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს განზრახული მორწყვა (უმთავრესად ალაზნისა და ტირიფონის ველზე) წარმოებულ იქნას იმგვარად, რომ საკონტროლო წელს მივიღოთ 15.5 ათასი ჰექტარი მორწყული მიწა და დამთავრდეს მთელი კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სქემის შედგენა და ქალადიდ-სენაკის მორწყვის წინასწარი პროექტის შედგენა.

დაევალოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ერთად, შეადგინოს ახლად დასამუშავებელი მიწების სივრცის გამოყენების გეგმა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის საშუალებით წარადგინოს ეს გეგმა დასამტკიცებლად სახკომსაბჭოში.

7) აღინიშნოს, რომ 1928-29 წელს კოლმეურნეობებში უნდა გაერთიანდეს 5.106-დან (1927-28 წ.) 12.000-მდე (პლიუს 130 პროც. 1927-28 წელთან შედარებით) ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა.

8) რესპუბლიკანური საბჭოთა მეურნეობების დარგში საჭიროდ იქნას ცნობილი არსებული ჩაის საბჭოთა მეურნეობის გაფართოვება 300 ჰექტარით, მოეწყოს მეთამბაქოობის ახალი საბჭოთა მეურნეობა აფხაზეთში 250 ჰექტარზე და ერთი გაერთიანებული (მესაქონლეობის და მემინდვრეობის) საბჭოთა მეურნეობა შირაქში; სერიოზული ყურადღება მიექცეს აგრეთვე არსებულ საბჭოთა მეურნეობების გაჯანსაღებას და იმას, რომ საბჭოთა მეურნეობებმა აგრიკულტურული დახმარება გაუწიოს მახლობელი სოფლების მოსახლეობას.

წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიას აღრიცხოს ყველა ის არსებული ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც აღმასკომებისა და სხვა ორგანიზაციების გამგებლობაში იმყოფებიან, შეიმუშაოს ამ მეურნეობათა შემდგომი განვითარების გეგმა და ეს გეგმა სახკომსაბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად არა უგვიანეს 1929 წლის 1 იანვრისა.

9) მიწათმოწყობის დარგში საჭიროდ იქნას ცნობილი 25.000 კომლის ტერიტორიის მოწყობა.

საჭიროდ იქნას ცნობილი კოლექტიური მეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სრული მიწათმოწყობის ჩატარება.

10) განხორციელდეს 1.900 გლეხური მეურნეობის გადასახლება (რესპუბლიკის შიგნით და სოჭის მაზრაში).

II. მრეწველობა

1) მიღებულ იქნას ცნობად, რომ მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა საერთო რიცხვი 1928-29 წლისათვის ნავარაუდევია 20.8 ათასი კაცის რაოდენობით, რაც 36,6 პროცენტით აღემატება 1927-28 წლის რაოდენობას ხოლო სახელმწიფო მრეწველობაში ჩაბმული რიცხვი დამტკიცებულ იქნას 20,2 ათასი კაცის რაოდენობით, აქედან სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გამოძახილი გერმანიაში

მოსკოვი, 4 იანვარი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი ეხება იმ დიდ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა გერმანიაში ამხ. ლიტვინოვის ნოტამ პოლონეთისადმი.

გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგ"-ი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტას შეუძლია მოიტანოს უდიდესი შედეგები მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებისათვის. პოლონეთი ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მას არ ძალუძს უარყოს საბჭოთა მთავრობის წინადადება.

გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ კვლავ მისცა მთელ ქვეყანას იმის დასამტკიცებელი საბუთი, რომ ეს მთავრობა მშვიდობიანობის თავგამოდებული დამცველია.

„ბერლინერ ტაგებლატ"-იც ასეთივე მოწონებით იხსენიებს ამხ. ლიტვინოვის ნოტას და აცხადებს, საბჭოთა დიპლომატიამ თავისი უკანასკნელი ნაბიჯით ცხადჰყო, რომ ის სდგას მოწოდების სიმაღლეზე. ლიტვინოვის ნოტა უთუოდ შეიძლება მიჩნეულ იქნას მოხდენილ ნაბიჯად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიმართ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა ისტორიკოს - მარქსისტთა კონფერენციაზე

მოსკოვი, 4 იანვარი. მიმდინარე ისტორიკოს - მარქსისტთა სრულიად საკავშირო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე. ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა მომხსენებლის თეზისებში შეტანილ იქნას ზოგიერთი დამატებანი.

ბოლშევიზმი არის, განაცხადა ამხ. ფილიპე მახარაძემ, შეგნებული ჩარევა კაცობრიობის ისტორიაში იმ მიზნით, რათა შეცვლილ იქნეს არსებული მდგომარეობა. ეს მომენტი უნდა შეტანილ იქნას თეზისების იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ჩვენი პარტიის ისტორიაზე, როგორც ცალკე მეცნიერებაზე.

ეროვნებათა საბჭო სას.-სამ. კოოპერაციის შესახებ

მოსკოვი, 4 იანვარი. ეროვნებათა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება ეროვნულ რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხელმძღვანელობის საკითხს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში. საბჭო აღნიშნავს, რომ დღემდე მთელ რიგ ნაციონალურ რესპუბლიკებში ცენტრალური სამეურნეო ორგანიზაციები და თვით სას.-სამ. კოოპერ. მომწესრიგებელი ორგანოები ზერელედ ეკიდებიან სას.-სამეურნეო კოოპერაციაზე ხელმძღვანელობის საკითხს. სათანადო ყურადღება არ ექცევა ღარიბ გლეხკაცობის გაერთიანებას სას.-სამეურნეო კოოპერაციაში. დაბალი საფეხურის კოოპერატიულ უჯრედებში მეტად მცირეა საბრუნავი თანხა, სუსტად არის დაყენებული კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, ქალთა შორის მუშაობაც მეტად მოიკოჭლებს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ეროვნებათა საბჭო აძლევს დირექტივებს ცალკე რესპუბლიკათა საგეგმო კომისიებს, მიწათმოქმედების და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს და სახელმწიფო გამომცემლობებს.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა

საქართველოს სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრებს, რომლებსაც ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ჩვენში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ასეთი ციფრები დამუშავდა, მაშინ, როცა საკავშირო მასშტაბით უკვე მესამეჯერ იქნა საკონტროლო ციფრები შედგენილი სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო კონკრეტულ გეგმის დასასახავად. სრულიად სამართლიანად აუცილებლად იქნა ცნობილი, საკავშირო საკონტროლო ციფრების გვერდით, მათ საფუძველზე, თითოეულ რესპუბლიკას ცალკე ჰქონდეს თავისი საკონტროლო ციფრები, რომელნიც, რა თქმა უნდა, სავსებით უნდა ითვალისწინებდნენ ადგილობრივ თავისებურებებს და საჭიროებს. ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობის საკონტროლო ციფრების დამუშავება უეჭველად საგრძნობი მიღწევაა მშენებლობაში მეტი გეგმიანობის შეტანის მხრივ.

ხსენებული საკონტროლო ციფრები შეიცავენ ჩვენი სახალხო მეურნეობის დასახულ განვითარების ციფრობრივ გამოხატულებას 1927—28 წლისათვის. ისინი ამავე დროს გვიჩვენებენ, თუ როგორი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების ზრდის შეფარდება, რომ უზრუნველვყოთ სოციალისტური მშენებლობის რაც შეიძლება ჩქარი ტემპი. ამ მიზნით აგრეთვე დასახელებულია მთელი რიგი ღონისძიებები.

სოციალიზმის გამარჯვების ეკონომიურ საფუძველს მძიმე ინდუსტრიის განვითარება წარმოადგენს. როგორც ვიცით, ჩვენი ქვეყანა მრეწველობის მხრით საერთო, კერძოდ მძიმე მრეწველობის დარგში ძალზე ჩამორჩენილი იყო, რაც მიეწერება მეფის მთავრობის კოლონიალურ პოლიტიკას და მენშევიკების სრულ უმოქმედობა-უუნარობას და მათი მხრით იმის დანგრევას, რაც მოიპოვებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ არამც თუ აღადგინა განადგურებული მრეწველობა, არამედ ხელი მოკიდა ახალ სამრეწველო დარგების შექმნას. და აქ მიღწევები უეჭველად უდიდესი გვაქვს.

საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ მრეწველობის შემდგომ განვითარებას. ამასთან, შესაძლებლობის ფარგლებში აღებულია ზრდის მაქსიმალური ტემპი. მთელი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება ნავარაუდევია 57,1 პროც.-ით 1927—28 წელთან შედარებით (26—27 წ. უცვლელ ფასების მიხედვით). ამავე დროს წარმოების საშუალებათა დამამზადებელ დარგების საერთო პროდუქციის ზრდა უნდა უდრიდეს 66 პროც., ხოლო მოხმარების საგნების დამამზადებელ დარგებისა —51.6 პროც. ამგვარად, მძიმე ინდუსტრიის განვითარება მნიშვნელოვნად აჭარბებს მსუბუქი მრეწველობისას, და, ამგვარად, პარტიის გენერალური ხაზი, რომელიც გულისხმობს მძიმე მრეწველობის მსუბუქთანაზე შედარებით უფრო სწრაფ განვითარებას, სავსებით დაცულია.

საგრძნობლად გადიდებულია კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობაც: მრეწველობაზე 35,3 პროცენტით, ელექტრო მშენებლობაზე — 67,8 პროცენტით.

რომ ამან საჭირო ეფექტი მოგვცეს და რომ საერთოდ მიღწეულ იქნას მრეწველობის განვითარების ვარაუდის მთლიანად განხორციელება, აუცილებელია ჩვენი მუშაობის რაციონალიზაცია, პირველ ყოვლისა კი, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლება და შრომის ნაყოფიერების გადიდება. ორივე ამ დარგში ჩვენ ჩამორჩენილი ვართ და მდგომარეობა უთუოდ უნდა გამოვასწოროთ. საკონტროლო ციფრები ამ მხრივ სათანადო დირექტივებს იძლევიან.

საკონტროლო ციფრები, ბუნებრივია, უდიდეს ყურადღებას აქცევენ ჩვენი სახალხო მეურნეობის მეორე ძირითად დარგს — სასოფლო მეურნეობას. საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებით სასოფლო მეურნეობის განვითარების დონემ გადააჭარბა ომის წინანდელ დროის მდგომარეობას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ არის საკმარისი. რა ამოცანები დგას ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის შემდგომი ამაღლების საქმეში? პირველ ყოვლისა თვალში გვეცემათ სოფლის მეურნეობის დაბალი ნაყოფიერება. ამას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს. აგრიკულტურული ზომების გატარება, გლეხებისათვის მანქანა - იარაღების და სასუქ მასალის მიწოდება, მიწათმოწყობის დაჩქარება და სხვ.—აი, რაა საჭირო ხორბლეულ და ტექნიკურ კულტურათა განვითარებისათვის, რაც აუცილებელია მრეწველობისათვის ნედლეულ მასალის შესაქმნელად და პურეული პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს ცნობილია, რომ ჩვენ მიწის ნაკლებობას განვიცდით. უნდა მივმართოთ ყოველი ზომა მელიორაციის სამუშაოების გასაფართოებლად და ამ გზით მიღებულ ახალ მიწების რაციონალური გამოყენებისათვის. საკონტროლო ციფრები ყველა ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ღონისძიებები სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის გასადიდებლად. ამ მხრივ, სხვათა შორის, კონტრაქტაციის სისტემას, რომელიც ფართედ უნდა იქნეს გავრცელებული, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის აკავშირებს მშრომელ გლეხობას და აახლოვებს მას მრეწველობასთან. გარდა იმისა, რომ ეს სისტემა თავისთავად ხელს უწყობს სოფლის საწარმოო ძალების ზრდას, გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა, ცხადია, აქვს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივებში გაერთიანებას და საბჭოთა მეურნეობების ზრდას. საკონტროლო ციფრები ამ მხრივ გარკვეულ მითითებებს გვაძლევენ. ამავე დროს აღნიშნული ციფრები შეიცავენ კატეგორიულ დირექტივას მოსახლეობის კოოპერატიული გაერთიანების გადიდების შესახებ, როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით მეურნეობის სხვა დარგებზე და საკითხებზე, რომლებსაც საკონტროლო ციფრები ეხებიან. ნათქვამიც ნათლად გვიჩვენებს ამ ციფრების მნიშვნელობას. საკონტროლო ციფრები საფუძვლად უნდა დაედონ სხვადასხვა უწყებების და სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო - ოპერატიულ გეგმებს. მათ მიცემული აქვთ ორიენტაცია, მშენებლობის ფარგლები, რაც დიდათ გაადვილებს ამ გეგმების სწორად შედგენას. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის: კარგ გეგმის დამუშავებასთან უნდა სდევდეს მისი მტკიცედ და რიგიანად შესრულება. ამ მხრივ უნდა გაძლიერდეს კონტროლი როგორც სათანადო ორგანოების, ისე მშრომელთა საზოგადოებრიობის მხრით.

X.

ინგლისელები სწვავენ სპარსელ გლეხების სახლებს

თეირანი, 3 იანვარი. მეშედის გაზეთ „აზადი"-ს მოჰყავს მაგალითები, თუ როგორ აბუჩად იგდებს „სამხრეთის ნავთის" კომპანია სპარსელ მუშებს, რომელნიც ცხოვრობენ კონცესიის ტერიტორიაზე.

„ბაგი-სეიდ-მამედის მიწაზე ცხოვრობდა რამდენიმე სპარსელი, რომელთაც უარი განაცხადეს უსასყიდლოთ დაეთმოთ კომპანიისათვის თავიანთი საცხოვრებელი ბინები. ერთ მშვენიერ დღეს ამ სპარსელების სახლები მოულოდნელად გაანადგურა ხანძარმა. ხანძრისაგან დაიღუპა სწორედ იმდენი სახლი, რამდენიც საჭირო იყო კომპანიისათვის. კომპანიამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია დაზარალებულ სპარსელთა ცდას აღედგინათ დამწვარი შენობები. ბოლოს სპარსელები გადასახლდნენ ახმედ-აბადში.

მეორე ადგილას ბერიმის მიწაზე. კომპანიას უნდოდა მოეწყო გასართობი ინგლისელთათვის. ერთ ღამეს ამ რაიონში სახლებს ხანძარი ოთხივე მხრიდან მოედო, დაიწვა 80 სახლზე მეტი (ადნ).

მკერავთა ახალი კავშირი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. მკერავთა პროფკავშირისა და ბეწვეულის მუშათა კავშირის მემარცხენე ფრთის გაერთიანებულმა ყრილობამ დაადგინა, შექმნას ნემსის მუშაკთა ახალი კავშირი. ახალი კავშირის წესდებაში ხაზგასმულია კლასობრივი ბრძოლისა და კავშირის პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპი. ყრილობაზე გამოვიდნენ ფოსტერი, გიტლოუ და უორკერ-პარტის (კომუნისტური პარტიის) სხვა წარმომადგენლები.

მემარცხენეთა ახლად დაარსებული კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიმანი, მდივნად—გოლდი. დამფუძნებელმა ყრილობამ დაადგინა, გაგზავნოს დელეგაცია პროფინტერნში. პროფინტერნთან შეერთების საკითხი გადაიდო. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას და მუშა ნეგრების სრულ თანასწორობას. რეზოლიუციაში გამოცხადებულია პროტესტი ფაშიზმის წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო დაწესებულებებში — 14,4 ათასი კაცი.

2) მიღებულ იქნას ცნობად, რომ მთელი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია დასახულია 103,4 მილიონი მანეთის რაოდენობით სათანადო წლების ფასებით (+56,3 პროც.) და 107,9 მილიონი მანეთის რაოდენობით 1926-27 წლისა უცვლელი ფასებით (+57.1 პროც.).

დამტკიცებულ იქნას სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ზრდა 93,3 მილიონ მანეთამდე, აქედან საქართვ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს მრეწველობის—55,6 მილიონ მანეთამდე.

დაევალოს საქართვ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს და საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ერთი თვის განმავლობაში დამატებით დაამუშაონ საკითხი პროდუქციის ზრდის ტემპის გადიდების შესახებ სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს წარმოებებში და შედეგები აცნობონ საქართველოს სახკომსაბჭოს.

3) მიღებულ იქნას ცნობად მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ზრდა, 1926-27 წლის უცვლელი ფასებით, სამთო და სამთო-საქარხნო მრეწველობაში+69,3 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების დარგში+58 პროცენტით და სამრეწველო ნედლეულის გადამუშავების დარგში—51 პროც.

4) საერთო პროდუქციის ზრდა მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც უმთავრესად ამზადებენ საწარმოო საშუალებებს (ჯგუფ „A") განსაზღვრულ იქნას 66 პროცენტით (1926-1927 წლის უცვლელი ფასებით), ხოლო მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ამზადებენ მოხმარების საშუალებებს (ჯგუფი „B")—51,6 პროცენტით.

5) რადგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარგანეცის მრეწველობის გეგმის შესრულებას. (გარეცხილი მადნის ექსპორტი—513 ათასი ტონა როგორც მინიმუმი, აყვანილ უნდა იქნას 763 ათას ტონამდე), წინადადება მიეცეს სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, გაატაროს ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ წარმოებებმა მიიღონ საკონტროლო ციფრებით დასახული მასალის და ფულის საჭირო რაოდენობა.

6) რადგან წარსულ წელს თვალსაჩინო თანხები იქნა დაბანდებული სახელმწიფო მრეწველობაში, 1928-29 წლის მთავარ ამოცანად ცნობილ იქნას თვითღირებულების შემცირება არა ნაკლებ 8 პროცენტით, ამავე დროს უნდა გაუმჯობესდეს საქონლის ხარისხი და ასორტიმენტი, უნდა შემცირდეს სათბობის, ნედლეულის და დამხმარე მასალის მოხმარების ნორმები და უნდა გაიზარდოს შრომის ინტენსიობა.

7) დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას—შეისწავლოს თვითღირებულების შემცირების საკითხი მრეწველობის ცალკე დარგებში და შედეგები აცნობოს სახკომსაბჭოს არა უგვიანეს 15 იანვრისა, რათა სახ. მეურ. უმაღლესმა საბჭომ და სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ-საწარმოო ორგანიზაციებმა სათანადოდ დამუშავებული ცნობები საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინონ არა უგვიანეს 1929 წლის 1 იანვრისა.

8) დაევალოს სახელმწ. საგეგმო კომისიას და სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს—შეისწავლონ სამრეწველო პროდუქციის გასაცემი ფასების შემცირების საკითხი და შედეგები აცნობონ სახკომსაბჭოს 1 ნახევარი თვის განმავლობაში.

9) საჭიროდ იქნას ცნობილი მშენებლობის ინდექსის შემცირება 15 პროცენტით.

10) რადგან საშუალო გამომუშავების ზრდა 1 მუშაზე შეადგენს 15 პროცენტს მთელ საცენზო მრეწველობაში (1926-27 წლის უცვლელი ფასებით), დამტკიცებულ იქნას მუშის საშუალო ხელფასის გადიდება 5 პროცენტით.

11) დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოსთან ერთად, შეისწავლოს შინამრეწველურ-ხელოსნური და წვრილი მრეწველობის მდგომარეობის საკითხი და შედეგები 1 თვის განმავლობაში აცნობოს სახკომსაბჭოს.

საქონლის კრიზისის შესამსუბუქებლად დაევალოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს და ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს — ყურადღება მიაქციონ ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების რეგულიარულად მიწოდებას შინამრეწველებისათვის.

III. შრომა

1) მიღებულ იქნას ცნობად დაქირავებული პერსონალის საერთო ზრდა 7,1 პროცენტით, ამ პერსონალის ზრდა მრეწველობაში — 27,5 პროცენტით, მშენებლობაში — 15,1 პროცენტით და ვაჭრობაში — 10 პროცენტით.

2) დადასტურებულ იქნას მთელი დაქირავებული პერსონალის საშუალო - თვიური ხელფასის დასახული ზრდა 4,9 პროცენტით.

3) უმუშევრობასთან საბრძოლველად, საზოგადო სამუშაოთა და კოლექტივების მოწყობასთან ერთად, შრომის სახ. კომისარიატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უმუშევართა გადამზადებას.

4) რადგან სოციალური დაზღვევის ორგანოები დეფიციტიანი ორგანოები არიან, წინადადება მიეცეს სოცდაზღვევის სამმართველოს — გადასინჯოს შეღავათიანი დაზღვევის ტარიფზე გადაყვანილ წარმოებათა სია მათი შემცირების მიზნით და სათანადო მოხსენება წარუდგინოს სახკომსაბჭოს ერთი თვის განმავლობაში.

IV ვაჭრობა

1) საქონლის საერთო გეგმიანი წესით შემოზიდვა განსაზღვრულ იქნას 135 მილიონი მანეთის რაოდენობით. რაიც 86 პროცენტით აღემატება წარსული წლის გეგმიანი წესით შემოზიდვას.

2) სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების გეგმიანი წესით დამზადების საერთო რაოდენობა განსაზღვრულ იქნას 35 მილიონი მანეთის რაოდენობით (რაც 27 პროც.-ით აღემატება წარსული წლის რაოდენობას). სასაქონლო პროდუქტების დამზადება აყვანილ იქნას 42,6 პროცენტამდე, ნაცვლად 1927—28 წლის 36,3 პროცენტისა.

3) აღნიშნულ იქნას, რომ საერთო საშუამავლო საქონლის ბრუნვა გაიზარდა 10,9 პროცენტით, ამასთან სახკომსაბჭოში ეს ბრუნვა გაიზარდა — 10 პროცენტით, კოოპერაციაში — 22 პროცენტით, ხოლო კერძო ვაჭრობაში შემცირდა 8 პროცენტით.

4) რეალური ხელფასის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო, კოოპერატიულმა და სხვა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფართო მოხმარების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გეგმიანად მიწოდებას მუშათა რაიონებისათვის; დამზადებისათვის სტიმულის მიცემის მიზნით ამ ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ნედლეულის რაიონებმა გეგმის თანახმად და რეგულიარულად მიიღონ სამრეწველო საქონელი.

5) აღიარებულ იქნას, რომ სავაჭრო პუნქტები კოოპერაციაში გამრავლდა, 9,8 პროცენტით, სახვაჭრობაში — სტაბილური მდგომარეობა, ხოლო კერძო სექტორში შემცირდა 10 პროც.

V. სოციალ-კულტურული მშენებლობა

1) სახალხო განათლების დარგში. ფინანსიური სიძნელეების გამო მიღებულ იქნას მხედველობაში პირველი საფეხურის სასკოლო ქსელის სტაბილიზაცია; პირველი საფეხურის სკოლების რიცხვი რამდენადმე გადიდებულ იქნას მხოლოდ ჩამორჩენილ რაიონებში; უზრუნველყოფილ იქნას პირველი საფეხურის სკოლების ნორმალური და ბუნებრივი ზრდა.

2) საჭიროდ იქნას ცნობილი სოფლად არსებული სამკითხველოების თანდათანობითი უზრუნველყოფა სათანადო შენობებით და ლიტერატურით; უზრუნველყოფილ იქნას აგრეთვე კინო-რადიოს ზრდა სოფლად.

3) საჭიროდ იქნას ცნობილი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ზრდის ტემპის გაძლიერება, რისთვისაც ლიკსკოლების რიცხვი გადიდებულ იქნას 16 პროცენტით (2.099 სკოლა, ნაცვლად 1.802 სკოლისა).

4) პროფტექნიკური განათლების განსაკუთრებული მდგომარეობისა და კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობის გამო, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდა გლეხთა სკოლების გაუმჯობესებას; დაევალოს განათლების სახ. კომისარიატს— სახელმწიფო საგეგმო კომისიის საშუალებით წარადგინოს სათანადო მოხსენება საქ. სახკომსაბჭოში არა უგვიანეს 1929 წლის 1 თებერვლისა.

5) სახალხო ჯანმრთელობის დარგში. მიღებულ იქნას ცნობად საექიმო პუნქტების გამრავლება 8 პროცენტით (260 პუნქტი ნაცვლად 240 პუნქტისა), 2 სასოფლო საავადმყოფოს გახსნა (რაჭა-ლეჩხუმის მაზრასა და სამხრეთ-ოსეთში) და პედოლოგიური ინსტიტუტის გახსნა.

6) სოციალურ უზრუნველყოფის დარგში. დადასტურებულ იქნას პენსიის გადიდება სხვადასხვა კატეგორიის პენსიონერებისათვის და დაევალოს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს — შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი მოხუცი გლეხების უზრუნველსაყოფად 1929—30 წლიდან.

VI. მოსახლეობის შეკავშირება კოოპერაციაში

1) მიღებულ იქნას ცნობად მოსახლეობის კოოპერაციაში შეკავშირების ზრდა სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით 16,4 პროცენტით, ამასთან პაის პატრონთა რიცხვი გადიდებულ იქნას 427.000-მდე, ნაცვლად წარსული წლის 366,8 ათასისა.

2) საჭიროდ იქნას ცნობილი კოოპერაციაში შეკავშირებულ მეურნეობათა რიცხვის გადიდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 22,6 პროცენტით, იმ ანგარიშით, რომ კოოპერაციაში ჩაბმული მეურნეობანი შეადგენდნენ მეურნეობათა საერთო რიცხვის 51 პროცენტს.

3) კოოპერაციაში შინამრეწველთა სუსტი შეკავშირების გამო, საჭიროდ იქნას ცნობილი კოოპერაციაში შეკავშირებულ წევრთა გამრავლება 60,4 პროც., ესე იგი მათი აყვანა 12 ათასამდე; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შინამრეწველებს, რომლებიც საამშენებლო მასალის დამზადების დარგში მუშაობენ.

საჭიროდ იქნას ცნობილი საბინათო-საამშენებლო კოოპერაციის გადიდება 7,7 პროცენტით, ხოლო საბინათო-საიჯარო კოოპერაციის გადიდება — 250 პროცენტით.

VII. ბიუჯეტი და კრედიტი

1) დადასტურებულ იქნას რესპუბლიკანური ბიუჯეტის ნავარაუდევი ზრდა; ეს ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხული თანხებით უდრის 56,1 პროცენტს, ესე იგი 39.3 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1927—28 წლის 25,2 მილიონი მანეთისა, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხული თანხების გამოკლებით ზრდა უდრის 51,3 პროცენტს, ანუ 19,8 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1927—28 წლის 13,1 მილიონი მანეთისა.

2) დადასტურებულ იქნას ადგილობრივ ბიუჯეტის ნავარაუდევი ზრდა 19,5 პროც.-ით, ანუ 58,6 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1927—28 წლის 49 მილიონი მანეთისა.

3) მიღებულ იქნას ცნობად ხარჯისა და შემოსავლის საერთო მოცულობა ყველა სახის ბიუჯეტში (ადგილობრივი, რესპუბლიკანური, ფედერატიული და საკავშირო) 102,1 მილიონი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1927—28 წლის 79,6 მილიონი მანეთისა, ესე იგი ზრდა შეადგენს 28,3 პროცენტს.

4) მიღებულ იქნას ცნობად კრედიტების გადიდება სახალხო მეურნეობისათვის კომუნალურ ბანკში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში და სამრეწველო ბანკში 65,3 პროც.-ის რაოდენობით, ამასთან განაღდება-გასესხების ოპერაციების საერთო ნაშთი 1928—29 წლის დამლევისთვის განისაზღვროს 70,4 მილიონი მანეთით. ნაცვლად 1927—28 წლის დამლევის 42,5 მილიონ მანეთისა.

VIII. საგზაო მშენებლობა

საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებიდან 1928—29 წელს ექსპლოატაციაში გადაეცეს 3 ახალი გზა 117 კილომეტრის სიგრძით, იმ ანგარიშით, რომ ექსპლოატაციაში მყოფი რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების რიცხვი 1928—29 წელს უდრიდეს 12-ს 28-დან, ხოლო მათი კილომეტრაჟი— 589-ს 1043-დან (ესე იგი 56.5 პროცენტს).

IX. კაპიტალის დაბანდება განსაზოგადოებულ სექტორში

1) მიღებულ იქნას კაპიტალური დაბანდების ნავარაუდევი ზრდა განსაზოგადოებულ სექტორში 39,1 პროცენტით (55.7 მილიონი მანეთით, ნაცვლად 1927—28 წლის 40 მილიონი მანეთისა).

2) კერძოდ:

ა) სოფლის მეურნეობაში —10.5 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1927—28 წლის 6,3 მილიონი მანეთისა (+65, პროცენტის).

ბ) მრეწველობაში — 16,3 მილიონი მანეთი, ნაცვლად 12,1 მილიონი მანეთისა (+ 35,3 პროცენტის).

გ) ელექტრო - მშენებლობაში — 9,4 მილიონი მანეთი, ნაცვლად 5,6 მილიონი მანეთისა (+67,8 პროც.-ს).

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გარშემო

პოლონეთის პრესა საბჭოთა წინადადების შესახებ

ვარშავა, 4 იანვარი. პოლონეთის პრესა კვლავ გაცხოველებით მსჯელობს საბჭოთა წინადადების შესახებ, დისკუსიაში ახალი მომენტები ჯერ შეტანილი არაა. გაზეთების ერთად ერთი ახალი არგუმენტი ის არის, ვითომც საბჭოთა დიპლომატიის ნდობა არ შეიძლება, „რადგან მის ზურგს უკან კომინტერნი სდგას". ამ არგუმენტით სარგებლობენ განსაკუთრებით „პოლსკა ზბროინა" და „რობოტნიკი", მიუხედავად ამისა, პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო საჭიროდ სთვლის საბჭოთა წინადადების მიღებას. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებს განსაკუთრებით ის აინტერესებს, თუ როგორ შეხედავს საბჭოთა წინადადებას ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობა. ვაშინგტონის საყურადღებოდ ყველა გაზეთში დაბეჭდილია „შიკაგო ტრიბუნის" ნაკარნახევი წერილი, წერილში აღნიშნულია, რომ პოლონეთისადმი მიმართული სახ. მთავრობის ახალი წინადადება აქტუალურ საკითხად გადააქცევს ერთის მიერ რიგის ხელშეკრულებიდან ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობას. ამ წერილის ავტორი ჩამოსთვლის რიგის ხელშეკრულების ყველა მუხლს და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საბჭოთა კავშირის პოლონეთისადმი მართების დაახლოვებით 400 მილიონი ოქროს მანეთი, რამდენადაც ეს თანხა საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის 5 პროცენტს შეადგენს. საბჭოთა მთავრობას, ავტორის აზრით, შეუძლია ამ ვალდებულების განაღდება. განსაკუთრებით დამახასიათებელია წერილის მოლი აბზაცი სადაც ნათქვამია: „ამერიკა დიდად აფასებს საერთაშორისო ვალდებულებათა ზედმიწევნით შესრულებას. ამერიკის აზრით, რომ საბჭოებს კეთილი განზრახვა აქვთ პოლონეთის მიმართ, უფრო ადვილია რიგის ხელშეკრულების შესრულებით, ვიდრე კელოგის ზე-პაქტის შემოთავაზებით. ეს ზემიდან ნაკარნახევი წერილი, რომელიც გაზეთებს დაეგზავნათ „პრის"-ის სააგენტოს საშუალებით დაიბეჭდა ერთერთ ოფიციოზურ „ეპოქაში"; იგი წარმოადგენს ამ ოფიციოზის პირველ გამოხმაურებას საბჭოთა წინადადებაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნახევრად ირონიულ შენიშვნებს პირველი ცნობების გამო საბჭოთა წინადადების შესახებ. (ადხ).

„პოლონეთის თეზისი"

ვენა, 4 იანვარი. ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის მთავრობამ პოლონეთში აცნობა ვითომც საბჭოთა კავშირი იწონებდეს პოლონეთის თეზისს იმის შესახებ, რომ რუმინეთმა მონაწილეობა მიიღოს პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკებაში კელოგის პაქტის გამო. შემდეგ ნათქვამია, რომ რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამის შესახებ მოახსენა პრემიერ მანიუს, რომელმაც თავის მხრით იგივე აცნობა რეგენტის საბჭოს. რუმინეთის მთავრობას ჯერ არ გაუცია პასუხი პოლონეთისათვის.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: სააგენტოს მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გარეშე საქმეთა კომისარიატს არ მიუღია არავითარი „პოლონეთის თეზისი" რუმინეთის მონაწილეობის შესახებ პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკებაში და საერთოდ საბჭოთა კავშირს არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია პოლონეთთან მას შემდეგ, რაც ლიტვინოვმა ნოტა გადასცა პოლონეთს. (ადხ).

რუმინეთის პრესა საბჭოთა წინადადების შესახებ

ვენა, 4 იანვარი. ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის პრესა განაგრძობს მსჯელობას ლიტვინოვის წინადადების გამო. პოლონეთისადმი მიმართულმა საბჭოთა წინადადებამ ინტერესი გააცხოველა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ურთიერთობის შესახებ. თათბირი გამართეს გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ყოფილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ და საფრანგეთის ბუქარესტელმა ელჩმა. თათბირზე განიხილეს ეს საკითხი ტაქტიკისა, რომელსაც რუმინეთი უნდა დაადგეს პოლონეთის წინადადების გამო, რომ რუმინეთმა მონაწილეობა მიიღოს პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკებაში. ბუქარესტიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების თანახმად, რუმინეთმა პოლონეთის წინადადების პასუხად განაცხადა რომ არის მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში. მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილი რუმინეთის პრესა აცხადებს: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ პოლონეთისა და საბჭოთა წინადადება არ წინააღმდეგ რუმინეთისათვის გვერდის ახვევას, რადგან საბჭოთა წინადადებაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირი მიმართავს მხოლოდ იმ მეზობელ ქვეყნებს, რომლებმაც კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინესო". შემდეგ იგივე პრესა ამბობს: „თუ საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურს მშვიდობიანობა, რუმინეთი დარწმუნებულია ვერ ხედავს მოლაპარაკებისათვის, რომელსაც მიზნად მხოლოდ ის ექნება, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს კელოგის პაქტი". გაზეთი „ადევერულ" აზრით, საბჭოთა წინადადების მე-4 მუხლი საშუალებას აძლევს იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ოქმში არ არიან მოხსენებულნი, შეუერთდნენ საბჭოთა ოქმს.

აქედან უნდა დავასკვნათ, სწერს გაზეთი, რომ რუმინეთს შეუძლია გზადაგზა გადაჭრას ბესარაბიის საკითხი კელოგის პაქტის გამოყენების საფუძველზე. სახელდობრ აღიარებინოს საბჭოთა კავშირს, რომ ბესარაბია რუმინეთის ეკუთვნის; საჭიროა, საყოველთაოდ სტატუს ქვოს ცნობა, კელოგის პაქტის დედააზრის თანახმად (ადხ).

ყურადღება საბჭოთა წინადადებისადმი

ბერლინი, 4 იანვარი. „ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება: საბჭოთა მთავრობის საშვიდობო წინადადებას პოლონეთისადმი ბუქარესტში უდიდეს ყურადღებას აქცევენ. პრემიერი მანიუ დიდხანს ეთათბირა გარეშე საქმეთა მინისტრ მირონესკუს. „ბერლინერ ტაგებლატის" ბუქარესტელი კორესპონდენტი ამ თათბირს უკავშირებს იმ წინადადებას, რომელიც საბჭოთა მთავრობამ პოლონეთს მისცა (ადხ).

უცხოელთა ევაკუაცია ქაბულიდან

ლონდონი, 8 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სამხრეთ ქაბულიდან თვითმფრინავით გავიდა უცხოელთა ახალი პარტია (ადხ).

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მესამე ტირაჟი

მოსკოვი, 4 იანვარი. 13 იანვარს დაიწყება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მესამე ტირაჟი. სერიების ტირაჟი მოხდება საბჭოთა კავშირის 45 რაიონში. (ადხ).

საკავშირო ს.მ.უ.ს. კომისიის ჩამოსვლა

აჭარისწყალის ჰიდროსადგურის მშენებლობის გამოსაკვლევად

4 იანვარს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს „გლაველექტრო"-ს კომისია აჭარისწყალის ჰიდროსადგურის მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის მოსახდენად. ჩამოსულთა კომისიის თავმჯდომარე პროფესორი გრაფტიო და კომისიის წევრები დნეპროსტროის მშენებლობის ამერიკული კონსულტაციის უფროსი ინჟინერი ფერი და პროფესორი-გეოლოგი საჯარენკო.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მეგინაძე, გეოლოგი კინცურაშვილი და სხვ.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პროფესორმა გრაფტიომ განაცხადა:

„გლაველექტროს" კომისია და კერძოდ, მე უკვე გავეცანით სხვადასხვა მასალას აჭარისწყალის ჰიდრო-სადგურის მშენებლობის შესახებ. მაგრამ დასკვნისთვის მარტო მასალის გაცნობა არ არის საკმაო და კომისია ადგილობრივ დაწვრილებით გამოიკვლევს მთელ ნაგებობას, რამდენიმე ხანი წინად საკითხი დაისვა იმის შესახებ—საჭიროა თუ არა აჭარისწყლის ჰიდრო-სადგური. ერთ-ერთ საბუთად აჭარისწყლის ჰიდრო-სადგურის აგების წინააღმდეგ მოჰყავდათ ის გარემოება, რომ ამ სადგურის ენერგიის თვითღირებულება ნაკლები არ დაჯდება, ვიდრე ნავთით მომუშავე სადგურების ენერგიის ღირებულება. ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, ვინაიდან ავიწყდებათ, რომ ნავთი სულ სხვანაირად შეიძლება გამოვიყენოთ—გავყიდოთ იგი და ვალიუტა მივიღოთ.

საერთოდ აჭარისწყლის სადგური აჭარისტანისათვის საჭიროა. კომისიის ამოცანაა—გადაჭრას სადგურის უფრო ეკონომიურად დამთავრების საკითხი".

6 იანვარს, საღამოს კომისია ინჟინერ ზოზინაძის თანხლებით ბათომში მიემგზავრება.

პარტიაში

პარტიის დირექტივების გატარება გურიის ორგანიზაციაში

1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკამ მოახდინეს საქართველოს კომპარტიის (ბ) გურიის ორგანიზაციის გამოკვლევა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას გაერთიანებულმა პრეზიდიუმებმა, განიხილეს რა გურიის კომიტეტის მუშაობა, ამ უკანასკნელს მისცეს მთელი რიგი დირექტივები შენიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად და შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გურიის კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დირექტივების განხორციელებას. გურიის კომიტეტის მესამე გაფართოებული პლენუმი თემკომების და თემუჯრედების მდივნების და სამაზრო აქტივის თანადასწრებით ჩატარდა ამ დირექტივების განხილვის და ცხოვრებაში გატარების ნიშნით, ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაძლიერების, კომკავშირის შორის მუშაობის გაძლიერების, იდეოლოგიური გავლენის განმტკიცების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაძლიერების ნიშნით.

პრეზიდიუმის პირველსავე სხდომაზე დაიწყო საორგანიზაციო მუშაობა დირექტივების გასატარებლად. შემცირებულ იქნა ოზურგეთის საქალაქო თემკომი. გურიის ორგანიზაციის ყველა თემკომს და უჯრედს დაეგზავნა (ცირკულიარული წერილი— მიმართვა ორგანიზაციის მიმდინარე ამოცანების შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას დადგენილებასთან დაკავშირებით. მთელ ორგანიზაციაში განხილულ და დამუშავებულ იქნა უმაღლესი პარტორგანოების დირექტივები. გურიის კომიტეტთან მიმაგრებულ იქნა 8 უჯრედი, რომლებსაც უშუალო კავშირი ექნებათ სამაზრო კომიტეტთან. მოხსნილია თანამდებობიდან საბჭოთა ორგანიზაციების მთელი რიგი ხელმძღვანელები, რომლებიც არ შეეფერებოდნენ თავის დანიშნულებას.

სამაზრო კომიტეტის ყველა განყოფილებას და საბჭოთა ორგანიზაციების ყველა ფრაქციას მიეცა წინადადება თავიანთი საოპერაციო გეგმა შეადგინონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას დადგენილების მიხედვით.

მიღებულია ზომები ლანჩხუთის ორგანიზაციის გამაჯანსაღებლად.

მიღებულია აგრეთვე ზომები სახალხო განათლების დარგში არსებული დეფექტების გამოსასწორებლად.

სადგილმამულო განყოფილებას მიეცა წინადადება დაამუშაოს სუბტროპიკული მეურნეობის საქმეთა დიდი მეურნეობის მოწყობის საკითხი და სხ. მიღებულია მთელი რიგი საორგანიზაციო ღონისძიებანი საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას დირექტივების განსახორციელებლად. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ერთი არანორმალური მოვლენა. ზოგიერთ ამხანაგს ხსნიან ერთი თანამდებობიდან, როგორც უვარგისს და იქვე ნიშნავენ მეორე თანამდებობაზე. ასე, მაგალითად, სამაზრო სადფინანსო განყოფილების გამგე მ. სიმულიძე განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან, როგორც სუსტი მუშაკი და იქვე დანიშნულ იქნა ლანჩხუთის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ლანჩხუთის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა გაცილებით უფრო რთულია, და რომ თუ მუშაკი სუსტია სამაზრო სადფინანსო განყოფილებაში სუსტი იქნება საორგანიზაციო განყოფილებაშიაც. მართალია, ერთი თვის შემდეგ ადგილიდან გადაყენეს და დანიშნეს პოლიტგანის გამგედ.

მეორე მაგალითი: ლანჩხუთის სატყეო გამგე და თანამშრომლები მოხსნეს და გადაიყვანეს სხვა რაიონებში, ხოლო მასალები მათ წინააღმდეგ ბრალდებათა შესახებ განზრახული აქვთ გადაუგზავნონ პროკურორს. თუ ამ თანამშრომლებს ბრალი ედებათ ისეთ რამეში, რაც მოითხოვს პროკურორის ჩარევას, ყველა ისინი ან სრულებით უნდა მოეხსნათ ან უნდა მიეცათ სასამართლოს გამოძიებამდე მაინც.

აი, ეს მოვლენები უნდა იქნას აღნიშნული როგორც არანორმალური.

კომკავშირში

26 კომუნარის რაიონის მე-16 კონფერენცია

მეოთხე სხდომა

კონფერენციის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ადამიანის მოხსენება კულტურული მშენებლობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ფურცკამ, ბახიევმა, კაზაროვმა და სხვ.

კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ რეზოლუციაში სხვათა შორის ნათქვამია: „ისეთი რთული ამოცანა, როგორიცაა კულტურული რევოლიუციის ჩატარება, მოითხოვს კომკავშირის მიერ უდიდეს მუშაობას და აქტიურ მონაწილეობის მიღებას კომუნისტურ პარტიასთან ერთად ამ დიად საქმეში.

თვითეული ნაბიჯი, გადადგმული წინ კულტურულ მშენებლობის დარგში წარმოადგენს მუშათა კლასის გამარჯვებას სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. კულტურული რევოლიუციის გარეშე შეუძლებელია მუშათა კლასის მიერ სოციალიზმის მშენებლობა. კულტურულ ლაშქრობამ, რომელსაც ამჟამად ატარებს კომკავშირის ორგანიზაცია უნდა ჰპოვოს მტკიცე გამოძახილი და დახმარება საზოგადოებრივ-პროფესიონალურ ორგანიზაციებში და საერთოდ მშრომელთა ფართო მასებში"

მეხუთე სხდომა

მეხუთე სხდომაზე აწარმოებდნენ მუშაობას განყოფილებების კომისიები. პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად რაიკომის მოხსენების ირგვლივ.

მეექვსე სხდომა

კონფერენციის ბოლო სხდომაზე არჩეულ იქნა რაიკომის ახალი შემადგენლობა 45 წევრისა და 17 კანდიდატისაგან.

რაიკომის I-ლი პლენუმი

3 იანვარს შესდგა ა. ლ. ქ. კავშირის 26 კომუნარის სახელობის რაიკომის პლენუმის სხდომა, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: რაიკომის პრეზიდიუმის არჩევა, ფუნქციების დანაწილება და ინფორმაციული მოხსენება კულტურული ლაშქრობის შესახებ.

რაიკომის პრეზიდიუმი არჩეულ იქნა 17 წევრის და 5 კანდიდატის შემადგენლობით. რაიკომის მდივნად ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ბაბაიანი, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ—ამხ. ტაბიძე, საგიტ-საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილების გამგედ არჩეულ იქნა ამხ. შახტიანი და შრომისა და განათლების განყოფილების გამგედ ამხ. კაპრიშვილი.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ინფორმაციული მოხსენება კულტურული ლაშქრობის შესახებ, რომლის ირგვლივ გამომუშავებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებები.

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა იანვრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

თათბირი კულტურულ მშენებლობის საკითხებზე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წ. სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად მიმდინარე წლის 12 იანვარს თბილისში მოწვეული იქნება სრ. საქართველოს თათბირი აგიტაციის, პროპაგანდის და კულტურული მშენებლობის საკითხების შესახებ. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს ასეთი თათბირი არ მოუწვევია. თათბირს ეძლევა დიდი მნიშვნელობა და ფართო ხასიათი. ეს სჩანს, თუ გინდ, თვით თათბირის შემადგენლობიდან და იმ საკითხებიდან, რომელიც დასმულია მის დღის წესრიგში. ეს გარემოება გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც კი აინტერესებს სოციალისტური მშენებლობის საქმე ჩვენს ქვეყანაში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილ გარდამავალ ხანის მთავარ და ერთად ერთ შინაარსს შეადგენს მთელი ქვეყნის — მისი ეკონომიკის და კულტურის — სოციალისტურად გარდაქმნა, — შექმნა, ნაცვლად ძველი კლასობრივი საზოგადოებისა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა-მონობაზე დამყარებული ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობით, ბურჟუაზიული კულტურით, რელიგიით, ცრუ-მორწმუნეობით და ყოფა-ცხოვრებით, ჯერ უნახავი, ახალი, უკლასო, მშრომელთა საზოგადოებისა ყოველგვარ ჩაგვრა-მონობისაგან თავისუფალი სოციალისტური ურთიერთობით, ახალი, სალი ყოფა - ცხოვრებით და სოციალისტური კულტურით, რომელთან შეუთავსებელია ყოველგვარი ცრუ-მორწმუნეობა, რელიგია, იდეალიზმი, მისტიციზმი და სხვ.

ჩვენ უკვე განვლეთ გარდამავალი ხანის პირველი საფეხური, ე. წ. აღდგენის პერიოდი, ე. ი. აღვადგინეთ ის, რაც დაინგრა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს და მივაღწიეთ იმ დონის, რომელიც ჩვენ გვქონდა ომის წინა დროს — 1913 წ.. ცხადია, რომ ჩვენ ომმა გადაგვისროლა შორს. დაგვწია უკან 1913 წლიდან. მაგრამ აღდგენითი პერიოდის დამთავრება, რაც გულისხმობს დანგრეულის აღდგენას და ომის წინა დროის დონის მიღწევას. ჩვენ არ უნდა გავიგოთ უხეშათ, ვულგარულად, პირდაპირი მნიშვნელობით. არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ჩვენ 1920-21 წლიდან 1925-26 წლამდის ჩვენი გმირული მუშაობით გავაკეთეთ მხოლოდ ის, რომ ომის გამო 1913 წლიდან შორს უკან გადასროლილი ქვეყანა წავწიეთ წინ და ავიყვანეთ იმავე წლის დონეზე, და მეტი არაფერი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ეს ჩვენ გავაკეთეთ; მაგრამ ამით როდი ამოიწურება აღდგენითი პერიოდის შინაარსი. აღდგენითი პერიოდის ასეთი შეფასება სწორია ყველა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც არ მომხდარა არსებითი ცვლილება ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში და სახელმწიფო წესწყობილებაში; ასეთი შეფასება იქნებოდა სწორი ყოფილ რუსეთის იმპერიისათვის, რომ იქ დიად ოქტომბერს ძირიანად არ შეეცვალა ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა და სახელმწიფო წესწყობილებაც. ეს ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ (ხოლო), ნაცვლად მემამულეებისა, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიისა, დაეპატრონა მუშათა კლასი.

ასეთი ძირითადი ცვლილებების საფუძველზე მიმდინარეობდა აღდგენითი პერიოდი. ამიტომ აღდგენითი პერიოდის შინაარსს შეადგენდა არამც თუ მარტო წარმოების მატერიალურ საშუალებათა აღდგენა და პროდუქციის აწევა ომის წინა დროის დონემდე, არამედ, ამასთან ერთად, საწარმოო ურთიერთობათა ახალი, სოციალისტური. ჩაგვრა-მონობას მოკლებული ურთიერთობის შექმნა - განმტკიცება, ახალი მშენებლობის წარმოება სოციალისტური ურთიერთობის საფუძველზე, გაძლიერება მთელს სამეურნეო მშენებლობაში სოციალისტური ელემენტებისა, როგორიცაა — კოოპერაცია (სამომხმარებლო, საწარმოო, საკრედიტო), სხვადასხვა არტელები და ამხანაგობანი, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, — და გატარება ყველა იმ ღონისძიებათა, რომელნიც თავისთავად გამომდინარეობენ მუშათა კლასის ხელისუფლების არსებობის ფაქტიდან: 8—7—6 საათის სამუშაო დღე, დასასვენებელი დღეები, სახელმწიფო სოციალისტური დაზღვევა, საკრედიტო და სხვ. მკურნალობა, ხელფასის ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით და სხვადასხვ.. ეს ეკონომიურ სფეროში.

რაც შეეხება კულტურულ სფეროს, აქ აღდგენითი პერიოდი კიდევ უფრო მეტად ივსება ახალი შინაარსით. კულტურულ სფეროში ძველი აღსადგენი ელემენტების ხვედრითი წონა გაცილებით ნაკლები იყო, ვინემ ეკონომიურ სფეროში. თუ ეკონომიურ სფეროში ჩვენ უნდა აღგვედგინა წარმოების მატერიალური საშუალებანი და მისი პროდუქცია ავეყვანა ომის წინა დროის დონემდე, რაც აღდგენითი პერიოდის განმავლობაში ჩვენი მუშაობის მეტ ნაწილს — 80—90 პროც.-ს შეადგენდა, კულტურულ სფეროში იმავე პერიოდის განმავლობაში ძველიდან ჩვენ უნდა აღგვედგინა დანგრეული სკოლა, მასწავლებელთა დაცემული ხელფასი და სხვადასხვა კულტურული დაწესებულებანი, რომელთა რიცხვი ძალიან მცირე იყო; აქ არ უნდა იქნეს დავიწყებული ძველი ბურჟუაზიული კულტურის ყველა მიღწევათა გამოყენების საჭიროება, რასაკვირველია, კრიტიკული მიდგომით, ახალი პროლეტარული კულტურის შესაქმნელად. დასანგრევი კი — ძველიდან ძალიან ბევრი გვქონდა: ძველი სკოლის ჰუმანიტარული საფუძვლები და სქოლასტიკა, ცრუ-მორწმუნეობა, რელიგია, ძველი ყოფა ცხოვრება, ტრადიცია, რომ სკოლა და კულტურა მხოლოდ ძველად გაბატონებული კლასების საკუთრებაა და სხვადასხვა..

აღდგენითი პერიოდის განმავლობაში კულტურულ სფეროში იმდენი რამ ახალი გაკეთდა, რომ ჩვენ ამ პერიოდის დამთავრების დროისათვის საგრძნობლად გადავაჭარბეთ, არამც თუ შინაარსის მხრივ, არამედ რიცხვობრივადაც, იმ დონეს, რომელიც გვქონდა ომის წინა დროს — 1913 წ. ეს ნათლად სჩანს იმ პატარა ცხრილიდან, რომელიც ეხება ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილს — ს. ს. რ. კავშირის ერთ პატარა კუთხეს საბჭოთა საქართველოს. აი ეს ცნობებიც*).

I. სკოლების ზრდა

სასწავლო წლები.	სკოლების რიცხვი.	მოსწავლეთა რიცხ.	მასწავლებ. რიცხ.
1914—15	1.503	138.644	5.155
1920—21	1.804	183.020	6.137
1925—26	2.053	266.654	10.406

II. საპოლიტ.-განმანათ. დაწესებულებათა ზრდა

სასწავლო წლები.	სალიკვ პუნქტ.	მსმენ. რიცხ.	მასწავ. რიცხ.	სამკითხ.	სხვადასხვა კულტ დაწესებულებ.
1914—15	—	—	—	—	—
1920—21	101	1.010	101	57	
1925—26	1.574	37.990	1.574	384	286

ძველ რუსეთში 1913 წ. კულტურულ საჭიროებისათვის ერთ სულზე იხარჯებოდა 2 მ. 18 კაპ., 1925-26 წ. კი — 3 მ. 80 კ.

თუ კი ამას მიუმატებთ სრულიად ახალ მოვლენებს კულტურულ სფეროში, როგორიცაა— მუშების და გლეხების განათლება, კინო, რადიო და სხვა — ეს ხომ კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს იმას, რომ აღდგენითი პერიოდის განმავლობაში ჩვენ დიდათ გავშორდით კულტურულ სფეროში ომის წინა დროის დონეს. რაც შეეხება ჩვენი კულტურული მშენებლობის შინაარსს, აქ ხომ მთელი რევოლიუციაა მომხდარი. სკოლა ჰუმანიტარული, სკოლა სქოლასტიური, სკოლა მოწყვეტილი მეურნეობას, სკოლა თავად-აზნაურების, მემამულეების, ბურჟუაზიის, ვაჭარ - სპეკულიანტების, სამღვდელოების სკოლა, რომელიც ამტკიცებდა ძველ დამყაყებულ ყოფა - ცხოვრებას და რელიგიურ ცრუ-მორწმუნეობას, სკოლა გაჟღენთილი მისტიციზმით და იდეალიზმით, სკოლა, რომელიც ქმნიდა ადამიანს ინდივიდუალისტს და სხვა, — გარდაქმნილ იქმნა შრომის სკოლად, მუშების და გლეხების სკოლად, სკოლად, რომელიც დაკავშირებულია მეურნეობასთან, სკოლად, რომელიც ანგრევს ძველ ყოფა - ცხოვრებას და რელიგიურ ცრუ - მორწმუნეობას, სკოლად, რომელიც ამტკიცებს ახალ, პროლეტარულ, სალ ყოფა - ცხოვრებას, სკოლად, რომელიც ანგრევს მისტიციზმის და იდეალიზმის საფუძვლებს, სკოლად, რომელიც ამტკიცებს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, სკოლად, სადაც იქმნება ახალი ადამიანი, ადამიანი — პრაქტიკოსი, ურწმუნო, კოლექტივისტი, რევოლიუციონერი, მატერიალისტი, ერთგული რევოლიუციის და სოციალისტურ მშენებლობის.

რასაკვირველია, ჩვენ ჯერ აქ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი პრაქტიკულად, რომ სკოლამ უნაკლოთ შეასრულოს ის დანიშნულება, რომელიც მას მიეცა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

უკვე ორ წელზე მეტია, რაც ჩვენ შევედით ჩვენი განვითარების ახალ ზოლში, რომელსაც ეწოდება რეკონსტრუქციის პერიოდი, ამ პერიოდის შინაარსს ეკონომიურ სფეროში შეადგენს მთელი მეურნეობის რეკონსტრუქცია მაღალ ტექნიკურ და სოციალისტურ ბაზისზე. ჩქარი ტემპით ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომ ჩვენ „მოკლე ვადაში არამც თუ დავეწიოთ, არამედ გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს". ელექტროფიკაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მოსახლეობის კოოპერატიული გაერთიანება, — აი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პროგრამა მიმდინარე პერიოდისთვის. ეს უდიდესი სოციალისტური რევოლიუციაა მეურნეობაში, რომელიც უნდა გაატაროს ოქტომბერში გამარჯვებულმა მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად კომუნისტური პარტიის პროლეტარული ხელმძღვანელობით.

ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა სათანადო კულტურა, მომზადება ტექნიკური, საქმიანი და პოლიტიკური იმ მასებისა, რომელთა ხელით უნდა მოხდეს დასახული გეგმის შესრულება. რევოლიუცია ეკონომიური მოითხოვს რევოლიუციას კულტურულს. მთელი ჩვენი კულტურული მშენებლობა და კულტურული მუშაობა უნდა გარდავქმნათ იმის მზგავსად და იმ სახით, რა სახითაც ჩვენ დასახული გვაქვს ეკონომიური მშენებლობა.

ჩვენი აგიტაცია, პროპაგანდა, ბეჭდვითი სიტყვა, სკოლა და მთელი ჩვენი კულტურული მშენებლობა ყოველი ხაზით და მიმართულებით, ვინც არ უნდა აწარმოებდეს მას, სავსებით უნდა შეუფარდოთ ჩვენს სოციალისტურ სამეურნეო მშენებლობას.

უნდა გავაძლიეროთ აგიტაცია, პროპაგანდა და კულტურული მშენებლობის ტემპი გაძლიერებული ტემპით სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით. მთელი მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებით უნდა მოვახდინოთ ყოველი დაწესებულების და ორგანიზაციის, საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურული მუშაობის და მშენებლობის რეკონსტრუქცია, სკოლა სავსებით უნდა დაუმორჩილოთ ჩვენს სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობას. სკოლამ ჩვენ უნდა გვაძლიოს სისტემატიურად სოციალიზმის მშენებელთა და ამ სოციალიზმის ხელმძღვანელთა ახალი კადრები.

უნდა გავაძლიეროთ ახალი შინაარსით კულტურული მუშაობა მუშებსა და გლეხებს შორის. ამ მუშაობის მთავარი მიზანი უნდა იყოს მუშების და გლეხების ფართო მასების საწარმოო-ტექნიკური, საქმიანი და პოლიტიკური მომზადება ისე, რომ მათ შესძლონ აქტიურად ჩაბმა მთელს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში.

უნდა ამოვფხვრათ რელიგია, ცრუ მორწმუნეობა და ძველი ყოფა - ცხოვრება ყველა თავისი ატრიბუტებით, რომელნიც აჩლუნგებენ მუშებისა და გლეხების გონებას, ანადგურებენ მათ ფიზიკურად და მატერიალურად და ამით აბრკოლებენ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას.

უნდა გამოვიმუშაოთ ამისათვის სათანადო ახალი ფორმები და მეთოდები. უნდა გავიგოთ ყველამ, რომ მიუხედავად ჩვენი დიდი მიღწევებისა კულტურულ ფრონტზე, — „ჩვენში კულტურული განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩვენს სამეურნეო განვითარებას და მუშების და გლეხების გადიდებულ საცხოვრებელ დონეს"... რომ „გარეშე ჩქარ კულტურული ზრდისა ჩვენ ვერ შევსძლებთ როგორც საჭიროა ისე გარდავქმნათ ჩვენი მეურნეობა... ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განხორციელება და მეურნეობის ამაღლება არ შეიძლება მოხდეს, თუ პარალელურად არ მოხდა ქვეყნის კულტურულ დონის ამაღლება.. არ შეიძლება სამეურნეო რევოლიუციის განცალკევება კულტურულ რევოლიუციისაგან. მარცხი ამ დარგში შეიძლება დაგვიჯდეს მეტად ძვირად". (ამხ. რიკოვი მე-15 ყრილობაზე). დროა შევიგნოთ ყველამ, რომ ის, „რაც არ ჰყოფნის ჩვენ ახლანდელ დროს სოფლად ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, არის კულტურა, კიდევ და კიდევ ერთხელ კულტურა. პირდაპირ ყველაფერი ეხლა ებჯინება სოფლად კულტურის უქონლობას... გარეშე კულტურის დიდი ამაღლებისა, ჩვენ ჩქარი ტემპით წინსვლას ვერ შევძლებთ" (ამხ. მოლოტოვი მე-15 ყრილობაზე).

ხუთწლიანი გეგმის შედგენის იმ სადირექტივო რეზოლიუციაში, რომელიც მიიღო ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ, პირდაპირ ნათქვამია და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ხუთწლიანმა გეგმამ სოციალისტურ მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით უნდა გაითვალისწინოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურულ დონის გადაჭრით ამაღლების საჭიროება.. და უნდა შეუფარდოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას კულტურული მშენებლობის გეგმა, როგორც ს. ს. რ. კავშირის სოციალისტური მშენებლობის საერთო გეგმის განუყოფელი ნაწილი".

ამიტომ იყო, რომ მე-15 ყრილობამ ჩვენი პარტიის ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგათ გამოაცხადა კულტურული რევოლიუციის ლოზუნგი და მოუწოდა მთელს პარტიას და მშრომელ მასას დაუღალავი მუშაობისაკენ ამ ლოზუნგის განსახორციელებლად.

კულტურული რევოლიუციის ლოზუნგიდან ჩვენ უნდა გამოვყოთ ორი მთავარი მომენტი: ა) კულტურული მშენებლობის ტემპი, რომელიც არამც და არამც არ უნდა ჩამორჩეს სამეურნეო მშენებლობის ტემპს და ბ) ყოველი ხაზით და მიმართულებით აგიტაციის, პროპაგანდის, კულტურული მუშაობის და კულტურული მშენებლობის რეკონსტრუქცია ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

ეს იქნება პირველი საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს კულტურულ ფრონტზე მებრძოლთა თათბირმა. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გეგმა და მედგარი შეტევა ქვეყნის ყველა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ იწვევს კონტრ-შემოტევას მათი მხრიდანაც, რაც გამოხატულებას პოულობს კლასობრივ ბრძოლის გამწვავებაში ქალაქად და სოფლად.

ეს ბრძოლა გადადის ეკონომიურ სფეროდან კულტურულ, იდეოლოგიურ სფეროზე, ხშირია შემთხვევა, როდესაც ეკონომიურ ბრძოლაში დამარცხებული ნეპმანი, კულაკი, მღვდელი და მათი მეგობარი მენშევიკი გვიტევს იდეოლოგიურ სფეროდან. ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე მათ უფრო ეხერხებათ, რადგანაც ძველი იდეოლოგიის, რელიგიის და ყოფა-ცხოვრების ნაშთები ჯერ კიდევ ძლიერია მუშების და გლეხების ჩამორჩენილ ნაწილში, და რევოლიუციამდე კულტურა ამ შავი ძალების საკუთრებას შეადგენდა.

ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად აძლიერებს კულტურული რევოლიუციის ლოზუნგებს, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს კულტურული მუშაობის საჭიროებას.

კლასობრივი ბრძოლის გაჩაღება მტრების კონტრ-შემოტევა იწვევს მერყეობას მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის უფრო ჩამორჩენილ ნაწილში, რაც გამოხატულებას პოულობს პარტიის რიგებშიაც სხვადასხვა გადახრების სახით. აქ, განსაკუთრებით, აღსანიშნავია მემარჯვენე გადახრა და მასთან შემრიგებლობას დამოკიდებულება, რომელსაც ამჟამად იჩინა თავი ამ უკანასკნელ ხანებში იმ სიძნელეებთან დაკავშირებით, რომელნიც გვხვდებიან ჩვენ სოციალისტური მშენებლობის გზაზე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ მტკიცეთ და გაშლილი ფრონტით ქალაქათ და სოფლად ნეპმანების და კულაკების წინააღმდეგ გადამჭრელი შეტევის საფუძველზე.

ყოველგვარ მერყეობათა, და მათ შორის მემარჯვენე გადახრის, დასაძლევი მთავარი რეცეპტია ჩვენი წარმატებითი სამეურნეო სოციალისტური მშენებლობა, რაც, როგორც ეს აღნიშნა პარტიის მე-15 ყრილობამ, შეუძლებელია გარეშე სათანადო კულტურული მშენებლობისა.

გარდა ამისა, მერყეობის დასაძლევად არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს პარტიის, მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის პოლიტიკურ მომზადებას. გარეშე სათანადო პოლიტიკური მომზადებისა, ვერც პარტიული და ვერც უპარტიო მშრომელი მასა ვერ შესძლებს გაერკვეს იმ საგარეო და საშინაო (სამეურნეო იქნება ეს თუ სხვა) პოლიტიკაში და მის აუცილებლობაში სოციალიზმის გამარჯვების თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ ვატარებთ.

ეს გარემოება განსაკუთრებული მნიშვნელობით აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს ფართო მუშაობის წარმოების შესახებ პარტიის, კომკავშირის და მთელი მშრომელი მასის პოლიტიკურად მოსამზადებლად, მათი პოლიტიკური შეგნების აწევად ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად და მკვეთრათ გაგების სიმაღლეზე.

ფართოდ უნდა გავშალოთ პარტგანმანათლებელი მუშაობა, უნდა გავაფართოვოთ პარტგანათლების ქსელი, ფართოთ უნდა ჩავაბათ მასში პარტიის და კომკავშირის წევრები, უპარტიო მუშები და გლეხები. არ უნდა დარჩეს არც ერთი სოფელი, არც ერთი საწარმოო, არც ერთი ცეხი, არც ერთი დაწესებულება, სადაც არ გვქონდეს პოლიტსკოლა, ან ამა თუ იმ სახის პოლიტწრე. უნდა მოვამზადოთ პოლიტგანათლების ხელმძღვანელი კადრები მუშებისა და გლეხებისაგან, უნდა გავხადოთ საინტერესო მუშებისა და გლეხებისათვის პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობა, უნდა დაუახლოვოთ მათი შინაარსი ჩვენს ყოველდღიურ სოციალისტურ მშენებლობას და ჩვენს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, უნდა გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ხელმძღვანელობა პარტგანათლების მთელს ქსელზე და სხვა...

პარტგანათლების საკითხი — ეს იქნება მეორე საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს თათბირმა.

მარტო პარტგანათლების ქსელი არ კმარა იმისათვის, რომ სათანადოთ, ყოველ მხრივ და მასიურად მოვამზადოთ მუშები და გლეხები სოციალისტური მშენებლობისათვის. ჩვენ გვაქვს აუარებელი სხვადასხვა ფორმა მასიური პოლიტგანმანათლებელი და კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად. მუშაობის ამ ფორმებს სჭირია გაუმჯობესება, დაახლოვება მუშების და გლეხების მოთხოვნილება - ინტერესებთან, რომ ნამდვილად მუშაობის ეს ფორმები გადავაქციოთ მასიურად.

მასიური პოლიტგანმანათლებელი და კულტურული აღმზრდელობითი მუშაობა—ეს იქნება მესამე საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს თათბირმა.

როგორც ვთქვით, ჩვენ გვაქვს მასიური მუშაობის ბევრი სხვადასხვა ფორმა, ბევრი სხვადასხვა სახე. მასიური მუშაობის ყველა ფორმათა დეტალური განხილვა და მათ შესახებ ამომწურავ დადგენილებათა მიღება ერთ მოხსენებაში ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ თათბირის დღის წესრიგში მეოთხე საკითხად დასმულია სექციური მუშაობის საშუალებით ძირითადი საკითხების დამუშავება, როგორიცაა — ანტირელიგიური მუშაობა, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია, ქოხ - სამკითხველოს მუშაობა, კინოსა და რადიოს მუშაობა, მუშების და გლეხების კოოპერატიული და აგრონომიული განათლება, პროფკავშირების კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობა, მუშათა განათლება; ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობა, ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა და სხვა.

ერთი სიტყვით, საქ. კ. პ. (ბ) ცკას მიერ მოწვეულ კულტურულ ფრონტზე მუშაობის მთავარ ხელმძღვანელთა თათბირის წინაშე დასმულია აგიტაციის, პროპაგანდის, კულტურული მუშაობის და კულტურული მშენებლობის ყველა მთავარი საკითხები. ის გამოცდილება, რომელიც ჩვენ, ცენტრში და ადგილებზე მომუშავეებმა, მივიღეთ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში, იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ დასმულ საკითხებს სწორად გადავჭრით. მაგრამ არ კმარა ის, რომ მარტო ჩვენს გამოცდილებაზე დავეყრდნოთ. საჭიროა, რომ თათბირზე დასმული საკითხების გარჩევის დროს გამოვიყენოთ ყველა იმათი გამოცდილება და დაკვირვება, ვისაც აინტერესებდა და დღესაც აინტერესებს აგიტაციის, პროპაგანდის, ბეჭდვითი სიტყვის და კულტურული მშენებლობის საკითხები. საჭიროა, რომ დასმული საკითხების განხილვაში მასებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა. საჭიროა. რომ ეს საკითხები თათბირამდე დარჩენილი დროისათვის მასების ყურადღების ცენტრის ერთ-ერთ მთავარ საკითხად გავხადოთ. ჩვენი გაზეთები დაუთმობენ ადგილს მსურველებს ამ საკითხის შესახებ თავიანთი აზრის გამოსათქმელად.

მოუწოდებთ აგიტაციის, პროპაგანდის, ბეჭდვითი სიტყვის და კულტურული მშენებლობის საკითხებში ყველა დაინტერესებულ ამხანაგებს და, განსაკუთრებით, კულტურულ ფრონტზე მუშაკებს, მიიღონ პრესის საშუალებით აქტიური მონაწილეობა თათბირზე დასმული საკითხების განხილვაში, რითაც ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენი პარტიის ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგ — კულტურული რევოლიუციის ლოზუნგის განხორციელების საქმეს ჩვენში.

ს. მამულია.

---

*) ამაში არ შედის აფხაზეთი, აჭარისტანი და სამხრეთ - ოსეთი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

სამზადისი სოფლად თითქმის დათავდა, დაიწყო საბჭოთა საანგარიშო კამპანია, რომელშიც მშრომელი გლეხობა აქტიურ მონაწილეობას იღებს.—ამოძ ავდნენ კულაკები, ისინი მუქარით და ჭორების გავრცელებით ცდილობენ მოჯამაგირეებისა და ღარიბების დაშინებას.—კულაკების პროვოკაციას უნდა დაუპირდაპიროთ მშრომელთა რიგების კიდევ უფრო შემჭიდროება

თბილისის საბჭო ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

სახალხო განათლება

სასკოლო საქმე

თბილისის საბჭო და აღმასკომი განათლების საქმეზე ყოველწლიურად ფრიად საგრძნობ თანხას ხარჯავენ, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბჭომ და აღმასკომმა აღნიშნ. მიზნისათვის—7.229.876 მანეთი გაიღეს. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე სახალხო განმანათლებლო ხარჯები სწრაფად იზრდება: 1925—26 წ. სწავლა-განათლებაზე—2.938.603 მანეთი დაიხარჯა 1926-27 წელს—3.314.808 მანეთი, ხოლო 1927-28 წელს—3.814.829 მანეთი. ამ რიგად 1927-28 წელს 1925-26 წელთან შედარებით სწავლა-განათლებაზე გადებული თანხა 881.220 მანეთით გაიზარდა.

საანგარიშო ორი წლის განმავლობაში მაზრისათვის—1.992.098 მანეთი იყო გადადებული, რაც საერთოდ გადადებული თანხის (7.224.876 მან.)—27,5 პროც. შეადგენს.

1927-28 წელს განათლების საქმისათვის თითო სულზე იხარჯებოდა ქალაქში—9 მან. 97 კაპ., ხოლო მაზრაში—6 მან. 14 კაპ.

საგანმანათლებლო ხარჯებში ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ხელფასს უკავია. იმ 7.224.876 მანეთიდან, რომელიც უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში სწავლა-განათლებას მოხმარდა, ხელფასზე 5.470.464 მ. დაიხარჯა. ხელფასის ხარჯი 1927-28 წელს 1925-26 წელთან შედარებით—893.841 მანეთით გაიზარდა.

ჩვენი სკოლის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს სასკოლო ფართობის სიმწირე შეადგენს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქალაქის სკოლებს 86 ოთახი ემატება. მაზრაში გლეხობის დახმარებით ამჟამად სკოლებისათვის შენდება 84 შენობა, ხოლო უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში უკვე აიგო 27 ახალი შენობა.

1927-28 წელს ქალაქში თბილისის საბჭოს 90 შრომის სკოლა, 6 პროფტექნიკური სკოლა, 1 სასოფლო-სამეურნეო და 25 საბავშვო ბაღი ჰქონდა. ამავე დროს მაზრაში იყო 189 შრომის სკოლა, 12 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, 5 პროფტექნიკური სკოლა, და 8 საბავშვო ბაღი. ყველა ზემოაღნიშნულ სკოლაში მოსწავლეთა საერთო რიცხვი—56.764-ს უდრიდა. აქედან ქალაქში იყო 38.145 მოსწავლე, ხოლო მაზრაში—17619.

1925-26 წელს კი ქალაქში იყო: 88 შრომის სკოლა, 4 პროფტექნიკური სკოლა, 1 სასოფლო-სამეურნეო და 22 საბავშვო ბაღი.

ამავე დროს მაზრაში გვქონდა: 168 შრომის სკოლა, 6 გლეხთა ახალგაზრდობის და 1 საბავშვო ბაღი. მოსწავლეთა საერთო რიცხვი მაშინ—47.021 უდრიდა, აქედან ქალაქში იყო 31.586 მოსწავლე, ხოლო მაზრაში 15.435.

როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საკმაოდ გაზრდილა, სკოლებს და მოსწავლეთა რიცხვი.

ასეთივე ზრდა ემჩნევა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს. 1925-26 წ. ეროვნულ უმცირესობათათვის ქალაქსა და მაზრაში გახსნილი იყო ყველა ტიპის 138 სკოლა სადაც ითვლებოდა 26.484 მოსწავლე. 1927-28 წ. კი ეროვნულ უმცირესობისათვის იყო გახსნილი 153 სკოლა 29.939 მოსწავლით.

ქალაქის საბჭოს ოთხწლედებს შეუძლია დაიტიოს 7—11 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რიცხვის 97,5 პროც., ხოლო დანარჩენი ბავშვები 4 წლიდის ასაკის—მოთავსებულია განათლების კომისარიატის სკოლებში. მაზრის ოთხწლედებს კი შეუძლიან დაიტიოს 8—11 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რიცხვის 66 პროც.

ამრიგად, პირველ საფეხურის სკოლის ფარგლებში ქ. თბილისში [illegible] ბული სწავლა შემოღებულია. საბჭოს გადაწყვეტილი აქვს უახლოესი წლების განმავლობაში მაზრაშიაც განახორციელოს საყოველთაო სავალდებულო სწავლა.

დიდი ყურადღება ექცევა სკოლების სათანადოდ მოწყობას. ამჟამად ქალაქის სკოლებში მოწყობილია 137 კაბინეტი და 118 სახელოსნო; 15 სკოლაში მოწყობილია ყველა საგნის ლაბორატორიები, 42 სკოლაში ბუნების მეტყველების და ქიმიის ლაბორატორიები, ხოლო 46 სკოლაში—ბაღები და ბოსტნები. მაზრის მრავალ სკოლაში ლაბორატორიული მეცადინეობა სწარმოებს და გამართულია სახელოსნოები.

მეთოდიური მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას.

ჩვენი სკოლის სამეურნეო ცხოვრებასთან დაახლოვების მიზნით, უკანასკნელი წლების განმავლობაში გაიხსნა მთელი რიგი პროფტექნიკური სკოლები. ამავე მიზნით ზოგიერთ შრომის სკოლის მე-8 და მე-9 ჯგუფები ხელოსნურ კურსებად გადაკეთდა, ხოლო მაზრაში გაიხსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები.

1925-26 წ. ქალაქში იყო 4 პროფტექნიკური სკოლა, ხოლო 1927-28 წ. კი 6. მაზრაში 1925-26 წ. იყო მხოლოდ 6 გლეხ. ახალგაზრდობის სკოლა, 1927-28 წელს კი გვქონდა 12 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა და 5 პროფტექნიკური.

1925-26 წ. ქალაქსა და მაზრაში არ იყო ხელოსკურსები. 1927-28 წ. კი ქალაქში იყო 12 ხელოსკურსი, ხოლო მაზრაში—1. ამჟამად შემდეგი ხელოსკურსებია მოწყობილი: კოოპერატიული, ელექტრო-ტექნიკური, პედაგოგიური, სამშენებლო-არქიტექტურული, სამრეწველო-სამხატვრო და მიწათმოწყობის.

მოსწავლეთა ორგანიზაციების თვითმოქმედებას გაცხოველება ემჩნევა. ყველა სკოლებში არსებობს საბავშვო თვითმართველობა.

პიონერთა ორგანიზაციები ჩვენს სკოლებში თანდათანობით მაგრდება და ფართოვდება, პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის გასაცხოველებლად მოწვეულნი არიან საგანგებო ინსტრუქტორები.

პოლიტგანათლება

საანგარიშო ხნის განმავლობაში პოლიტგანათლების დარგში ხდებოდა: წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია, საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობის წარმოება, თეატრებისა და წითელი კუთხეების ხელმძღვანელობა, კინო-სეანსებისა და რადიოს მოწყობა და სხვ. ქალაქის კლუბებში სწარმოებდა მასიური მუშაობა საუბრებისა და ლექციების მოწყობის სახით სანიტარულ-ჰიგიენურ, ანტირელიგიურ და სხვა საკითხებზე. ხოლო ქალაქში საბჭოს ხელში 9 ბიბლიოთეკა, 3 სამკითხველო და 8 კლუბია.

მაზრაში ამჟამად 45 სამკითხველო, 21 წითელი კუთხე და 5 ბიბლიოთეკაა. მაზრის 14 ადგილას დადგმულია რადიო. გარდა ამისა მაზრის თითქმის ყველა კუთხეში იმართებოდა უფასო და ფასიანი კინო-სეანსები.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა

1927-28 წ. ქალაქში არსებობდა 85 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი და 57 სკოლა მცირე მცოდნეთათვის. იმავე დროს მაზრაში იყო 118 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი და 39 სკოლა მცირე მცოდნეთათვის.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აღნიშნულ სკოლებში გატარებულია—9.287 მსმენელი. აქედან მაზრაზე მოდის 6.228 მსმენელი.

შ. გომართელი.

არჩევნები და პროკურატურა სოფლად

სოციალისტურ მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით სოფლის მოსახლეობის ფენებად დაყოფამ უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღო. ამ ფენებს შორის სასტიკი ბრძოლა წარმოებს. ერთი მხრით სდგას კულაკობა და მეორე მხრით კი ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობასთან დაკავშირებით. ორ მთავარ ბანაკს შორის განუწყვეტელი ბრძოლა გამართული.

ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის ყოველთვის ერთი ხასიათის და ერთი სახის არ არის,—ის ხან აშკარა და ყველასათვის თვალსაჩინოა,—ხან კი ფარული. კულაკი ღარიბ გლეხის მისამხრობათ სხვადასხვა ხრიკებს მიმართავს, როგორიცაა, მაგ., ფულისა თუ ხორბლის სესხება, სამუშაო იარაღის განათხოვრება. სამაგიეროდ, და რა თქმა უნდა, მისგან ღებულობს უზომო პროცენტებს და ერთი სამად აძრობს მას ტყავს.

ეს გაბედვით მევახშეობა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ სამწუხაროდ, სუსტადაა დაყენებული. ზემოდ აღნიშნულ ხერხს მევახშე-კულაკი იყენებს საბჭოთა არჩევნების მოახლოების დროსაც, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, ამით უნდა ხმები იშოვნოს და საბჭოთა აპარატში გაძვრეს თვითონ, ან გაიყვანოს ისეთი პირი, რომელიც მისი ყურმოჭრილი მონა იქნება.

ამ კლასიურ ბრძოლაში ღარიბისა და საშუალო გლეხკაცობის კულაკებისაგან დაცვად და ამ უკანასკნელთა გასანადგურებლად, პროლეტ. დიქტატურის სხვა ორგანოებთან ერთად თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს მაზრის პროკურატურამაც. ეს ორგანო მოწოდებულია დაიცვას სწორი კლასიური ხაზის გატარების პოლიტიკა. მაზრის პროკურატურის პირდაპირი დანიშნულებაა ფხიზლად იდგეს რევოლუციონური კანონიერების სადარაჯოზე სოფლად. თუ ამ მოვალეობის ასრულება ყოველთვის საჭირო არის, მით უფრო საჭიროა მისი უკლებლივ გატარება სწორედ საბჭოთა გადარჩევის კამპანიის დროს. ამ გადარჩევის დროს ხდება პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების განახლება. როგორც კულაკი, ისე საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტერნი და ორგულნი ცდილობენ საბჭოთა აპარატში გაპარვას. მაზრის პროკურორმა მთელი თავისი უფლებები უნდა მიმართოს კულაკის ასალაგმავად. მან კულაკს გასაქანი არ უნდა მისცეს. სამუდამოდ უნდა დაუკარგოს მადა პოლიტიკური ბრძოლისა. აშკარაა, ამ მხრით პროკურორის მუშაობის განმარტოებულად წარმოება წარმოუდგენელია. ის ამ მუშაობას უნდა აწარმოებდეს ხელი-ხელ ჩაკიდებული ადგილობრივ სამაზრო ხელისუფლების ორგანოებთან. არჩევნების დროს პროკურორი უნდა მუშაობდეს როგორც პარტიის დავალებით, ისე თავისი თაოსნობით. მართალია, პროკურორი მაზრაში ერთი არის. მაგრამ თუ ის ენერგიას და უნარს გამოიჩენს, მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს.

რას უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება მაზრის პროკურორმა? აი რას: არჩევნების დროს დამქირავებლები შეეცდებიან მოჯამაგირეები არ გაანთავისუფლონ მუშაობიდან და მით არ მისცენ საშუალება მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. მაზრის პროკურორი ვალდებულია მიიღოს ყოველივე ზომა, რათა ასეთ რამეს ადგილი არ დაერჩეს. და თუ სადმე აღმოაჩინს, დამნაშავე კულაკ-დამქირავებელი, თანახმად ს. ს. კოდ. 141 მუხ., უნდა მისცეს პასუხისგებაში.

პროკურორმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ არჩევნებში არ ღებულობდნენ მონაწილეობას ისეთი პირები, რომელნიც ამ უფლებას მოკლებული უნდა იყვნენ. ამგვარ შემთხვევაში პროკურორი უნდა შევიდეს პროტესტით ინსტანციური წესით საარჩევნო კომისიაში ასეთ პირებზე საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ. პროკურორი ვალდებულია თვალყური ადევნოს კომისიის მუშაობას და შეეცადოს, რათა ამ მუშაობაში არ იქნეს დაშვებული შეცდომები. თუ უკანონოდ საარჩევნო უფლებას მოკლებულ მოქალაქეს ყურადღებით უნდა მოეპყრას და მისი უფლებების აღსადგენად უნდა აღძრას პროტესტი ზემოთ აღნიშნული წესით, აგრეთვე პროკურორი ფხიზლად უნდა იყოს და წინასწარ უნდა აღკვეთოს, რათა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს, ან არ იქნეს არჩეული ისეთი პირი, რომელსაც უკვე სასამართლო ორგანოების მხრით საარჩევნო უფლება წართმეული აქვს.

საბჭოთა არჩევნების ნაყოფიერად ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული საარჩევნო დებულებისა და ინსტრუქციების მშრომელ მოსახლეობისათვის სწორად განმარტებაზე. აი, აქ პროკურორმა და იუსტიციის სფეროში სხვა მომუშავე პირებმა დიდი ენერგია და უნარი უნდა გამოიჩინონ. ისინი აქტიურად უნდა ჩაებან საარჩევნო კამპანიაში და სხვებთან ერთად კრებაზე გლეხობას განუმარტონ ჩვენი საარჩევნო კანონების შინაარსი მნიშვნელობა და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელ კომპარტიის კლასიური პოლიტიკა სოფლად.

თ. დოლიძე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

საქ. ცაკ-ში ამხ. დ. ჭუჩულორიას თავმჯდომარეობით შესდგა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: საარჩევნო ნორმის შემუშავება ქალაქის მუშებისათვის, თბილისის აღმასკომის შუამდგომლობა მაზრის მთა-გორიან ადგილებში საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის ერთ და იმავე დროს ჩატარების შესახებ, საარჩევნო ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლების განმარტება და სხვ.

სხდომამ პირველ საკითხის შესახებ დაადგინა: მუშები, რომლებიც მუშაობენ ქვემოდ დასახელებულ ქალაქების საწარმოებებში, დეპუტატებს ირჩევენ შემდეგი წესით: ქუთაისში 35 ამომრჩეველზე ერთ დეპუტატს, ბათომში—50 ამომრჩ.—ერთ დეპუტატს, სოხუმში, ფოთში, გორში, ჭიათურაში, ხაშურში ბორჯომში და სამტრედიაში 25 ამომრჩეველზე ერთ დეპუტატს. ქალაქს-გარეთ მდებარე წარმოების მუშები ირჩევენ 1 დეპუტატს 35 ამომრჩეველზე.

მეორე საკითხზე სხდომამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: თბილისის მაზრაში მლეთის, ფასანაურის, ანანურის, ჟინვალის, უკანა-ფშავის და მაღაროს კაოს თემებში საანგარიშო და საარჩევნო კრებები ჩატარდეს ერთ და იმავე დროს.

კახეთის სამაზრო აღმასკომის მიერ აღძრულ საკითხებს გამო, ასეთი დასკვნები იქნა გამოტანილი:

1) თუ ამა თუ იმ პირის შესახებ სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი, მაგრამ ეს განაჩენი გასაჩივრებულია თავის დროზე, ე. ი. ძალაში შესული არ არის, ამ პირს საარჩევნო უფლება არ წაერთმევა უკეთუ იგი მოკლებული არ არის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას სხვა რომელიმე საფუძველზე.

2) თუ სოციალური დაცვა ღონისძიებას თან არ ახლავს უფლებათა შეზღუდვა, მაშინ საერთოდ შეუძლებელია საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, მიუხედავათ იმისა, პირობით იქნება სოციალური ღონისძიება, თუ უპირობოთ. ბრალდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის პირობით გადაწყვეტა არ ნიშნავს უფლებათა აყრის გაუქმებას ან შეჩერებას, ამიტომ ასეთი პირი საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებს მანამდე, სანამ არ გაივლის სასამართლოს განაჩენით დანიშნული გამოცდის ვადა.

3) თუ სისხ. სამ. საქმე გამოძიების სტადიაში იმყოფება და ის პირი, ვისაც ამ საქმის გამო, ბრალი ედება საპატიმროში არ არის მოთავსებული, მას საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა.

4) საარჩევნო ინსტრუქ. 8-ე მუხ. „ი" პუნქ. ტის ძალით საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებს ისეთი პირი, რომელიც საპატიმროშია მოთავსებული, იმის და მიუხედავათ, თუ რა მიზეზით ან რა ვადით წაერთვა თავისუფლება ამ პირს.

თბ. მაზრის საბჭოს წევრ-ქალთა კონფერენცია

გუშინ დილით კონფერენციის მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ვარძელის მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღო 50-მდე დელეგატ-ქალმა. კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ, რათა მეტი ყურადღება მიექცეს ჩამორჩენილ ადგილებს და ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებას. კამათის დასრულების შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. გორდელაძის მოხსენება კოლმეურნეობათა მშენებლობაში ქალების მონაწილეობის შესახებ.

— კოლექტიურ მეურნეობის გამოკვლევამ თბილისის მაზრაში, განაცხადა მომხსენებელმა, ჩვენ მოგვცა ნათელი სურათი იმ ნაკლოვანებების, რომელიც სდევს თან კოლმეურნეობის მუშაობას ადგილებზე. კოლმეურნეობები დღემდე არ აწარმოებენ გეგმიან მუშაობას, სუსტია საშუალო გლეხობის და გლეხქალების მონაწილეობა კოლექტივებში. ხშირად კოლექტივები არსდება ადგილობრივ დაინტერესებულ ორგანიზაციების და აგრონომის მონაწილეობის გარეშე. კულაკები აწარმოებენ აგიტაციას კოლექტივების წინააღმდეგ, რომელსაც უნდა დაუპირდაპიროთ ფართე აგიტაცია კოლმეურნეობათა მშენებლობის სასარგებლოდ. ზოგან კოლექტივების მიერ მიღებული კრედიტები გამოუყენებელია ან და არ ხმარდება თავის პირდაპირ დანიშნულებას, კოლექტივების მიწები ხშირად დაქსაქსულია, კოლმეურნეობების 70 პროც. მუშაობს აგრონომების დახმარების გარეშე, კულტურული მუშაობა კოლექტივებში მოისუსტებს და სხვ.

უნდა გაძლიერდეს მუშაობა ღარიბ და მოჯამაგირე ქალთა ჩასაბმელად კოლექტივებში.

დელეგატების ერთი ჯგუფი

ქალთა სადელეგატო კრებების პროგრამაში უფრო ფართე ადგილი უნდა დაეთმოს კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხებს. კოლმეურნეობებში ახალი ყოფის შექმნისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს სამოსო საკითხის შესწავლას.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. სხვა ორატორებთან ერთად მოკლე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. სუხიშვილი, ბოლქვაძე და შოგაიძე, რომლებიც მოუწოდებდნენ დელეგატებს, რომ ისინი ადგილებზე დაბრუნებისას დაწაფებოდნენ სწავლა-განათლებას და თავიანთი აქტიური მონაწილეობით ხელი შეეწყოთ კოლმეურნეობათა გაძლიერებისათვის.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლუცია, რის

არჩევნების ქრონიკა

თბილისის მუშების გაგზავნა მაზრებში

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად საქართველოს მაზრებში გაგზავნილი იქნება 90 კაცი—თბილისის წარმოებების მუშები, აქედან 80 კაცი უკვე გაემგზავრა მაზრებში. ამ დღეებში კიდევ გაიგზავნება 10 მუშა და 10 მუშა-ქალი.

ეს ამხანაგები მაზრებში დარჩებიან დაახლოებით თითო თვე (ორი კვირა საანგარიშო და ორი კვირა საარჩევნო კამპანიის დროს).

ცალკე მაზრების მიხედვით მაზრაში იმუშავებს 50 კაცი, ხოლო დანარჩენ მაზრებში 40 კაცი.

კოლხელშეკრულების დადების კამპანია

ფეიქართა კავშირის ცენტრ. გამგეობამ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეიტანა ახალი მუხლი ხელფასის შვიდი პროცენტით მომატების შესახებ.—მოწამეთის კირის ქარხნის და ბარიტის სამუშაოების ადმინისტრაციები ხშირად არღვევენ კოლხელშეკრულებას. — მუშა-მოსამსახურენი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კოლხელშეკრულების დადების კამპანიაში

ფეიქართა კავშირში

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შეიმუშავა კოლხელშეკრულების პროექტი, რომელიც უნდა დაიდოს აბრეშუმის ტრესტთან. აღნიშნული კოლხელშეკრულება ვრცელდება დაახლოებით 2.500 მუშაზე. პროექტის განხილვა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე უკვე სწარმოებს. პროექტის შემუშავებამდე ცენტრალურმა გამგეობამ მოახდინა ძველი კოლხელშეკრულების შესრულების შემოწმება. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების პროექტში უმთავრესად შეტანილია შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი: რადგან საფეიქრო მრეწველობა მავნებელია მუშათა ჯანმრთელობისათვის, მუშებს უნდა მიეცეთ ერთი თვის შვებულება, ნაცვლად წინედ არსებულ 3 კვირისა, მუშებისათვის, წარმოებებთან უნდა მოეწყოს აბანოები, იქ კი, სადაც ასეთი არ იარსებებს უნდა მიეცეთ აბანოს ბილეთების საფასური, ზამთრის პერიოდში მუშებს მიეცემათ ერთი მეოთხედი კუბ. საჟენი შეშა, რომლის ღირებულებაც უნდა დაფარონ 4 თვის განმავლობაში. გარდა პრაქტიკული მომზადებისა, შემოღებული უნდა იქნეს მოწაფეების თეორეტიული მომზადება, რომლის ხარჯებიც უნდა იკისროს სამეურნეო ორგანოებმა, თანახმად მთავრობის კომისიის დადგენილებისა, საფეიქრო მრეწველობის მუშებისათვის მოთხოვნილია ხელფასის 7 პროცენტით გადიდება. ამასთანავე ერთად ტარდება ახალი სატარიფო რეფორმა.

კოლხელშეკრულებაში შეტანილია აგრეთვე განსაკუთრებული პუნქტები ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების პირობების შესახებ. მუშათა მონაწილეობა კოლხელშეკრულების დადების კამპანიაში ფრიად დამაკმაყოფილებელია. კრებებზე მუშათა დასწრება 80—90 პროც. აღწევს.

შადური.

ხელშეკრულება ირღვევა
(ქუთაისი)

რიონჰესის, სამშენის, მოწამეთის კირის ახალ ქარხნის ძაფსახვევისა და ბარიტის სამუშაოებზე სისტემატიური ხასიათი აქვს კოლ. ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების დარღვევას ადმინისტრაციის მხრივ. ხშირია შემთხვევა, როდესაც მთელი თვეობით მუშა-მოსამსახურეებს არ ურიგდებათ ხელფასი. კოლხელშეკრულების თანახმად კი ხელფასის გაცემა უნდა ხდებოდეს თვეში ორჯერ. თავის დროზე არ ეძლევათ აგრეთვე სპეცტანსაცმელი, რის გამო მუშებს საკუთარი ტანსაცმლით უხდებათ მუშაობა.

მუშებმა ხშირად არ იციან რას მიიღებენ ისინი ამ თუ იმ სამუშაოს შესრულებაში. ამის გამო სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ხშირია კონფლიქტები ადმინისტრაციასა და მუშებს შორის. ზოგიერთი ადმინისტრატორები არ ღებულობენ საწარმოო და საკონფლიქტო კომისიების სხდომაზე დასწრებას. ადმინისტრაციის წარმომადგენლები აუცილებლივ უნდა ესწრებოდნენ საწარმოო და საკონფლიქტო კომისიების სხდომებს და მუშებთან ერთად უნდა არჩევდნენ ყოველგვარ საკითხებს. მუშა-მოსამსახურეების სამსახურში მიღების საქმეშიც კოლხელშეკრულება სისტემატიურად ირღვევა, ადმინისტრაცია ხშირად სათანადო ორგანოებთან შეუთანხმებლად ღებულობს მუშა-მოსამსახურეებს.

ახალი კოლხელშეკრულებების დადების დროს, ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას და მიღებული იქნეს ზომები, რათა მომავალში არ ჰქონდეს ადგილი კოლხელშეკრულების დარღვევას.

ნ.

მშენებელთა კავშირში
(ქუთაისი)

მშენებელთა პროფკავშირის სამაზრო განყოფილება შეუდგა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების კამპანიის ჩატარებას. ამ მიზნით იწვევა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, როგორც ადგილებზე ისე რაიონებში. კრებებზე ირჩევა ძველი ხელშეკრულებების შესრულება, და ის მიზეზები თუ რა უშლიდა ხელს მის მთლიანად გატარებას. ამავე დროს კრებებზე მუშავდება პროექტები ახალი კოლექტიურ ხელშეკრულებების დადებისათვის. აგრეთვე იწვევა განსაკუთრებით ახალგაზრდათა თათბირები და კრებები, სადაც ირჩევა ძველ კოლექტიურ ხელშეკრულების მუხლები ახალგაზრდობის შესახებ. ამის შემდეგ ახალგაზრდ. თავიანთ სხდომებზე ამუშავებენ ახალ მუხლებს კოლექტიურ ხელშეკრულებაში შესატანად.

ნ. მიქაშავიძე.

ექსპლოატატორი მოიჯარადრე

მოიჯარადრე, ეფრემ ჩიჩალაძე, ცნობილი ექსპლოატატორია. მასთან მუშაობს ხუთი კაცი, რომლებსაც პროცენტების მიხედვით აძლევს ხელფასს და 16 საათს ამუშავებს. არც ნებას აძლევს, რომ პროფკავშირში შევიდნენ. თუ რომელიმე მათგანი ხმას ამოიღებს და მოითხოვს რამეს, მოიჯარადრე სამუშაოდან მოხსნით ემუქრება. ამის გამო მომუშავეები უსიტყვოდ ეგუებიან თავიანთ ბედს, არც შრომის დაცვის ინსპექტორები იწუხებენ თავს აღნიშნულ მუშების პირობების გასაუმჯობესებლად.

დროა პროფსამრეწველო ანგარიში გაუწიოს მოიჯარადრესთან მომუშავეების კანონიერ მოთხოვნილებას: დაუწესოს ნორმალური სამუშაო დრო, ძირითადი ხელფასი, დააზღვიოს მუშები დამქირავებელმა და გახადოს ისინი პროფკავშირის წევრად.

ქაქანა.

ჩვენი კედლის გაზეთები
(წერილი თელავიდან)

კედლის გაზეთების სიმრავლით, თელავმა შეიძლება პირველობა დაიჩემოს. მაგრამ ღირსებით კი—რა მოგახსენოთ. თელავში აქამდე 7—8 კედლის გაზეთი გამოდიოდა, თითქმის ყველა კავშირი, ადგილკომი თუ მუშკომი თავის თავს მოვალედ სთვლიდა გამოეცა კედლის გაზეთი, იქნებოდა ის გაზეთი ხეირიანი თუ არა ამას ანგარიშს არ უწევდნენ.

ზოგი გაზეთი წელიწადში ერთხელ რევოლუციის დიდ მნიშვნელოვან დღეებში გამოჩნდებოდა ხოლმე. საერთოდ კედლის გაზეთების გამოცემა რედაქტორის გუნებაზე იყო დამოკიდებული.

რა იწერებოდა ამ კედლის გაზეთებში? ყველაფერი, გარდა ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებისა. უცხოეთის ამბებს უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ადგილობრივ ცხოვრებას. საერთაშორისო ამბებზე აქ ფელეტონები იწერებოდა. ხშირად ერთ ნომერში 3—4 დიდი წერილის მეტი არ იყო მოთავსებული, ისიც საერთო თემას შეეხებოდა. ერთ გაზეთში მარტო ერთი წერილი იყო მოთავსებული. ასეთი კედლის გაზეთები გამოდიოდა თელავში.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ახლად დანიშნულმა თემკომის პ.-მ. მდივანმა ამხ. ვ. ლუარსაბიშვილმა. მისი თაოსნობით მოწვეულ იქნა ყველა კედ. გაზეთების რედაქტორებისა და მუშკორების გაერთიანებული კრება, რომელზედაც დაადგინეს, რომ ყველა გაზეთები გაერთიანდეს და ორ კვირაში გამოიცეს ერთი გაზეთი "წითელი ვარსკვლავი"-ს სახელწოდებით. აქვე არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია, რომელთა შორის განაწილდა გაზეთის განყოფილებები: პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვ. ამავე კრებაზე პასუხისმგებელ რედაქტორად არჩეულ იქნა ამხ. მ. ანდღულაძე. ჩამოყალიბდა აგრეთვე მუშკორთა წრე, სადაც იწარმოებს სისტემატიური მუშაობა.

ახლად არჩეული სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა სრულ იმედს იძლევა, რომ ჩვენი მომავალი კედლის გაზეთი გაამართლებს თავის დანიშნულებას და მიზანს.

ვ.—ლი.

ა.-კ. პროფსაბჭოში

საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება

ა.-კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პროფსაბჭოებს, გააძლიერონ [illegible] საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმებისათვის, რომელსაც აწარმოებს გაზეთი „პრავდა".

ამას გარდა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ მოაწყონ საწარმოო თათბირების შემოწმება რესპუბლიკანური პრესის ფურცლებზე.

კოოპერატიული კომისიების ქსელის გაფართოვება

ა.-კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს, რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტს და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო გამგეობას მიიღონ ყოველგვარი ზომები ქარხადგილკომების კოოპერატიული კომისიების ქსელის გასაფართოვებლად და მათი მუშაობის გასაძლიერებლად.

კოოპერატიულმა კომისიებმა თავისი მუშაობა უნდა შეუთანხმონ კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

მუშათა კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი

ა.-კ. პროფსაბჭოს ინიციატივით, იანვრის ბოლო რიცხვებში თბილისში მოწვეული იქნება ამიერ-კავკასიის მუშათა კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი.

კოოპერატიული ორგანიზაციების და ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლების გარდა, თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე რესპუბლიკანურ პროფსაბჭოების და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის წარმომადგენლები.

ეკონომიური მუშაობის გამოკვლევა

იანვარში ა.-კ. პროფსაბჭო და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ჩაატარებენ მასიურ ეკონომიურ მუშაობის გამოკვლევას ამიერ-კავკასიის 10 წარმოებაში.

რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცა ინჟინერ-ტექნიკურ განმავლობაში ადგილობრივი ძალებით ჩაატარონ ზოგიერთ წარმოებების შერჩევითი გამოკვლევა.

ქალაქების კეთილმოწყობა

ქუჩების მოსაკირწყლავ კუბიკების დამზადება

ქუჩების მოსაკირწყლავ კუბიკების დასამზადებელ ქარხნის აგება სოფ. კურსებში (ქუთაისის მაზრა) ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. ქარხნის აგება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაჯდება 447.000 მანეთი, აქედან ღირებულების ერთ მეოთხედს გაიღებს ქუთაისის აღმასკომი, დანარჩენს კისრულობს თბილისის აღმასკომი.

ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 2 მილიონ გრანიტის კუბიკს, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას კუბიკებზე ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

თითოეული გრანიტის კუბიკის დამზადება ამჟამად ჯდება 26,5 კაპ. (კუბიკებს ამჟამად ამზადებენ პრიმიტიული წესით), ქარხანაში დამზადებული კუბიკი კი დაჯდება 19 კაპეიკი. ქარხნის აგება დამთავრდება 1930 წლის მაისში.

გაყვანილია წყალსადენი, რომელიც წყალს მიაწვდის ქარხნის სამშენებლო სამუშაოებს. ქარხანა პირველ ხანებში იმუშავებს [illegible] ენერგიით და როცა რიონჰესი დამთავრებული იქნება, გადავა რიონჰესის ენერგიაზე.

დღეს, 5 იანვარს, საღამოს 8 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

შესდგება

საზეიმო სხდომა—სოფლებში საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად გასაგზავნ მუშების გაცილება

მისალმებებით გამოვლენ საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის წარმომადგენლები, მთავრობის წევრები, საქ. პროფსაბჭოს, არმიის, კომკავშირის და სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენლები

სავალდებულოა გასამგზავრებელ ამხანაგების, „მსუბუქ საზეფო კავალერიის" და მთელი საზეფო აქტივის დასწრება.

თბ. საზეფო საზ-ბის საბჭოს პრეზიდიუმი.

ქართული მხატვრული პროზა 1928 წელში*)

(მიმოხილვის მაგიერ)

თანამედროვე ქართველ მწერლებში მიხეილ ჯავახიშვილი ყველაზე უფრო პოპულარულია, არც ერთ მწერალს არ ეტანება დღევანდელი მკითხველი ისე, როგორც ჯავახიშვილს. მას ჰყავს მასიური მკითხველი და ამ მასიურ მკითხველის საყვარელი მწერალია იგი. ეს უკვე დიდი გამარჯვებაა, დასაფასებელი გამარჯვება; ამავე დროს გაკვეთილი სხვებისათვის — სხვა ქართველ მწერლებისათვის, რით გაიმარჯვა ჯავახიშვილმა, რატომ შექნა ის ასეთი პოპულარული (ამ სიტყვის არა ვულგარული გაგებით)? ამის შესახებ ბევრის თქმა შეიძლებოდა... ამის დრო კი არ არის. ჯავახიშვილის გამარჯვებული ბედი ღირსია ცალკე და სერიოზული გამოკვლევა — წერილის. აქ ვიტყვით მხოლოდ: ჯავახიშვილის ენა უბრალოა და სადა, ამიტომ გასაგები ყველასათვის. ამ მხრით ის ქართველ კლასიკების გზას ადგას. რასაკვირველია, მისი ენა თავისებურია. ორიგინალურია, ის სიტყვებსაც არ ბაძავს იმორჩილებს სხვებს, — მაგრამ ამ ორიგინალობაში და დამოუკიდებლობაში — ის იმავე დროს მარტივი და ყველასათვის გასაგებია. გასაგებ ენით სწერს ჯავახიშვილი... ზოგიერთებს — ეს ფაქტი უარყოფითად მიაჩნიათ მწერლისათვის. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მწერალი სწერს იმიტომ, რომ იგი წაკითხული იქნეს და წაკითხულ იქნეს იმათ მიერ, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქის მთავარ ძალას წარმოადგენენ. დღევანდელ ეპოქის მთავარ ძალას წარმოადგენს ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც ძალიან მარტივად და სადად ლაპარაკობს, ჯავახიშვილი გასაგებია თავისი ენით — კაცობრიობის ამ ნაწილისათვის.

ცხადია, მარტო ეს, რომ მისი ენა გასაგებია და მისახვედრი, უბრალო, არა კმარა, იდნავადაც არ იქნებოდა საკმაო იმისათვის, რომ ჯავახიშვილს მიეღწია თავისი სამწერლო გამარჯვებისათვის. შეიძლება მწერალი გასაგები იყოს, მაგრამ გასაგები მის ნაწერებში არაფერი. ჯავახიშვილი უთუოდ ეპოქის მწერალია, არა მარტო ენით—არამედ სამწერლო საგნით, შინაარსით. ჯავახიშვილი არ გაურბის ეპოქას და ეპოქის საინტერესო საკითხებს. ყოველ შემთხვევაში შედარებით სხვა ქართველ „დამსახურებულ" მწერლებთან... ის არ იმალება 1905 წლის (საყვარელი ზოგი [illegible] ლიტერატორების) სათარით, არც [illegible] ის მას. ასეთი მწერალი — მწერალი რომელსაც „თავისი თავი" მოსწონს ჰყავს. იმიტომ აქვს თავისი კალმის და თავისი მუშაობისაც, არ [illegible]. მას რეგორც მხოლოდ კალმის თამაში (ასე-თებიც მოიპოვებიან, თუმცა ცოტანი) ან და მხოლოდ მანეთების წყაროს (ასეთები კი უფრო მეტია) — ეპოქას არ გაექცევა და ვერც გაექცევა. თავისი თავისადმი „პატივისცემა" არ მისცემს მას ამის უფლებას... ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად მიადგება ეპოქის კარებს. სიცოცხლე ყოველთვის გაურბის სიკვდილს, ეპოქიდან გაქცევა სიკვდილს უდრის.

მისი ნაწერები საინტერესოა, როგორც ეპოქის ადამიანის დოკუმენტები, როგორია ეს დოკუმენტები, როგორ აშუქებენ ისინი ჩვენს ეპოქას — ეს სხვა საკითხია, და ამაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი.

მაგრამ არც ეს კმარა იმისათვის—რომ ნამდვილი მწერალი. პოპულარული ავტორი გახდე. გასაგები ენა და ეპოქალური დოკუმენტები — ვერაფერს გიშველიან, თუ კი ნამდვილი მხატვარი არა ხარ; ეს მთავარია. ჯავახიშვილი უთუოდ მაღალ ღირსებიანი ხელოვანია — საქართველოს საზომით მაინც. ამის უარყოფა იქნებოდა ფაქტის უარყოფა, იმისა რაც არის და რაც უკვე დამტკიცდა. საბოლოო შედეგში მწერალს — თუ რამდენად დიდი მხატვარია ის — მკითხველი აფასებს. ჯავახიშვილი უკვე დაფასებულია მკითხველის მიერ, როგორც კარგი ხელოვანი.

ჩვენ აქ ხაზს გაუსვამთ ერთ თვისებას ჯავახიშვილის მხატვრული ნიჭისა (ზოგიერთი „რეფორმისტები თავზე ქუდის დახურვისა" ფრჩხილებში სვამენ ამ სიტყვას. ჩვენ არ შეგვეშინდება და ძველებურად ვიხმართ მას): ჯავახიშვილი საინტერესოდ სწერს, რაც არ უნდა უმნიშვნელო, უბრალო, არა საინტერესო ამბავზე შლიდეს ის თავის მოთხრობას, მკითხველი მაინც დაინტერესებულია იმით, თუ როგორ დამთავრდება ეს სრულებით არა საინტერესო საერთოდ და მოთხრობაში კი მეტად საინტერესოდ შექმნილი ამბავი, ეპიზოდი. ვფიქრობ და მგონია არ ვცდები, ძნელად მოინახება ისეთი მკითხველი. რომელსაც აქვს დრო და საშუალება წაიკითხოს ჯავახიშვილის ნაწერი და არ წაიკითხოს იგი... ზოგიერთ ავტორის ნაწერს ძლივს კითხულობ, ან და იმ იმედით აგრძელებ კითხვას, რომ შეიძლება შემდეგმა ფურცლებმა უფრო მეტი რამ მოგვცეს. ხშირად უყურებ ბოლო გვერდის რიცხვს, მალე ხომ გათავდება, ხშირად ასეთ ნაწარმოებს დაუმთავრებლადაც სტოვებ. ჯავახიშვილის ნაწარმოებს აუცილებლად წაიკითხავს თავის ბოლომდე, სულ ერთია ეთანხმები ავტორს, მოგწონს მისი თუ არა, ეს სულ ერთია; მას აუცილებლად წაიკითხავს. ეს უდიდესი ღირსებითი თვისებაა ჯავახიშვილის კალმის. და ეს გარემოება აღსანიშნავია განსაკუთრებით დღეს, როდესაც ეს მხარე მხატვრობისა — მკითხველის დაინტერესება — აბუჩად აგდებულია. ვინ არ გინდათ რომ არ იწერებოდეს, და, სამწუხაროდ იბეჭდებოდეს კიდეც, მაგრამ ნაკლებად ფიქრობენ იმაზე — კითხულობენ მათ თუ არა... წავიდა თეიმურაზ და არჩილ მეფე—პოეტების დრო, როდესაც ლექსები და საერთოდ მხატვრული წერა გართობა იყო უსაქმოთა ან და საქეიფო დამატება... დღეს მკითხველი არავის ააგდებინებს თავს აბუჩად, და რაც უნდა რეკლამები არ აკეთონ ჩვენში თუ ჩვენს გარეთ, ზოგიერთმა განდიდების მანიით შეპყრობილმა „განათლებულმა წრის მცოდნე ადამიანებმა" — მკითხველი—დღევანდელი, ჩვენი საბჭოთა საქართველოს მკითხველი — საყვარელ მწერლად მათ არასოდეს გაიხდის...

ჯავახიშვილისაგან ჩვენმა ახალგაზრდა პროლეტარულმა მწერლებმა უნდა ისწავლონ ის, რაც მწერლობაში მთავარია: მკითხველის — ცხადია თანამედროვეობით გამსჭვალული მკითხველის — დაინტერესება. უნდა ისწავლონ საინტერესო წერა. ნათქვამიდან არ უნდა გამოვიტანოთ ისეთი დასკვნა, რომ ჯავახიშვილი უნაკლო მწერალია. უნაკლო საერთოდ არავინაა. ჯავახიშვილს, როგორც მწერალს — ბევრი ნაკლი აქვს და ხშირად როგორი! მე მისი გულმოდგინე მკითხველი ვარ და დამფასებელი. როგორც ასეთს არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის უდიდესი საფრთხე, — რომლის წინაშე, ჩემის აზრით, სდგას ის: ეს არის მისი რევოლუციასთან დამოკიდებულების საკითხი. დასამალი აქ არაფერია, უნდა ითქვას, ის რაც არის. აქ ყველაფერი თავის რიგზე არ არის, რომელი თავის რიგზე? ხრამის წინ სდგას ჯავახიშვილი. ხრამი — ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდა ჯავახიშვილი გადაიქცეს იმ მწერლად, რომლებიც საქართველოში ემიგრანტობენ: დეკლარაციებით რევოლუციონერობენ, ხელოვნებით კი 1905 წლით რევოლუციონერობენ, ან და ოქტომბრამდე საშუალო საუკუნეების მისტერიების გათამაშებას ნატრულობენ. ჩვენ — მკითხველებს — გვინდა, ჯავახიშვილი ჩვენი — რევოლუციის — მწერალი დარჩეს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ გახდეს ასეთად. ეს კი არ არის... ეპოქის მწერალმა ჯავახიშვილმა — ეპოქის გული—ახალი, რევოლუცია — ვერ შეიყვარა. თუ არ შეიყვარა, ჩვენ კარგად ვიცით, რომ რევოლუციის „შეყვარება" არც თუ ისე ადვილი საქმეა, მით უფრო ადამიანისათვის, რომლის პოლიტიკური წარსული — რევოლუციის გზით არ მიდიოდა. ძალად რევოლუციას ვერავის შევაყვარებთ, ისევე როგორც ვეფხვს. ეს ჩვენ კარგად ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით და ჯავახიშვილმაც უნდა იცოდეს ის, რომ უამისოდ ფრთების გაშლა შეუძლებელია, სამწერლო ფრთებისაც. რომელი გაშლა? დაიმტვრევა ეს ფრთები... ვიმეორებთ, არ არის საკმაო იყო ეპოქის მწერალი ე. ი. ეპოქის საკითხებით იყო დაინტერესებული. საჭიროა ამავე დროს, ეს საკითხები იმ დაგვარათ გაშუქო, როგორც ამას მოითხოვს ეპოქის მთავარი და მამოძრავებელი ძალა, — ამ შემთხვევაში რევოლუცია; რადგან ეს არის მთავარი და მამოძრავებელი ჩვენი ეპოქის. უბრალო ლაყბობა იქნება — „ობიექტივობის და ნეიტრალობის" ფარდის უკან დამალვა. ობიექტიური და ნეიტრალური არავინაა — რადგან ჰაერში გამოკიდებული არავინაა; მით უმეტეს მწერალი. ან იქეთ ან აქეთ. ტყუილი ამბავია და უბრალო წყლის ნაყვა, როდესაც ტუჩაწევით იხსენიებენ ტენდენციურობას ამა თუ იმ მწერლისა. ყველა მწერალი ტენდენციურია — ე. ი. რაღაცას ამბობს ის და რაღაცა უნდა გააგებინოს და მიაღებინოს მკითხველს. ეს კი არ არის ცუდი და დასაწუნი, ცუდი და დასაწუნი ის არის, როდესაც ეს ტენდენცია უკან მიგვაქანებს, ან და ერთ ადგილას გვყინავს. ტენდენციურია ყაზბეგი, ილიაც და ნინოშვილი, ჭავჭავაძე, ორბელიანები და ასეთივეა ჯავახიშვილიც. ვიმეორებთ: ეს კი არ არის დასაწუნი: დასაწუნი ის არის, რომ ხშირად ეს ტენდენცია რევოლუციის თვალებით არ იყურება. ასეთი იყო მაგალითად ჯავახიშვილის პატარა მოთხრობა „დამპატიჟე", მთელი აურზაური შექნა ამ სიტყვამ „დამპატიჟეს" გარშემო, რატომ? იმიტომ, რომ აქ ამხანაგებმა დაინახეს და, სავსებით სამართლიანად, ანტირევოლუციონური ტენდენცია, რევოლუციის სოფლის ფრონტის აბუჩად აგდება. ჯავახიშვილს ზოგიერთმა [illegible]: განა ცოტაა დღევანდელ პირობებში „დამპატიჟენი"? რასაკვირველია არაა ცოტა, მაგამ მთავარი მაინც დამპატიჟეები არაა. დღევანდელ სოფელს დამპატიჟე კი არ ახასიათებს, არამედ ის უსახელო უმიწაწყლო ათასები, რომლებიც ახლა თავს აკლავენ ბრძოლაში [illegible] ძალოსა და ცოდნის მიხედვით სოფელი, გლეხი ახალ ლიანდაგზე დააყენონ, განახლებული და კულტურული ცხოვრების ლიანდაგზე. ჯავახიშვილი შეიძლება არ იცნობს ახალ სოფელს. მაშინ რა საჭიროა დამპატიჟეების თხზვა ან და თუ მაინც სურს —მაშინ ახალი სოფელიც დახატოს... არ არის მაინცა და მაინც ძნელი ამ სოფლის გასაცნობათ სოფელში თვეობით ცხოვრება: 60 ათას ტირაჟიანი გაზეთი „ახალი სოფელი" აცნობს ამ დღევანდელ რევოლუციურ შექმნილ სოფელს.

განა მწერალს არა აქვს კრიტიკის უფლება? „დამპატიჟე" ხომ კრიტიკა იყო? როგორ არა აქვს ამის უფლება, მაგრამ ეს კრიტიკა — თვითკრიტიკა უნდა იქნეს. ეს კი მაშინ იქნება, როდესაც ჯავახიშვილი რევოლუციის მწყალი შეიქნება, და მეორე: „დამპატიჟე" არ არის კრიტიკა. ის ცილისწამებაა. ან და კრიტიკა — მტრის. ჯავახიშვილმა უნდა დაიმსახუროს რევოლუციის კრიტიკის უფლება, როგორც მწერალმა. რევოლუცია მას ამის უფლებას ჯერ კიდევ ვერ მისცემს რადგან ჯერ კიდევ არავინ იცის რევოლუციასთან არის ჯავახიშვილი თუ რა. გივი შადური მოთხრობა „შავ კლდეში" ასე ლაპარაკობს: „ხშირად ვხმარობთ ძველ სიტყვებს, მეგობრებო, მაგრამ შეიძლება ადამიანს დილით დილამდე ძველი სიტყვები ეკეროს პირზე და ამავე დროს ეპოქის ერთგულიც იყოს. ამ ხნის მეც ეპოქის მოხარკე ვარ. უკეთესის სურვილსა და ერთგულებას ვაძლევ ხარკად; ამაზე მეტი არა მაქვს რა და მეტს ნუ მომთხოვთ". არ არის მართალი გივი შადური. მოხარკე არასოდეს ერთგული არ იქნება, არც უნდა ასეთი ერთგულება რევოლუციას, ასეთი ერთგულება მხოლოდ ამა და ამ დრომდე გასტანს, მხოლოდ. გივი შადური რომ მწერალი იყოს — ჩვენ მას ვეტყოდით: არა, პატივცემულო გივი — რევოლუციის ერთგულ მწერლად თქვენ არ გამოდგებით. ხარკი კი იხადეთ — ამის უფლებას ყველას ვაძლევთ.

— იმავე „შავ კლდეში" იგივე გივი შადური ლაპარაკობს: „მრავალი წელიწადი გაივლის და სამაგიეროთ წითელი თემი დამყარდება; დეკანოზის ნაცვლად აღმასკომი გამოიტანს წითელ დროშას და ახალ თემსაქოს გაუძღვება და თუ დასჭირდა საკუთარი მამას [illegible] განმეორდება ახალი თემის ღალატისათვის". ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ახალი წითელი თემი უკვე არსებობს. ჩვენი სოფელი სწორედ ასეთი თემია და აი როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი დაგვიხატავს ამ წითელ თემს, გვაჩვენებს „აღმასკომს" რომელიც საკუთარ მამას [illegible] გულს ახალი თემის ღალატისათვის — აი მაშინ იქნება ჯავახიშვილი რევოლუციის მწერალი. და ვიტყვით გულახდილად, მაშინ მიეცემა უფლება ჯავახიშვილს —რევოლუციის კრიტიკისა, მაშინ შეიძლება მას დასწეროს „დამპატიჟე", რადგან მაშინ ის იქნება მეგობრის კრიტიკა, თვითკრიტიკა, და არა ცილისწამება და სიყალბე. მაშინ ბუნებრივად მოხდება ის, რომ დამპატიჟეს კისერი მოსტყდება ავტორის გაგებულ ხვალინდელ დღეში. რაც უფრო ადრე მოხდება ეს ამბავი, მით უფრო კარგი იქნება მწერლისათვისაც და ქართულ ლიტერატურისათვისაც, რომელიც ასე უყვარს მიხეილ ჯავახიშვილს და რომელსაც ასე სჭირია მიხეილ ჯავახიშვილები.

ჩვენ არ გვინდა მიხეილ ჯავახიშვილი მხოლოდ ნაკლულების მწერლად დარჩეს. მართალია მას ძალიან ეხერხება ასეთი ნაკლულების დასურათება. ყველა ის თეიმურაზები, ჩარიძეები და სოკოლოვები მხატვრული ისტორიაა რევოლუციის მიერ განადგურებულ ზედმეტ ადამიანების. ეს დიდი დამსახურებაა, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვინდა ასეთების მწერლად დარჩეს იგი. მართალია გოგოლმა გენიალობა „მკვდარი სულებით" მოიპოვა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და ეხლა კი სულ სხვა დროა. მაშინ სწორედ ეს მკვდარი სულები მეფობდენ და ბატონობდენ უზარმაზარ ქვეყანას, ეხლა კი ისინი თავის უმრავლესობაში არამც თუ სულით მარტო, ფიზიკურადაც განადგურებულნი არიან. დიდი მწერალი ასპარეზს ვერ გაშლის აქ. დღეს ახალი ადამიანები ბატონობენ, ადამიანები, რომლებიც უმრავლესობით მძიმე პირობებში ხორცს ასხამენ კაცობრიობის საუკეთესო შვილთა ოცნებას: ახალ წესებს ამყარებენ დედამიწაზე და „იერიშებით მიდიან ცის წინააღმდეგაც". საქართველოში არც ერთ მწერალს არ დაუხატია ისინი და მათი საქმე, მიუხედავად იმისა რომ ძველი საქართველო ძირ-ბუდიანად ინგრევა: ძველი საქართველო — ტრაბახა აზნაურებისა, უსაქმო ინტელიგენტების, სამიკიტნოების და მიკიტან სოციალისტების, „თავისიანების" და უფრო მეტად კი „სხვების" მონამორჩილი საქართველო. მთელი ეს საქართველო ძირ-ბუდიანად ინგრევა და მის ნანგრევებზე შენდება ახალი ქვეყანა. სირცხვილია ამ ხანაში ნიჭიერი მწერალი „დამპატიჟეებით", ჯაყოებით და გივი შადურებით შემოფარგლოს. სირცხვილია!!

* *

არისტო ჭუმბაძე საინტერესო მწერალია. ორიგინალური სტილი, მხატვრული ენა, ცოტა მძიმე, მაგრამ მოთხრობის ამბებთან შეფარდებული და შესაფერი. საინტერესოა მისი პატარა მოთხრობა „მოსისხლენი". არისტო ჭუმბაძე თანამედროვე საკითხებს არ გაურბის. „მოსისხლენი" სწორედ ასეთ ეპიზოდზეა აგებული. საინტერესო თემაა აღებული, მემანქანე გიგო ძველი მუშა რევოლუციონერია: არა ერთხელ უნახავს მის თვალებს და ხელებს ბარიკადები და თოფები, ძველი ქვეყნის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იყო ძველად. დღეს მემანქანე გიგო მენშევიკია და მტერია ახალი წესწყობილების... მემანქანის თანაშემწე - ახალგაზრდა მუშა სოლო—კომკავშირელია. გიგოს აღზრდილია სოლო; როგორც მამა ისე ჰყავდა გიგოს სოლო. ეხლა ერთი მემანქანეა, მეორე მისი თანაშემწე. ერთი მოხუცია—ძველი; ძველი ქვეყნის დამცველი ეხლა. მეორე ახალგაზრდაა ახალი—ახალი ქვეყნის მცველია და დარაჯი. მოთხრობის ამბავი გაშლილია იმ დროში როდესაც ჟორდანიას „კაცებმა" საქართველოში აჯანყების ცეცხლი დაანთეს; სისხლის ღვარი დაასხეს და ბევრი ქართველი მშრომელი უსამართლოთ შესწირეს თავის რეაქციონურ და ფანტასტიურ საქმეს—ძველი ქვეყნის გამარჯვებისა.

მატარებელი მიჰქრის; სოლომ არაფერი იცის ჯერ რა ხდება. ის კი იცის კარგად, რომ გიგო მისი ოდესღაც საყვარელი გამზრდელი დღეს მოსისხლე მტერია მისი და რაღაც განსაკუთრებულ დაცინვას, სიბოროტეს და სიძულვილს გრძნობს იგი, გიგოს თვითეულ მიხვრა-მოხვრაში. დაცინვით არის აღსავსე გიგოს სიმღერა:

„მიყვარს ვარდი, მიყვარს ია"...

„ჩვენ უნდა დავეწიოთ კაპიტალისტურ ქვეყნებს"—კითხულობს სოლო. შეხუთული ჰაერი უეცრად [illegible] ხარხარმა შეარყია, თითქოს მთაში ზვავი ახრიალდაო.

— უნდა დავეწიოთ ა? ჰა, ჰაა, ჰააა ქართული ურმით ხომ არა? დასცინის ძველი მუშა მენშევიკი პატარა სოლოს იმედებს — კაპიტალისტურ ქვეყნებს უნდა დავეწიოთ და არამც თუ უნდა დავეწიოთ უნდა გავუსწროთ კიდეც— ეს არის ჩვენი უდიდესი ამოცანა".

გიგოს არ სჯერა, არ სწამს და... არც უნდა გაიგოს ეს... ქართული ურმით? რამდენი დაცინვაა ამ პასუხში და ამ დაცინვაში მთელი თანამედროვე მენშევიზმია მოცემული: უღონო, დაძაბუნებული, სისხლგამშრალი, უიმედო და უპერსპექტივო... დიახ, ჯერ ქართული ურემით, ხვალ კი ელექტრონ ურმებით: დავეწევით და გავასწრებთ კიდეც ჩვენს მოწინააღმდეგე ქვეყნებს. სჯერა ეს სოლოს და ამიტომაც არის მისი სიცოცხლე გიგოსადმი—დაიმედებული. გამარჯვებაში...

აჯანყება დაიწყო. მატარებელს იქით არ უშვებენ. გიგო, სადგურის უფროსი და ტელეგრაფისტი რაღაცას ჩურჩულებენ, ხითხითებენ, შემდეგ გაბედულად ეტყვიან სოლოს—გათავდა, თქვენი დრო გათავდაო.

შეიძლება ფიქრობდენ: სოლოს დავაშინებთ, წელში გავტეხთო... და პასუხის ნიშნად:

— „მაშ ასე: ერთხელ კიდევ გვიწევენ მოღალატენი მოსისხლენი... მერე რათა? იქნებ იმიტომ, რომ ხალხის მტრებისადმი საკმაოდ სასტიკნი არ ვიყავით. ჰო და ინებონ, დეე იწვნიონ ჩვენი რისხვაც და სამართალიც"... ოროთქლმავალი მოხსნა. ცეცხლი გააჩაღა, ჩარხები გასინჯა. სოლო თავისი იარაღით — ოროთქლმავალით მეშურება იქით, სადაც მის ამხანაგებს, მებრძოლებს გამოადგება ის და მისი იარაღი.

გიგო არ უშვებს მას, ებრძვის, მკლავში სწვდა ნამოწაფარს, ძირს უნდა ჩამოათრიოს. მაგრამ—მოღალატეს —კვერთხით უმასპინძლდება... და ოროთქლმავალი მიჰქრის წინ. ცოცხალი დაპირისპირებაა: ახალი თაობა და ძველი თაობა, რომელსაც ვერ გაუგია ახალი. „მოსისხლენი" კარგად და მართლად დახატა ჭუმბაძემ. ისინი მოსისხლენი არიან იმიტომ, რომ გიგოები ძველი ქვეყნისაკენ მიექანებიან ცხოვრების ოროთქლმავალს, მეორენი— სოლოები-კი წინ ახალ ქვეყნის გამარჯვებისაკენ მიექანებიან მას... ჭუმბაძის მთელი სიმპატია — მოთხრობიდან ეს ასე ჩანს—მეორეთა მხარეზეა. ამიტომ ასეთი დაჯერების კილოთი არის დაწერილი ეს პატარა მოთხრობა. საერთოდ უნდა ითქვას: ჭუმბაძე ოპტიმისტი მწერალია, ეს მისი ოპტიმიზმი—სტილშიაც გადასული — გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ იგი არამც თუ შერიგებია ახალს, გამარჯვების აუცილებლობას, არამედ სუბიექტიურადაც სურს ეს მას. ძველისა და ახლის ბრძოლებში ჭუმბაძე როგორც მწერალი შეგნებულადაც და რაც უფრო დრო გადის მით უფრო მეტად—ახლების მხარეზე სდგება. ეს ამბავი არც ისე უმნიშვნელოა, რომ მას გვერდი აუაროთ. პირიქით. საქართველოში იდეოლოგიის საკითხი: ვინ ვისთან? დღესაც აქტუალურად სდგას. რადგან ბევრისათვის ძალიან ბევრისათვის—ქართველი მწერლებიდან—იგი კიდევ არ არის გადაწყვეტილი, ან და გადაჭრილია არა ახლის სასარგებლოდ. საბჭოთა მკითხველი ვალდებულია — დააფასოს გაბედული სიტყვა მწერალ არისტო ჭუმბაძისა, მით უმეტეს, როდესაც ეს სიტყვა თავის თავადაც დასაფასებელია, როგორც მხატვრული.

ჭუმბაძის მეორე მოთხრობა „ფულიანი ზარათი" კარგად დაწერილი სატირაა დღევანდელ ჩინოვნიკთა ცოლქმრობისა. ალმასხან ალუბაძე ხერხემალ გატეხილი, უკვე ნახევრად მკვდარი მოსამსახურეა, ჩინოვნიკური ცხოვრებით გონება დახშულებული. ბაბუცა —მისი ცოლი—„თანამედროვე თავქარიანი მოარშიყე" ქალია. ანეკდოტური ხასიათი აქვს მოთხრობაში აწერილ ეპიზოდს, მაგრამ ამ ანეკდოტში ბევრი სიმართლეა და ბუნებრივობა. მოთხრობაში კარგად არის აწერილი ალმასხან ალუბაძის ბავშვობა. ჭუმბაძეს კარგად ეხერხება რეალისტურ ფერებით ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური პირ-ქარიმის გადმოცემა. მისი უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ფართო ტილოებზე ხატვას. მისი მოთხრობის საგნები თუმცა ხშირად ძალიან საინტერესოა და ყურადღებია—მხოლოდ ნაწყვეტებია ჩვენი ცხოვრებისა, ცალკე კუთხეები. ცხადია დიდ ტილოს კარგი სალებავები და გაწაფული და დაუღალავი მკლავი ესაჭიროება... სალებავები კარგი აქვს დაჩვეულებული ჭუმბაძეს—მისი მოთხრობების ენა ამას ნათლად ამტკიცებს—საჭიროა მკლავის გაწრთვნა უკვე [illegible]. იპოვა მდიდარია ასეთ საკითხებით; ჭუმბაძეც დაკვირვებული მწერალია... ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას ძალ-ღონე არ უღალატებს, თუ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების რომანის წერას მოჰკიდებს ხელს. თორემ ამ პატარა ნაკლულებებით და ეპიზოდებით ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობისა — თუ გინდ საკმაო ნიჭით და ხერხიანი შესრულებითაც—ის მოწინავე ადგილს მწერლობაში ვერ დაიჭერს.

(დასასრული იქნება)

ვალ. ბახტაძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 2.

ქრონიკა

ა.-კ. ცაკის მორიგი თავმჯდომარე

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა მორიგი თავმჯდომარეობა ა.-კ. ცაკში დააკისრა ამხ. მიხა ცხაკაიას.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ა.-კ. სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება იმ 10 პროცენტიან ანარიცხების განაწილების და გამოყენების წესების შესახებ, რომელიც დარჩა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციიდან.

თანხების ხარჯვა ამ ანარიცხებიდან ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ მხოლოდ კომუნალური მშენებლობის, სოფლის სახკოლო და საავადმყოფოების აღმშენებლობის, საბჭოთა მშენებლობის საჭიროებისათვის და კაპიტალური ხარჯებისათვის ადგილობრივ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ანარიცხები ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციიდან გადადის ადგილობრივ საბჭოების ბიუჯეტში.

ფოტო-გამოფენა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-8 წლის თავის დღესასწაულისათვის თბილისში გაიხსნება დიდი ფოტო-გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება იმ მშენებლობის ფოტოგრაფიული სურათები, რომელიც 1921 წლიდან დღემდე იქნა შესრულებული ან ახლა მიმდინარეობს.

გამოფენის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია განათლების სახ. კომისარი ამხ. დ. კანდელაკი.

ცვალებადელთა შეკრება

მეორე ქართული საარტილერიო ლეგიონი აცხადებს მასში მოწვეულ ცვალებადი შემადგენლობის წითელი არმიელების საყურადღებოდ, რომ 6 იანვარს, დილის 8 საათისათვის დანიშნულია ერთდღიანი შეკრება ლეგიონის შენობაში (კლარა ცეტკინის ქუჩა 119).

გერმანელთა საავადმყოფო

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შეიძინა ყოფილი გერმანელთა საავადმყოფო (თბილისში) რენტგენის კაბინეტით, აფთიაქით, სამკითხველოთი და ყოველგვარი სამეურნეო მოწყობილობით.

განზრახულია საავადმყოფოს გაფართოება და მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესება.

გერმანელი ექიმები, რომლებიც მუშაობდნენ ყოფილ საავადმყოფოში, დატოვებული იქნებიან თავის ადგილებზე, თუ ამას ისინი მოისურვებენ.

კოოპერატორთა ახალი კადრების შექმნა

თბილისში არსებული შრომის სკოლები კოოპერატიული განხრით მიმართავენ შუამდგომლობით თბილისის მუშკოოპს, რათა პრაქტიკაზე დაუშვან შრომის სკოლის კურსდამთავრებული მოწაფეები.

მოწაფეთა პრაქტიკაზე დაშვების საკითხი მუშკოოპის გამგეობამ განიხილა თავის უკანასკნელ სხდომაზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტექნიკურად შეუძლებელია მოწაფეთა დაშვება პრაქტიკაზე იმ ცალკე შუამდგომლობათა მიხედვით, რომლებითაც მიმართავენ შრომის სკოლები მუშკოოპს.

მუშკოოპის გამგ. საჭიროდ სცნობს შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებს მოწაფეთა გაგზავნას პრაქტიკულ კოოპერატიულ მუშაობაზე.

დადგენილებათა პროექტები

ამ დაწესებულებებს და პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ საკითხები წარადგინონ განსახილველად ა.-კ. სახკომსაბჭოში, ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა განსახილველად წარადგინონ მხოლოდ და მხოლოდ არსებითი მნიშვნელობის საკითხები, ხოლო ისეთი საკითხები, რომლებიც შეიძლება მოგვარებული იქნეს რესპუბლიკანური მთავრობის ან დაწესებულებათა ურთიერთ შორის შეთანხმებით, განსახილველად არ უნდა წარედგინოს ა.-კ. სახკომსაბჭოს.

ა.-კ. სახკომსაბჭოში წარდგენილი პროექტები დამუშავებული უნდა იქნეს ზედმიწევნით და შეთანხმებული უნდა იქნეს წინეთ გამოცემულ კანონებთან. პროექტებს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი და სხვა საჭირო მასალები.

თბილისის აღმასკომში

◆ **კომუნალური ქუჩის გაფართოება.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილების ცნობით, ახლო ხანში დაიწყება მუშაობა კომუნალური ქუჩის გასაფართოებლად.

◆ **ხორცის ბაზრის გახსნა.** უკვე მთავრდება ხორცით სავაჭრო დახურული ბაზრის (ფარდულების) აგება კახეთის მოედანზე. ბაზრის გახსნა მოხდება ამ დღეებში. დახურული ფარდულები საექსპლოატაციოთ გადაეცემა თბილისის მუშკოოპს.

განათლების კომისარიატში

◆ **წიგნების გამომცემლობა ასურულ ენაზე.** უკრაინის განათლების კომისარიატი შუამდგომლობით მიმართა საქართ. განათლების კომისარიატს გაერთიანებული სამუალებებით შეუდგეს საჭირო სახელმძღვანელოების გამოცემას ასურულ ენაზე.

◆ **მასწავლებლების მიწვევა.** განათლების კომისარიატის ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებამ მიიწვია მასწავლებლები მთიან ყარაბახის რესპუბლიკაში გასაგზავნად.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ფიზიო-ტერაპევტიული სამკურნალო სოხუმში.** ჯანსახკომის სამედიცინო განყოფილებამ საჭიროდ ცნო აფხაზეთის ჯანსახ. კომისარიატს მიეცეს 5.000 მანეთი სოხუმში ფიზიო-ტერაპევტიული სამკურნალოს მოსაწყობად.

◆ **საწოლების გამრავლება ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში გახსნას 10 ახალი საწოლი.

სხვადასხვა

◆ **თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებათა პრეზიდიუმის კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე საქ. თავდაცვა-ავიაქიმის შენობაში მოწვეულია ა.-კ. და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებათა და ავიაქიმის თბ. ორგანიზაციის პრეზიდიუმების გაერთიანებული კრება. კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის გამოკვლევის შესახებ.

◆ **მუშკოოპი „მიასოპროდუქტის“ აქციონერი.** თბილისის მუშკოოპი შევიდა სააქციო საზ-ბა „მიასოპროდუქტის“ აქციონერად.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს, 5 იანვარს, საღ. 7 საათზე შესდგება ამხ. ჯიშკარიანის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ტრიგონომეტრია და მისი ადგილი თანამედროვე სკოლის სამუშაო პროგრამებში“. მოხსენების შემდეგ კამათი.

◆ **ხარ-ირმის მოკვლა.** მოქ. მიხა ჩარჩიძემ ბორჯომის რაიონში ამ დღეებში მოჰკლა ხარ-ირემი, რომელიც იწონის ათ ფუთს. მონადირეთა კავშირის მიერ აკრძალულია ირემის მოკვლა მთელს საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ მოქ. ჩარჩიძე ამჟამად დაპატიმრებულია და მიცემულია პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით. ამ დღეებში მონადირეთა კავშირი ბორჯომის რაიონში გზავნის სპეციალურ გამომძიებელს, რომელსაც ევალება აღნიშნული საქმის გამორკვევა.

◆ **უმუშევართა კოლექტივების ნაწარმოებთა გამოფენა.** დაიხურა თბილისის შრომის კოლექტივების ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენა დაათვალიერა 18.000 კაცმა.

ხელოვნება

თბილისის მუშათა თეატრთან სამხატვრო საბჭოს დაარსების გამო

სამხატვრო საბჭოების შექმნისა და მათი ამოცანების ირგვლივ დღეს საყურადღებო წერილები იწერება. ამ წერილების ავტორები თითქმის ერთხმად ადასტურებენ, რომ ბრძოლა ძველსა და ახალ ხელოვნებას შორის მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს,—განსაკუთრებით თეატრის დარგში. კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი ამოცანაა ფხიზლად ადევნოს თვალი ამ ბრძოლას და შეიტანოს მეტი გეგმიანობა და ორგანიზაციულობა საბჭოთა თეატრების მშენებლობაში.

ახალი თეატრის მშენებლობა მოითხოვს, რომ შეიქმნას მასიურ მაყურებელთათვის მისაღები სანახაობა ისეთივე ფორმებით და მხატვრული ღირებულებით, როგორიც პროფ. თეატრებს მოეთხოვება.

ცხადია, ასეთი თეატრის შექმნა კლასიური მსოფლმხედველობის და ახალი ეპოქის მიზნების გაგების გარეშე შეუძლებელია. ეს აუცილებელი პირობა ახალი თეატრის შესაქმნელად ყოველთვის ვერ არის დაცული და თეატრის მუშა მაყურებელი ზოგჯერ იძულებულია მოისმინოს და ნახოს მისთვის სრულიად მიუღებელი და ინტერესს მოკლებული წარმოდგენა.

ამ უთუოთ ჩივილებს ჩვენს თეატრებში ხშირად ხელს უწყობს ზოგიერთი სამეურნეო საჭიროებები, და კლასიურ მაყურებელს სალაროს მაყურებელი სდევნის თეატრიდან.

ჯერ კიდევ გასულ სეზონში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას მოსკოვისა და ლენინგრადის მუშათა აუდიტორიამ და საზოგადოებრივმა აზრმა. ამის შედეგად მოჰყვა სამხატვრო საბჭოების დაარსება თეატრებთან.

საბჭოებში, გარდა თეატრის მუშაკებისა, წევრებად მიიწვიეს ფაბრიკა-ქარხნების, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლები.

ზოგიერთ თეატრებში იმდენად კარგად მოეწყო საბჭოს მუშაობა, რომ იგი წინასწარ იხილავდა ყოველ ახალი დადგმის გეგმებს, პიესის არჩევის და მის გაფორმების საკითხებს, დირექცია თავის მუშაობაში საბჭოს დადგენილებების თანახმად მოქმედობდა.

ასეთი კოლექტიური თანამშრომლობით დადგმული პიესები, ცხადია, ბევრად უფრო სრული და მისაღები იქნება საბჭოთა თეატრის მაყურებლისათვის, ვიდრე ინდივიდუალურ სურვილებით და ხშირად დიქტატორული უფლებით შექმნილი თეატრალური სანახაობა.

თბილისის თეატრის დადგმებში ამ არანორმალურ მოვლენას დიდი ადგილი უჭირავს დღესაც, და მის აუცილებლად პირველი ნაბიჯი მუშათა თეატრმა გადადგა.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნა სამხატვრო საბჭოს გაფართოებული სხდომა. გადაწყდა, რომ სამხატვრო საბჭოს უნდა მიეცეს გადამწყვეტი ხმის უფლება ამა თუ იმ პიესის არჩევის, დადგმის და გაფორმების საკითხებში. ამასთანავე სამხატვრო საბჭო იღებს ყოველ ზომას მუშათა მაყურებელთან რაც შეიძლება ფართო და მჭიდრო კავშირის დასჭერად. ამ მიზნით არჩეული იქნა ბიურო და ორი სექცია.

ამ მისაბაძ მაგალითს ალბად სათანადოთ გამოიყენებენ თბილისის სხვა თეატრები, რომლებმაც ნაბიჯი უკვე გადადგეს იდეოლოგიურ და ფორმალურ პოზიციების დასაპყრობათ.

ამ სეზონში შემოღებული მიზნობრივი დადგმები და აბონემენტების გავრცელება მუშათა მასებში გამარჯვებაა ამ ფრონტზე.

ვთიქრობთ, რომ მუშათა, პროფორგანიზაციების და პრესის წარმომადგენელთა გადამწყვეტი ხმა თეატრალურ მშენებლობაში, ბოლოს და ბოლოს, შექმნის ნამდვილ საბჭოთა თეატრს. ამ თეატრის შესაქმნელად კი უნდა მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომა.

ბ. ბ.

გაბა წიკლაურის გარდაცვალება

გაბა წიკლაური

ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ 26 დეკემბერს კავკავში, კუჭის ავადმყოფობით (კიბო) გარდაიცვალა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთავარი მეგზური გაბა წიკლაური.

გაბა წიკლაური საკმაოდ ცნობილი,—ერთი უძველესი, გამოცდილი მეგზური იყო მთელს საქართველოში. გაბა ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე, არც მაინც და მაინც დიდი ხნის კაცი იყო. იგი დაიბადა 1878 წელს ხოვ. ცდოში (ხევი) ღარიბი მოხევის ოჯახში. მას არავითარი სწავლა-განათლება არ მიუღია. ბავშვობიდანვე შეიყვარა ველური ბუნება.—მიუწვდომელი თოვლიანი მთები. ჭაბუკობიდანვე დაიწყო მწვერვალებზე სიარული. არ ვიცით, თუ როდის ავიდა პირველად იგი ყინვარ წვერზე. მაგრამ სამეცნიერო ექსპედიციებს თუ ცალკე მოგზაურ მეცნიერებს გაბას ხახით უკვე საკმაოდ გაწვრთნილი მეგზური დახვედრია. თავის სიცოცხლეში გაბას 60-ჯერ უცდია ყინვარ წვერზე ასვლა. მიუღწევია 21-ჯერ. გაბას წინამძღოლობით საქ. გეოგრ. საზ.-ბის ექსპედიციამ ექვსჯერ მოიარა ყინვარ-წვერი, ერთხელ იალბუზი. მან იმოგზაურა კავკასიონის სხვადასხვა მიდამოებში, რაჭაში, სვანეთში, აფხაზეთში და სხვ. არც ერთ რუსს და არც ერთ უცხოელ მეცნიერს, რომელთაც გაბა წინამძღოლად ყოლიათ, თავიანთ გამოქვეყნებულ შრომებში მოუხსენებელი არ დარჩენიათ გაბას სახელი. თვით გაბას მეგზურის წიგნაკში მოთავსებულია არა ერთი გეოგრაფის, ტოპოგრაფისა და ბოტანიკოსის შენიშვნა, რომლებიც გაბას ახასიათებენ როგორც გაბედულს და ამავე დროს ფრთხილს და დაკვირვებულ მეგზურს.

გაბა მეტად მიმზიდველი პიროვნება იყო, გულკეთილი, დინჯი, საინტერესო მოსაუბრე. ხევში იგი დიდ პოპულარობით სარგებლობდა. მასთან მოგზაურობა ყველას სახელოვნად და საამაყოთ მიაჩნდათ. მან გაწვრთნა და მოამზადა გამყოლებად რამოდენიმე მოხევე, რომელნიც მის ღირსეულ მემკვიდრეებად დარჩებიან.

გაბა ღარიბი გლეხი იყო. მას დარჩა წვრილი ცოლ-შვილი. საქ. გეოგრაფიული საზოგადოება მოვალეა იზრუნოს მის ოჯახზე და არ აგრძნობინოს მას გაბას სიკვდილით გამოწვეული დანაკლისი. ეს იქნება გაბას ღვაწლის საუკეთესო დაფასება.

ვ. წ.

მშენებლობის თვითღირებულების შემცირება 1928-29 წლისათვის

მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის გაძლიერების მიზნით საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ მთელი რიგი დირექტივები მისცა სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც მშენებლობას აწარმოებენ.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს არა ნაკლებ 15 პროცენტით შეამცირონ (წინა წელთან შედარებით) იმ ნაგებობათა სამშენებლო ხარჯები, რომელთა აგება განზრახულია 1928-29 წელს. ორგანიზაციებმა, რომლებიც საბინაო მშენებლობას ეწევიან, მშენებლობის ღირებულება უნდა შეამცირონ არა ნაკლებ 11 პროცენტისა (ანალოგიური სამუშაოების ფაქტიურ ღირებულებასთან შედარებით 1927—28 წ.)

მშენებლობის ხარჯების შემდგომში დაკლება უნდა მოხდეს მაქსიმალური ეკონომიის დაცვით პროექტების შედგენის დროს, უფრო მარტივი კონსტრუქციების გამოყენებით, სამშენებლო მასალების ფასების დაკლებით, უკანასკნელის უფრო რაციონალურად გამოყენებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით და საორგანიზაციო ხარჯების შემცირებით.

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭ. დაევალა ვალდებულჰყოს სამშენებლო ორგანიზაციები სამშენებლო სეზონი გააგრძელონ არანაკლებ 7 თვისა, მთლიანად და თანაბრად განაწილონ მუშა ხელი სამშენებლო სეზონის ყველა თვეებზე.

შრომისა და თავდაცვის საბჭო საჭიროდ თვლის სამშენებლო სამუშაოთა ტექნიკური პერსონალის დაჯილდოების შემოღებას. ამ მიზნით სამშენებლო საქმეთა კომისიას სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაევალა, მშენებელ მუშათა კავშირის ცეკასთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად დაამუშაოს და დაამტკიცოს ამ დაჯილდოების წესი.

ქუთაისი

მოჯამაგირეთა სამაზრო კონფერენცია

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

კონფერენციის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. დანგაძის მოხსენება მაზრაში მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ.

სამაზრო მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი—ამბობს მომხსენებელი—აერთიანებს 660-მდე მოჯამაგირეს. აქედან 575 კაცია, 84 ქალი, 197 პროფკავშირის წევრი, 71 კომკავშირის წევრი და 36 პარტიის წევრი და კანდიდატი. გასულ წელს მოჯამაგირეთა აღრიცხვას ვერ ექცეოდა სათანადო ყურადღება. წელს საღრიცხვო კამპანიის ჩატარების დროს გამოირკვა, რომ მოჯამაგირეთა 50 პროცენტი აღრიცხვის გარეშე არის დარჩენილი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კოლხელშეკრულებების დადების დარგში. კულაკები არ ზოგავენ არავითარ ძალღონეს, რათა ხელი შეუშალონ ხელშეკრულების დადებას, მაგრამ კავშირის ენერგიული ზომებით ხელშეკრულების დადება წარმატებით მიმდინარეობს.

ამხ. დანგაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო თერთმეტმა მოჯამაგირემ. მოჯამაგირეებმა აღნიშნეს, რომ გაძლიერებულია ხელმძღვანელობა მოჯამაგირეთა შრომის დაცვაში, მათი კულტურული და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ არის შემთხვევები ადგილებზე, როდესაც საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები ეჭვეიან კლასიური მტრების—კულაკების გავლენის ქვეშ და სრულიად ვერ უცავენ მოჯამაგირეთა უფლებებს. მაგალითად პატრიკეთის თემის საბჭოს თავმჯდომარეს ... კულაკს, რომელმაც სრულიად უმიზეზოდ დაითხოვა მოჯამაგირე ახალგაზრდა, ხოლო ბაღდათის კომკავშირის თემკომის მდივანი მოჯამაგირეს, რომელიც თხოულობს კომკავშირში მიღებას, უპასუხებს, რომ წვეროსან მოჯამაგირეს კომკავშირში არ ვღებულობთ.

კამათის დასრულების და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ მეორე სხდომაზე მოისმინა ამხ. ბარამიძის მოხსენება მოჯამაგირეთა დაზღვევის შესახებ მაზრაში, რის შემდეგაც მიღებულ იქნა რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების გამო. რეზოლიუციების მიღების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

შ. ხვანიძე.

ზაჰესის დატვირთვა

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების ზაჰესის ენერგიაზე გადამყვან კომისიის ცნობით, ნოემბრის განმავლობაში ზაჰესის დატვირთვა უდრიდა 2.300.000 კილოვატ-საათს.

დეკემბრის განმავლობაში კი ზაჰესის დატვირთვამ მოიმატა 400.000 კილოვატ-საათით და გახდა 2.700.000 კილ. საათი. დეკემბრისათვის მოსალოდნელი იყო ზაჰესის მეტი დატვირთვა, მაგრამ თბილისის ტრამვაის ტრანსფორმატორების დაზიანების გამო, დეკემბრის 1-ლი რიცხვებიდან ტრამვაი დროებით მოიხსნა ზაჰესიდან და გადავიდა საკუთარ ელსადგურის ენერგიაზე. გარდა ამისა დეკემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო თბილისის წყალსადენის ელექტროფიკაცია, მაგრამ აპირო სამუშაოთა შესრულება დაგვიანდა და ქალაქის წყალსადენი ჯერაც არაა გადასული ზაჰესის ენერგიაზე.

ზაჰესის დატვირთვის თვალსაჩინო ზრდა დეკემბრის განმავლობაში კომისიის ცნობით, გამოიწვია თბილისის მთელ რიგ წვრილი საწარმოების გადაყვანამ ზაჰესის ენერგიაზე და აგრეთვე რკინის გზის თბილისის სადგურის წყალსაქაჩის ელექტროფიკაციამ.

იანვრის განმავლობაში განზრახულია დამთავრდეს ქალაქის წყალსადენის ელექტროფიკაცია და ხელახლა იქნეს გადაყვანილი ზაჰესის ენერგიაზე თბილისის ტრამვაი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 5 იანვარი

დღეს, 5 იანვარს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი; მხატვრული პროგრამა გლეხებისათვის; ამხ. ხობუას მოხსენება—„პოლიტგანი და საბჭოების არჩევნები“; ერთი კვირის პროგრამის გადაცემა; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტის ტრანსლიაცია მუშათა ახალ კლუბიდან (კონცერტში მონაწილეობენ სახელმწიფო ოპერის მსახიობები).

სასამართლო

ქეთროვანის მკვლელი

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გაასამართლა თბილისის მცხოვრები ოგანეზ ერანოსიანცი, რომელმაც გასული წლის ოქტომბერში თავის ბინაზე მოჰკლა კეთრით დაავადებული თავისი სიძე თაროზ ხაჩატუროვი.

საქმის შინაარსი ასეთია:

თაროზ ხაჩატუროვი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ოგანეზ ერანოსიანცის და, ამ რამდენიმე წლის წინ დასნეულდა განუკურნებელი სენით—კეთრით.

სენის აღმოჩენისთანავე ხაჩატუროვი განცალკევებით იქნა მოთავსებული. ცოლი თავისი პატარა შვილით დაუბრუნდა მშობლების ოჯახს.

კეთროვანი ხაჩატუროვი ვერ შეურიგდა ცოლ-შვილის განშორებას. დაიწყო მტრობა. უთვლიდა ერანოსიანცებს საყვედურს და სთხოვდა ცოლის დაბრუნებას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხაჩატუროვი გაგზავნა სამკურნალოდ ასტრახანში.

გადის დრო. ხაჩატუროვი აწუხებს თბილისში დროებით ჩამოსვლას ცოლ-შვილის სანახავად.

კეთროვანი ხაჩატუროვი უტრიალებს ერანოსიანცების ოჯახს. ხშირად მიუვარდება მათ მუქარით და ლანძღვა-გინებით უნდა თან წაიყვანოს ცოლ-შვილი.

ეს კი ყოვლად შეუძლებელია. ცოლ-შვილსაც გადაედება ეს საშინელი სენი. ქალის მშობლები და ძმები ახლოს არ იკარებენ კეთროვან სიძეს.

გასულ წლის 18 ოქტომბერს კეთროვანი კვლავ მიადგა ერანოსიანცების კარებს და იძალა სახლში შეიჭრა.

ბალზე აიღელვა ამ გარემოებამ ხაჩატუროვის ყოფილი ცოლის ძმა ოგანეზ ერანოსიანცი, რომელმაც გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოიშოროს. მისი სიტყვით რომ ვსთქვათ, ცხოვრების ეს „ზედმეტი ბარგი“—კეთროვანი სიძე.

ოგანეზ ერანოსიანცმა ხელში მოიმარჯვა მჭრელი დანა და რამდენიმე ჭრილობის მიყენებით იქვე, თავის აივანზე მოჰკლა ხაჩატუროვი.

ოგანეზ ერანოსიანცს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

—:—

ზესტაფონელ „მკლავაქეების“ გასამართლება

შორაპნის სამაზრო სასამართლომ ამხ. ვ. თოდრიას თავმჯდომარეობით გაასამართლა ზესტაფონის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ხულიგნები ძმები სიმონიკა და ვლადიმერ საყვარელიძეები.

გასული წლის ივლისში ამ „რაინდებმა“ მთელი ზესტაფონი ფეხზე დააყენეს თავისი ხულიგნური გამოსვლებით.

მათ ჯერ რესტორანებში თქლის ღრიალით და აურზაურით, გული მოსდიოდათ, რომ რესტორანებში ჭყვავ ელაგა სასმელ-საჭმელი, ხოლო მათ კი არც ჭამა შეეძლოთ და არც სმა ისე იყვნენ დაბანგული ღვინით. საყვარელიძეებმა თავის „ძმა-ბიჭებთან“ ერთად არ დასტოვეს აუფორიაქებელი არც ერთი სამიკიტნო, ხოლო შემდეგ კი ქუჩაში მიიტანეს ზესტაფონის ცეცხლისმქრობელ რაზმის საგუშაგოზე.

საყვარელიძეებმა უმოწყალოდ სცემეს ცეცხლისმქრობელი რაზმის უფროსს ამხ. გოცაძეს და აგრეთვე საგუშაგოზე მდგომ თანამშრომელ ა. გეწაძეს.

ხულიგნების დასაპატიმრებლად გამოწვეულ იქნა მილიცია. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ მილიციელები ყიფიანი და ლომბერიძე, რომლებიც წინადადებას აძლევენ ხულიგნებს გაჰყვნენ მილიციის სამმართველოში.

„მკლავაქეებს“ სიცილადაც არ ჰყოფნით ადმინისტრაციის წარმომადგენლების თავაზიანი და კანონიერი მოთხოვნა. საყვარელიძეებმა თითო-თითო სილა მილიციელებსაც უთავაზეს.

მილიციელებმა დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა სამართველოში მიიყვანეს თავშეყვეტილი საყვარელიძეები.

მილიციის სამმართველოშიაც სცადეს ხულიგნებმა მუშტების ამუშავება. ძლივს მალე ორთავე სპატიმრო ოთახში უკრეს თავი.

სიმონ საყვარელიძე ასეთი ხულიგნობისათვის ორჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში.

სასამართლომ სიმონ საყვარელიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, ხოლო მის ძმას ვლადიმერს—სამი წლით.

—:—

ყალთაბანდ ვაჭრების გასამართლება

ხვალ თბილისის სამაზრო-სახალხო სასამართლო მეორე უბნის სახალხო სასამართლოს ბინაზე (მუხრანის ქ. 4), საჩვენებელი პროცესით გაასამართლებს ყალთაბანდ ვაჭრებს მარტიროს გალუსტოვს და გიორგი ჭილაშვილს.

როგორც ვსწერდით, აღნიშნულმა ვაჭრებმა გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით სავაჭრო პატენტი აიღეს ვიღაც ღარიბ-ღატაკი მოქალაქის კურატაშვილის სახელზე. თვითონ კი ვაჭრობდნენ მთელი წლის განმავლობაში, გაისტუმრეს ჯიბეები, მიატოვეს სავაჭრო და მიიმალნენ. გადასახადი 3747 მანეთი, რომელიც მათ სავაჭროს ჰქონდა შეწერილი, დარჩა აუნაზღაურებელი, რადგან ღარიბ-ღატაკ კურატაშვილს საგადასახადო ორგანომ ვერაფერი გადაახდევინა.

მალე გამოაშკარავდა ვაჭრების ასეთი ოინი და ისინი ხვალ წარუდგებიან სასამართლოს.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე— ამხ. კაკაბაძე, სახალხო მსაჯულები: ორჯონიკიძე, ხაჩატუროვა, მდივანი—გორდელაძე.

გერ.

რკინისგზაზე

მტვირთავი მუშები რკინისგზელთა პროფკავშირში

ამიერ-კავკ. გზების სხვადასხვა სადგურებზე მომუშავე მტვირთავი მუშები ამა წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა კავშირიდან გადაყვანილია რკინისგზელთა კავშირში.

სალაროს გაქურდვა

ფოთის საქონლის სადგურში ვიღაც ბოროტმოქმედებმა მორგებული გასაღების საშუალებით გაალეს სალარო, საიდანაც წაიღეს 5050 მან. ნაღდი ფული და 1048 მან. ფასიანი საბუთები.

შემთხვევები

ტრამვაის ვაგონის ქვეშ

გუშინ, დილით, ტრამვაის ვაგონი № 241, (მარშრუტი მეხუთე), რომელსაც მართავდა ვატმანი კონსტანტინე პეტრენკო, რუსთაველის პროსპექტზე ოპერის თეატრის პირდაპირ, დაეჯახა ქუჩაზე გადამავალ ანა პეტრეს ასულ კალანდაძეს (მცხ. გრიბოედოვის ქუჩაზე № 19).

კალანდაძის ქალი მოჰყვა ვაგონის წინა ბორბლების ქვეშ და მძიმედ დაშავდა. მას დაზიანებული აღმოაჩნდა თავი და სახე.

დაშავებულს აღმოუჩინეს სასწრ. საექ. დახმარება და უგრძნობელ მდგომარეობაში გაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა უამრავმა ხალხმა, რის გამო ტრამვაის მოძრაობა შეფერხდა 20 წუთით.

შემთხვევით ამ ამბავს წააწყდა მე-9 უბნის გამომძიებელი რ. ქორჩილავა, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის გამოძიებას.

გამომძიებელმა გამოიწვია ექიმი ვატმანის გასასინჯავად, მაგრამ იგი ფხიზელი აღმოჩნდა.

უბედური შემთხვევის შემდეგ ვაგონი აამუშავეს: ვაგონის მოძრაობა წესიერად სწარმოებდა. გამოირკვა, რომ ვაგონის მუხრუჭები დაზიანებული არ ყოფილა.

დადასტურდა, რომ ვატმან პეტრენკოს ვაგონი დიდი სისწრაფით მიჰყავდა, რის გამო ვერ შესძლო მისი შეჩერება.

ექსპერტების დასკვნით, ვაგონის ტექნიკური მდგომარეობა და გზის პირობებს არ შეეძლო გამოეწვია უბედური შემთხვევა.

გუშინ გამომძიებელმა ამხ. ქორჩილავამ ამ საქმეზე დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეები. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ვატმანმა კალანდაძის ქალს არ მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი.

საქმიო შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ვაგონს კალანდაძის ქალი გაუთრევია 8—9 მეტრის მანძილზე. ვაგონის ბორბლებზე ბლომათ იყო სისხლის წვეთები.

ვატმანი დაპატიმრებულია. მას ბრალად ედება სამსახურისადმი დაუდევრობა. კვლევაძიება გრძელდება.

ავტომობილის დაჯახება ტრამვაის ვაგონზე

გუშინწინ საღამოს ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოთიერი კონსტანტინე ობეროვი კამოს და ფორონის ქუჩის კუთხეში დაეჯახა ტრამვაის ვაგონს. ავტო-მანქანა სერიოზულად დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. შოთიერი დაპატიმრებულია.

ცოლისა და ორი შვილის მკვლელი

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ თბილისში დააპატიმრა ომარ ჩაჯტარაევი (ჩრდილოეთ-კავკასიის მცხოვრები), რომელმაც ამას წინად ხანჯლით მოჰკლა ცოლი და ორი შვილი.

თავის მოწამვლა

4 იანვარს თვითმკვლელობის მიზნით სულემის ხსნარით თავი მოიწამლა მარია პეტრეს ასულმა ნოსოვამ. ნოსოვას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

დაჭრა

3 იანვარს სოფ. კოჯორში ადგილობრივ სადარაჯოს უფროსმა სიმონ ჩხეიძემ მოულოდნელათ რევოლვერის ტყვიით დასჭრა მოქ. ვლადიმერ ბესოძე გოგალაძე. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ჩხეიძე დაპატიმრებულია.

გაფლანგვა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მუშკოოპის პურის დუქნის (№ 403) ყოფილი გამგე ალექსანდრე გიორგისძე სარჩიმელია, რომელსაც ბრალდება 250 მანეთის გაფლანგვა.

ხულიგნების დაპატიმრება

აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ დააპატიმრა: გიორგი ყაზარისძე ოსიპოვი, ივანე ზაქარიასძე კანონიდი ბიქტორ სპირიდონისძე დილიმელიძე, იმამ შაფი ბადილხანოვი, ოლღა ივანეს ასული ქორონოვა, გალუსტ კარაპეტისძე ამბარცუმიანი, შაფირ კუტაევი (მცხ. რიყის ქ. 83), ქასიმ ბოლ კახოვი (მცხ. რიყის ქ. 83) ზაქარია ივანეს ასული გუშიანცი, ალექსანდრე სტეფანისძე ლესნიკოვი და ხიჩო მისაკისძე გრიგორიანცი, რომელთაც ბრალდება ხულიგნობა.

ჯიბგირობა

4 იანვარს დღისით ვიღაც უცნობმა პირმა აბრამ ბაბა-ოღლის პურის მოედანზე ჯიბიდან ამოაცალა 140 მანეთი და მიიმალა.

ქურდობა

გაქურდეს ანა გოლოვინოვის ბინა (პეტრეწის მოედანი. 30).—წაიღეს 170 მანეთის ტანსაცმელი;—გაქურდეს თამარა ბოჭორიშვილის ბინა (არაქელის ქ. 53),—მოპარულია სხვადასხვა ნივთები.

— სისხლის სამართლის მილიციამ პასუხისგებაში მისცა გიორგი ოოსიბისძე თირცხალავა, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

იურიდიული დახმარება

ნადია ჩიჩინალაძეს

კითხვა

1924 წ. აპრილში ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ჩემი ქმარი ა. ი. ჩიჩინალაძე, რომელიც იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში და რომლის მცირე ჯამაგირით თავს ვირჩენდით მე და ჩემი 12 წლის ვაჟი. ჩემს ქმარს ჰქონდა ნაყიდი ძმისაგან უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ წაგვართვა მაზლმა. უკანასკნელი მსახურობს ქ. ქუთაისში მუშკოოპის სასადილოში.

გთხოვთ გაგვიმარტოთ: ეკუთვნის თუ არა მამის ქონება ბავშვს, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ჩემი უმუშევრობის გამო, ან როგორ მოვიქცე და რით აღვზარდო ბავშვი?

პასუხი

თანახმად სამ.-სამ. კოდ. მე-418 მუხ. თქვენი ქმრის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება მემკვიდრეობით გადმოდის თქვენზე და თქვენ შვილზე თანაბრად. თუ ეს უფლება არ ვადაგასულია და თქვენ ფაქტიურად და სამემკვიდრეო ქონება ჩაიგდო ხელში თქვენმა მაზლმა, შეგიძლიათ მოსთხოვოთ მას ეს ქონება სასამართლოს წესით, რისთვისაც სასამართლოში უნდა აღძრათ ამ ქონებაზე ძიება. თუ სარჩელის ვადა საფუძვლიანი მიზეზის გამო გადაცილებულია, თანახმად სამ. სამ. კოდ. მე-49 მუხ. შეგიძლიათ სთხოვოთ სასამართლოს, რათა გაგრძელებული იქნეს ვადა.

შრომის ბირჟაში

კვალიფიცირებული მუშა ხელზე

დღეს, 5 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ი. ლუკაშენკო, ა. მუჯირიძე, ე. სულაძე, ს. ქელეშაშვილი, ა. შუთიძე, ი. გოგიძე, ზ. მიქაძე, ლ. ანტონოვი, ს. [illegible].

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ო. კიკნაძე, ვ. სტრელკოვსკაია, ლ. შოშიაშვილი, ა. გოგალი, რ. მეიშვილი, ს. წურწუმია, ა. მალაზონია, მ. გძელიშვილი, ზ. მჭედლიშვილი, ს. ობაძე, ს. სვანიძე, ი. ცისაშვილი, გ. ბარქაია, მ. რუტკოვსკი, ე. ჩადეევსკაია, ი. ჯაყელი, ი. კაკაბიძე, გ. კუხალეიშვილი, ბ. კალანდარია.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ვ. კახაია, ნ. ბერეჟნოვა, მ. ტერნიაევი, ე. ასათიანი, პ. დევდარიანი, მ. ელიზბარაშვილი.

პარტიული კალენდარი

საქ. სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ შაბათს, 5 იანვარს, საღამოს სრულ 7 საათზე, მოწვეულია ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა. საარჩევნოთ დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების.

ქ. ძიძიგური ბაქრაძე დედა რიმუ ლია შვილიშვილები აცხადებენ, რომ კვირას, იანვრის 6, ნაშუადღევს 1 საათზე დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მისი ქმრისა და შვილის

შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის)

და შვილის

ბიძინა დედაბრიშვილის

ხ თვის აღსანიშნავად 6163

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა კახეთის მაზრის არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწე

ნესტორ ისიდორეს-ძე ვაჩეიშვილი

დასაფლავება ქ. თელავში დღეს, ხუთ იანვარს. ნ 2072

კახეთის მაზრის არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. თელავში გარდაიცვალა ძვირფასი თანამშრომელი და ამხანაგი

ნესტორ ისიდორის-ძე ვაჩეიშვილი

დაკრძალვა ქ. თელავში 5 იანვარს. 6173

ღრმად დამწუხრებული ცოლი სოლომონ, ძმა დათიკო, დები: ალექსანდრა, ლოლა და თამარა; ბიძა გერასიმე, ბიცოლა — კატო; სიძეები: დათიკო და იოსები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 1-ლ იანვარს გარდაიცვალა

კოსტა სოლომონის-ძე ვაშაკიძე

დაკრძალვა კვირას, 6 იანვარს, დღის 2 საათზე ვერის სასაფლაოზე (რკ. გზ. გადაღმა). 6172

გულმწუხარე დედა მარიამ პავლეს ასული, მამა ტარასი ზურაბის-ძე და და—თამარ ცქიტიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ ქ. ლენინგრადში 2 იანვარს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი შვილი პირველთა და ძმა მეორესი

დათიკო (დევი) ცქიტიშვილი

6159

უღრმესად დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ ნიკოლოზის ასული, შვილები: რომანი, ლევანი და ქეთევანი აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას 6 იანვარს, ნაშუადღევს 12 საათზე, დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი

ნიკოლოზ ლეჟავას

ხსოვნის აღსანიშნავად. 6165

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ოსიპის ძე ჯაფარიძე აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისთვის დაუვიწყარი მეუღლე

ელისაბედ ნიკოლოზის ასული ჯაფარიძისა

გამოსვენება მოხდება კვირას, 6 იანვარს, დღის 1 საათზე ბინიდან ნ—ბროსეს ქუჩა № 11/16. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 6164

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: კოკი, თამარა და ელენე, სიძეები: ვახტანგ შარიაშვილი და გლებ ზაიცი, შვილიშვილები: თინიკო და ალიკო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

მარიამ მიხეილის ასულ წულაიას

ხსოვნის აღსანიშნავად შაბათს, 5 იანვარს, 3 ნახ. საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი (ვ)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ალექსანდრა, მამა გიგა, დიდედა ლიზა, ძმა ვალოდია, დები: თამარა, ანეტა და თინა, სიძეები აკაკი ჩიჩუა და შალვა ლომბაშიძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ექიმ სოსო დონჯაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 6 იანვარს, შუადღის 1 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 6162

რუსთაველის თეატრი

შაბათს 5 იანვარს მე-2 აბონემენტის მე-5 წარმოდგენა

„ჯუმა-მაშიდ“ გ. ვენეციანოვის

დრამა 4 მოქ. და 6 სურათათ თარგ. ს. შანშიაშვილის

დადგმა: ძ. პატარიძის მხატვარი: ირ. გამრეკელი

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში

2—2 ნ. 2056

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი		ნამდვილი მამაკაცი	ჰარი პილის მონაწილეობით.
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი	წუმპე	პანიცის მონაწილეობით
მინიონი	გრანდიოზული დიდი მოძრავი ფილმი	კასპუს კალინოვსკი	რუს. გარდინი
სოლეი	მხატვრული სურათი	ზვავი	რეჟისორი ი. პერესტიანი
კაზინო	მხატვრული სურათი	კედელს იქით	მთავარ როლებში ბუჩმა, დიუსიმეტიერი და სხვ.
აპოლო		კირა კირალინა	პანაიტ ისტრატის რომანის მიხედვით
დარბაზი	წარმატების გამო სამი დღე კიდევ	თავდასხმა ვირგინია ფოსტაზე	
ოქროს ტალი ავლაბარი		თეთრი არწივი	მე-5 და მე-6 სერია

0—1

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

განახლებული პროგრამა

3 მოქმედებად

10 ახალი გასტროლიორი

და მეცების მწვრთნელი **ნ. პ. გლადილშჩიკოვი**

მტაცებელი ცხოველებით

დასაწყისი 8 ნახ. საათზე წაიკითხეთ აფიშები!

კვირას 6 იანვარს დღის სანახაობანი

ყველა ახალი გასტროლიორი და გლადილშჩიკოვი

დასაწყისი ნაშუადღევს 2 საათზე

3—2 ნ. 2068

ორშაბათიდან

7 იანვრიდან

კინო-თეატრებში

აპოლო-პალასი-სოლეი

არფასტო-განთიადი.

საქართველოს სახელმწ. კინომრეწველობის ნაწარმოები 1928—29 წლ. სეზონი

ჯანყი

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით

სცენარი და დადგმა

რეჟისორი **ა. წუწუნავასი**

ოპერ. **ტ. ა. დილმელოვი**

მთავარ როლებში:

თამარ ბოლქვაძე, ი. ნაზარიშვილი, კ. ერისთავი, ა. მესხიშვილი, გ. მელიავა, ვ. ტრაპაიძე, ს. კანდელაკი, დ. ჩხეიძე, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ხინთიბიძე, ს. ფალავანდიშვილი, დ. ძნელაძე

ნ. 2071

კახეთის სატყეო ტექნიკუმი

(სოფ. ყვარელში) იწვევს მასწავლებლებს

მათემატიკის, გერმანულის და რუსულ ენებისას.

პირობების გაგება შეიძლება 8 იანვრამდე თბილისში ყოველდღე საღამოს 5—6 საათამდე. ანწურის ქუჩა გროსსის სახლი № 8 თაქთაქიშვილის ბინა (ეზოში)

2—1—6170

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

შ. პ. ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 1929 წ. 8 იანვარს დღის 2 საათზე ალაზნის ქ. № 11 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ლევან არუთინოვის უძრავ ქონებას ერთ სახლს ორ სართულიანს, თუნუქით დახურულს რომელიც შესდგება 7 ოთახიდან და ერთი სამზარეულო და სარდაფიდან შეფასებულს 1.500 მან. „მერკურკრედიტი“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სანოტარო კანტორის მიერ აღსრულებითი წარწერით 1926 წ. 3 ნოემბრის მერკურკრედიტის მუშების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად სახალხო შრომის სასამართლოსაგან 28 სექტემბერს 1927 წ. თარიღით, № 3404 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა ვაჭრობა იწარმოება ს. ს. კოდექსის 311—312 მუხლების თანახმად. 6167

ახალ-სენაკის უბნის სახ. სასამა. თ. აღმასრულებელი

კიზირია

აცხადებს, რომ 15 იანვრს 1929 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** მოვალე ... დუტუმძე ეკუთვნის კუთვნილი ხუთ თვალიანი ის სახლი ერთი სართულიანი, დახურული ყავრით, მაგიდები, სამოვარი, ბოჭკები, ტაბურეტკები, გრძელი სკამები, საანგარიშო ჩოთქი, ბოთლები, 14 ბოთლი ლიმონათი, 25 ფუთი ძმარი, საყინულე, 13 ბოთლი კონიაკი, ხუთი ბოთლი რომი, ექვსი ბოთლი არაყი, დიდი სასწორი და სხ. შეფასებული სახლი 400 მან. და სხ. კი 300 მან. დასაკმაყოფილებლად „ზაკრედიტიური“-ს. კოსტა და ჯარუ ფარულავას, ვლადიმერ გოგილაშვილის, ეგნატე ხარებავას და სხ., ვალისა, თანახმად სახელმწიფო სანოტაო კანტორის აღსრულებითი წარწერებისა და აღმასრულებელი ფურცლისა. ქონების დათვალიერება შეიძლება თვით ვაჭრობის დღეს. 6171

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ. ფილტვებისავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.

ნ. 25—11

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ ყოფ. „ნოვს“, პირდაპირ ზოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

ექიმი

ა. დ. ჩეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ბ...“ პირდაპირ. მიღება დილის ..—12, საღ. 7—8 საათამდე ტელ. 12—67. ნ. 21—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლეზიის (ყოფ. ..ლოს) ქ. № 20, მესამე სართული.

6144 50—1

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენ რიულ (ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის თეატრის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25 1

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყ ლის, ყ რის და ცხვირის სნეულ ბანი და ოპერაციები. ხმის და მეტყველების ა ... სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

პლეხანოვის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგან ავადმყოფო ა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპირეცხაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ი.

ლოგოპედი

ა. ა. პაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის ... ნ ... ტის ა

ასწორებს

ლოგოპათებს: ინვალიდებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. № 132.

13—1 ნ. 1608

დაბრუნდა

მედიცინის დოქტორი

ნ. ს. ორემბოვსკი

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფთა მკურნალობა. ავადმყოფების მიღება—4-დან 7 საათამდე კვირა ის ქ. (ყოფ. კირკის) სახლი № 14. მესამე სართული. 6114 2—2

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—1

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის მოქალაქობრივ მდგომარეობის ბიურო ამით აცხადებს, რომ ზუგდიდის მაზრის ტყაიბუჯასალის მცხოვრებმა მოქ. კაპიტონი ბესოს ძე ციმინტამ შემოიტანა განცხადება ბიუროში მისი გვარი ციმინტას „ჩქვანავა“-ზე გამოცვლის შესახებ.

სააზრო ბიუროს გამგე: ხვიტია

6160

დაიკარგა, მშენებელ მუშათა კავშირის საწევრო წიგნაკი № 14/23823 აბრამ ალექსის ძე ხორგუაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6166

დაიკარგა, მე-სანშრომის კავშირის წიგნაკი № 7828 სალომე მიხეილის ასული კლიმიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6161

დაიკარგა, პროფკავშირის წიგნაკი № 3:6387, გაცემული ქიმიკოსთა პროფკავშირის მიერ ელენე ბესარიონის ასული კახაიას სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა, სამხ. დრო საღრიცხო მოწმობა, ორმოცი მანეთის ხელწერილი სოსე ლაგვილავასი და სხვადასხვა საბუთები პავლე ცომაიას სახელზე. ჩ. გ. 6174